



№ 3 // 2019

ლიფერაციული –
სამართლის მინისტრი
სამართლის მინისტრი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელითაშვილი

რედაქტორ-სტილისტი
ქათევან მერკვილაძე

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი
ქათი გომართელი


სარედაქციო კოლეგია

ანდრო ბედუპაძე
თავისულის მარე

რონ აბუსელიძე
გიორგი ალიაგაშვილი
ივანე ამირხანაშვილი
ბალათშვირ არაბული
ლაშა ბაზრაძე
ნაირა ბეგიშვილი
ლევან ბრეგაძე
გენრი ღოლიძე
გურამ ღოჩანაშვილი
ზეიდ კვარაცხელია
ლანა განველი
გაგა ნახუცრიშვილი
გიორგი სოსიაშვილი
მაია ტურაგვალიძე

ქათევან გომართელი
სამართლის მინისტრი,
მეცნიერებელი, კულტურისა და სპორტის
სამინისტროსა და ქართული
ლიფერაციულის ეროვნული უნივერსიტეტის
მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. № 1
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

პოვზის თორნიკე ნაროზაული ლექსები	3	ახალი თარგმანები პატრიკ ზიუსკინდი ბატონი ზომერის ამბავი ინგლისურიდან თარგმნა ხათუნა თოდუამ	45
პროზა მაია ციციშვილი ნიუ-ორლეანი – ნილბების ქალაქი მოთხრობა	25		
ჟრიტისა, ესეისტისა თამარ გელიტაშვილი სუნთქვისა და სიკეთის შემგროვებელი (ნათია როსტიაშვილის მოთხრობები)	39	არტრევის იოსებ ჭუმბურიძე „დაუმთავრებელი“ მთლიანობა (შტრიხები ზურაბ ნიუარა- ძის პორტრეტისათვის მისი- ვე მასტერკლასების ფონზე)	77

გარეკანზე – ზურაბ ნიუარაძე:
 „ნატურმორტი“; „მოხუცი მამლით“

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
 გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
 უურნალის ყოველი წომრის ელვერსია მომდევნო წომრის გამოსვლისთანავე
 განთავსდება ჩვენს ფეისბუქვერდზე: <https://www.facebook.com/ciskari1852>

თორნიკე ნაროზაული



წყვდიაღში საკითხეავი

როგორ მოგიყვე, რაც უნდა მოვყვე,
როცა ჩემი ხმის თვითონ არ მჯერა?!
მე შემიძლია, ყოველდღე მოვკვდე
შენი სიცოცხლის გადასარჩენად...

ვიტყოდი ასე, მაგრამ ყალბია
დღეს ყოველგვარი თავგამოდება,
როცა ჩემიდან მკვდრებიც გარბიან,
წარმოიდგინე, რა ელოდება

მათ,
ვინც დარჩება
ცოცხალთაგანი,
ვინც გაექცევა იატაგანებს
და ყელს გამოსჭრის ჩემი სიცივე.
(სატირალია – მაინც ვიცინი!).

მე არ ვყოფილვარ ფრთხილი არასდროს,
ხიფათს ვეძებდი დღიდან გაჩენის,
ბედნიერია ის, ვინც გამასწრო.
უბედური ხარ შენ, ვინც დარჩები.

ვინც ჩემთან ერთად ლუკმას გაიყოფ
და მკერდს მშიერი ყრმა მოგეკვრება,
ეს ლექსები კი – ჭირმა წაილოს! –
იქაც იგივე ფასი ექნება,

რაც ჭირვეული ბავშვის საფენებს;
რაც ერთგულებას (ნუ გაწითლდები!)...

მეც გრანელივით მინდა გაფრენა,
მაგრამ იაშვილს უფრო ვჭირდები,

რომ გადავზომო სროლის მანძილი
საკუთარ თავთან, სეკუნდანტივით
ან დავენაფო აბებს საძილეს,
ვინძლო, იქნება უფრო მარტივი,

თუმცა, რას ვამბობ, რა სიმარტივე,
ლექსებზე მინდა ისევ ორიოდ
სიტყვის წარმოთქმა: „დედა ვატირე!“ –
ორი სიტყვაა, ხოდა, სწორია.

და იტყვის ვიღაც მოკრიტიკოსო:
მსგავსი კლიმატი ლექსს არ უხდება,
გინების ნაცვლად ლოცვა იყოსო
და რეცენზიულ გადაფურთხებას

ამოაყოლებს მგრგვინავ სტატიებს,
ნიშნისმოგებით, ნიშნად მოგების
და გაიყოფენ მის სიმპათიებს
ბლოგერები და მათი ბლოგები.

ხოლო ჩემს ლექსებს, ასე ნაღვლიანს,
ღამის წყვდიადში დაიგულებენ
გოგონები და ცრემლებს დაღვრიან
სატრუოს მოტანილ თაიგულებზე

და მიიკრავენ მკერდზე ნაწერებს,
ჯერფესაუდგმელ,
ყრმა ბავშვებივით
და უმღერებენ და დაარწევენ
და გაიხდიან ტანსაცმელივით

მსუბუქ სიმორცხვეს, რომ გაისველონ
ტანი უცნობი ბიჭის ქარიშხილით...
და, თქვენც, ნაცნობო დარბაისელნო,
ვინც ჩემს სიყვარულს არ და არ იშლით,

თქვენც ატირდებით და შემიცოდებთ,
თქვენ,
ვისაც ღმერთზე ძლიერად გწამდით,
შესაბამისად, მკვდარიც ვიცოცხლებ,
თუმცა ცოცხალი მკვდარს უფრო ვგავდი.

ასე, ძვირფასო ჩემო მხლებლებო,

ვცადე. დავწერე და ალბათ, დავხევ
ამ რომანტიკულ შეუძლებლობას,
რომ კი არ მოვკვდე – ავდგე და გავხმე.

ეპ-ლაქტიკა

რა ჯანდაბაა, რომ ველარ ვწერ?! ან რა პოზაა?!
ვზივარ ვაკეში, უკაცრავად, საბურთალოზე
და ვფიქრობ, როგორ გავურითმო პოზას – დოზანა,
ახალგაზრდობის ვარცლში სანამ სიკვდილს ამოვზელ.

ამ სიკვდილითაც დავიღალე – რალას მოვედო...
მესამე დღეა, სიყვარულო, შენს ხმას ვნატრულობ...
ლამის ქალაქში (აგდებულად) ისმის – „პოეტო!“
– გისმენთ, ბატონო უბნის პატრულო!

ახ! მომიტევეთ, ინსპექტორო! – ვამბობ აგდებით...
სხვა რა საქმე გვაქვს, ვიღრინებით, სანამ განთიადს
ჩაიცვამს ლამე და კარტივით არ დავლაგდებით
ხმელ საწოლებზე – მიგნებაა – უფრო ფაქტია!

ისიც ფაქტია, სუსტ რითმებში არ მყავს ბადალი!
დღეს გადავწყვიტე, რომ სამსახურს მხარი ვუქციო.
მახსოვს, ოდესალაც კლდე ვიყავი, ახლა ნათალი
ქვაც აღარ ვარ და შევცინივარ ცრუ აუქციონს,

სადაც სამშობლოს სასმის-სასმის ფასს უმატებენ...
– „ისევ სამშობლო?! თუ კაცი ხარ – რა გაახურე
ამ მაღალ-მაღალ ფარდოვნებით...“ – ყევენ კატები;
თავისუფლება ესიზმრებათ მეფის მსახურებს.

მე იმდენი მაქვს, აღარ ვიცი, სად დავატიო...
გთხოვ, სიყვარულო, ანგელოსთა მოდას არ აჟყვე,
გემუდარები, ყველაფერი არ მაპატიო,
ამ ტკივილს ნუღარ დაუმატებ ჩემს სიამაყეს!

მესამე დღეა ტელეფონის ეკრანს ვდარაჯობ.
უიმედობის დემონები ფუჭად ცდებიან.
მთელი სიცოცხლე მოლოდინში არ მსურს, დავხარჯო,
ასეთ სიკვდილზე არასოდეს მიოცნებია.

ვაწყობ შენს ირგვლივ, შემომხედე, ლექსის ხარაჩოს –
ვინ რიუნოსკე, მოპასანი, მურაკამი და...

გულზედამდგარმა სინანულმა რომ არ დამახრჩოს,
წყაროს წყალივით გადმოხეთქე შუალამიდან!

მშვიდობით, ჩემო დედინაცვალო!

„მშვიდობით! მივალ, დე, არხოგს აჩნდეს

ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი...“

გაბრიელ ჯაბუშანური

უნუგეშოდ ვარ, მშველელი არ ჩანს,
ის, ვინც მიცავდა, თავად გავწირე,
კედლებს ვაწყდები და ადგილს ვარჩევ
ამ ქვის ჯუნგლებში, მთების არწივი.

ვეძებ საბუდარს, მკვიდრს და საკუთარს,
ხამს შეველიო ახვრულ კმაყოფას,
სანამ აყვავდა, როგორც საკურა,
სისხლი და გულის ნორჩი ნაყოფი

დაზრა მთოშავი ზამთრის ქარებით...
დროა გავშალო რწმენის ქარაგმა,
ისე საეჭვოდ დავიარები,
თვალი არ მიყოს შავმა არაგვმა.

პროსპექტებს, ქუჩებს, კონკებს და არკებს
ძმადვეფიცები ათლილი ვერცხლით,
ვუყვები მზეზე – ჯანღს როგორ არბევს
და როგორ გრგვინავს სინათლის მხეცი
თოვლდიდში ჩაფლულ შუნის საშველად,
როცა ქალაქის მზე მოჰვავს ცერბერს –
მამის ცრემლივით ცხელს და საშინელს,
და ვიმეორებ – „მერმე და მერმე

უფლისა მიმართ...“, მაგრამ ბოლომდე
ვეღარ ვიხსენებ, რისი მჯეროდა.
მხოლოდ ის მახსოვს, მე რომ ვომობდი
ჩემი ქალაქი დითირამბებს როგორ მღეროდა...

რომ არ აკლებდნენ წმინდა უკანაოს
სითბოს, პროტესტის ცრუ მეარღნენი,
რომ კი არ ჰგავხარ, მართლა ძუკნა ხარ,
ზურგში მთემელი და პირში ამღები...

ჩემო გულცივო დედინაცვალო,
გტოვებ და მაინც უკან ვბრუნდები,
რომ კალმით ვქექო ლექსის ნაცარი,
ყვავილებივით ვკრიფო ხურდები

შენი კალთიდან...
რაიც არ მინდა –

უნდა გადვიქცე მთების თარეშად,
გავიქცე შავი შუალამიდან
და ვარსკვლავებით სავსე თვალებში

ჩემი არხოტის ცა ჩავიღვარო,
გული შერისხვის შხამით დავცალო,
რა გითხრა... მაგრად გადავიღალე,
მშვიდობით, ჩემო დედინაცვალო!

მშვიდობით,
დამსკდარ ბორდიულებზე
გამოფენილო ლამის ძუკნებო,
ვლოცულობ მე თქვენს წმინდა სულებზე,
თქვენც მომიხსენეთ დებო, უკლებლივ...

ერთგულო მტრებო და მოლალატე
შინაურებო, მშვიდობით, გტოვებთ,
გიტოვებთ ქუჩის ძვირფას პალატებს,
(რამდენიც გინდათ წოვეთ და წოვეთ
სისხლი, თქვენს ქალაქს, თბილი სისინით)
ფეხზე მეკიდა მუდამ ისინი!

მათ კი, ვის გამოც ვიმართებოდი
ყველა დაცემის შემდეგ – სახსოვრად
გიტოვებთ „თაბორს“ – ლოცვით ძლებოდეთ!
ებარებოდეთ ჯვარცმულ მაცხოვარს.

მე კი ვშორდები მკვდარ ნავსაყუდარს,
მგზვრი არასდროს დაიკარგება...
ეს მე ვარ ჩემი თავის განგება,
თავისუფლებას ვიქმნი
საკუთარს.
ჯვარი დამწეროს ჯვარცმის გამგებმა.
სამ დღეში სიტყვით ტაძრის ამგებმა.

ვისაც ვკარგავთ და არ იკარგება.

Black Marlboro

ყველა არსებულ აზრის თანახმად,
ჯერ არ არსებობს ურყევი აზრი.
არ შეგვიძლია განცდის დანახვა,
შესაბამისად – არჩევა განცდის.

არ შეგვიძლია ნების არჩევა,
რადგან სიცოცხლე ის არის მხოლოდ,

ჩვენგან რაც რჩება და გადარჩება,
რისთვისაც მთელი ცხოვრება ვომობთ,

რომ მარადიულ ჭრილობას – სევდას,
განკაცებული ღმერთის სახელით,
ნება არ მივცეთ, გაიხსნას მეტად
და გადაგვყლაპოს, როგორც ნახველი.

რომ

შვილებამდე
მიტანილ ტანჯვას
ერქვას ამაყი მამის სახელი
და ოპინელით დასერილ მაჯას
გადაეხვიოს რწმენის სახვევი,
რწმენის, რომელსაც ერთგული ცოლი
ყოველ მიმწუხრზე პურივოთ გვაკრავს
მკერდზე, რომელზეც სასტიკი ბრძოლით
ასიათასი გავსრისეთ მახრა.

მკერდზე, რომელზეც სიყვარულს ვიცვამთ
ტყვიაგაუმტარ ჯავშანის ნაცვლად
და უკვე შვიდგზის გატეხილ ფიცზე
იმედის მარცვლებს სკვნილივით ვმარცვლავთ,

რომ დავუმტკიცოთ საკუთარ მოდგმას,
როგორც
ნყვდიადში დამწყვდეულ მონსტრებს
მდინარის პირას ჯდომას და მოთქმას
ქაჯეთის ციხის შემუსვრა მოსდევს.

და როგორც თქმულა – სიცოცხლეს ნაზრახს,
შიშველი ხელით ვეფხვებთან ბრძოლა
სჯოპს, რადგან ნარჩენს ქოფაკიც გახრავს,
მაგრამ სახლიდან გაგდებულს ძრწოლა

აიტანს შყისვე და იწყებს წკავკავს,
ის ვერ შეუშვერს ქარიშხალს სახეს
მგელივით, რადგან სიცივე დასწვავს
და ვერდანერილ ლექსივით დახევს.

ის ვერ გათელავს ეკლიან გზაწვრილს
და შეშინდება სავსე მთვარისას,
როცა დალანდავს საკუთარ აჩრდილს,
ვერ ააყოლებს ყმუილს ქარის ხმას,
რადგან სუსტია ბუნების ნებით,
რადგან

წვრთნა ვერ ცვლის ბუნების კანონს
და მხოლოდ ყეფით, ძალური ყეფით
პატრონს აუწყებს სიკვდილისს ანონსს.

ჩვენ კი პირაჭრილ ზვების პირისპირ
ვდგავართ სინათლის რწმენის დასტურად
და მაინც შიში წვეთავს ძილის წინ
ცივი ოფლივით და თბილ სასთუმალს

იპყრობს სიცივე, როგორც ნერონი
ჯვარცმული ღმერთის ფარულ მიმდევრებს
და გვიმეორებს...
და იმეორებს.
ძველ მოტივებზე შექმნილ სიმღერებს.

რა მოტივითაც პირში ვესროლეთ
და მივახალეთ ზურგში სათქმელი,
მაშინ დავყრულდით, როცა გვესმოდა
და გავიფანტეთ, როცა გავმთელდით.

როცა ვიცვლიდით ნილბებს ფარულად
და ერდოებზე ლოცვებს ვყმულდით
და გრძელ ტოგებში გადამალულებს,
ბასრ გლადიუსებს სისხლი შიოდათ.

შიში მოჟონავს ვიწრო რუებად
და სინანულის მდორე საგუბარს
ამღვრევს სინდისის დასაყრუებლად
და მშრალ თვალებში ცრემლებს აგუბებს.
და ისევ ღმერთი, როგორც დილემა
ანდა მეუფე მეხთა კი არა –
ღმერთი – განცდა და გამოცდილება
ღმერთი – ფირნველთა ფრთების შრიალი.
მოდის
ზაფხულის
ჭექა-ქუხილით,
სულზე გვაწვიმს
და
წვიმის ხმით გალობს,
რომ განაქარვოს ჩვენი წუხილი,
მისი მოკვლის და გაცემის გამო.


ჩვენ ვფიქრობთ, თითქოს – „შავი მარლბორო
ამშვიდებს ნერვებს“ და ძილს ვეცემით.
ღმერთი კი დგება და უთავბოლო
ქუჩას მიჰყება ხელის ცეცებით.

●
ასე მგონია, დამშრალი ჭა ვარ
და დავავიწყდი ყველა ბედუინს,
არადა ზოგჯერ რა სავსე ვჩანვარ,
რა ბედნიერად – საუბედუროდ...

დავდივარ,
მხრებით ხის ჯვარი დამაქვს,
როგორც საწმისი, ვინმე იასონს,
რომ იღალადოს ყრმამაც და ქვამაც
რა უბრალო ხარ, ჩემო იესო.

წერილი პაპას

მე და შენ ახლა ათას მეტრზე მეტი გვაშორებს,
(ჩვენი სოფლიდან ამ მანძილზე ცხოვრობს ქალაქი),
შენ, ალბათ, გძინავს, მე კი თითებს მელანს ვაშორებ,
პაპა და სულ არ მედარდება, რომ ლაპარაკი
შენზე უკეთ ბავშვსაც გამოსდის.



სულ არ მადარდებს, პაპაჩემო, ახლა ის ფაქტი,
რომ ინფარქტი თუ ინსულტი გაქვს გადატანილი,
რომ შვილიშვილის მონატრება ცრემლად ჩამოგდის,
რომ ყოველ ღამით სიკვდილს ირჩევ არადანივით.

არც ის მადარდებს, წარსულის ხმა რას გამოგძახის,
რადგან ყოველი ალიონი შობის დარია,
მაშინ თუ არა, ახლა მაინც იცი ოჯახის
ფასი და სადლაც, ალბათ, შენც გიხარია,
რომ აქ ქალაქი გუგუნებს და მანდ კი შაშვები

უგალობენ უფალს ოსანას,
შვილიშვილები ყოველდამით რომ გაგონდებით
და ჩვენც, როდესაც ვიკრიბებით, პაპა, ბავშვები,
ერთმანეთს შენზე საუბრით და ცრემლით ვშორდებით.

ზოგჯერ, იმასაც გავიფიქრებ, რომ ზოგი ჭირი
მარგებელია
და ჩვენც შეგვერგო შენი წვალება,
რომელიც ჩვენი სიყვარულით მოიჭირვე
და საჩუქრად ფერისცვალება –
თვალის ფერის,
სულის ფერის,
გულის ფერის – გერგო ღმერთისგან
და ახლა, ასე, ყველასთვის და მარტო შენთვის ხარ.

ბებოს მოკითხვა გადაეცი, ფატი მამიდას
უთხარი – ლექსებს აღარ წერსო შენი ძმისშვილი,
უფალთან სიტყვა შემანის, მჯერა, დამიცავს
მისი ლოცვები, თორემ უკვე მიჭირს შიმშილი.

ძალლს კი, რომელიც აივნიდან უყეფს ჭრიჭინებს,
რომელსაც ბიმი დავარქვით და ეძახი ბოთას,
რომელიც მხოლოდ ძილს გვიფრთხობს
და საქმეს გვიჭირებს,
დაუძახე და მოეფერე ჩემ ნაცვლად ცოტა.

აბა, შენ იცი, რომ ჩამოვალ ღია დამიხვდეს
მარნის კი არა, გულის კარი.
ღვინო კი არა, სიყვარული უნდა დავლიო,
მთელი ზაფხული შენს თვალებში გადავავლიო,
სანამ შენს ყოფნას დრო არყოფნის ხელით დამიხევს.
ღია დამიხვდეს ტაძრის კარი, სოფლის მოძღვარი
შენი ნათლობის საიდუმლოს სადაც აღავლენს,
რომ აღარასდროს შემეშინდეს ავი მეცხვარის,
ჯვარს შესანირი ტარიგივით ხელს თუ დაგავლებს.

აბა, შენ იცი, რომ ჩამოვალ, უნდა მანახო
კაცი, რომელიც ინსულტიან ხორცში დამალე
და შემთხვევითაც არ წამოგცდეს სიტყვა – დამარხვა,
არ ჩაეტევა ჯერ შენს სხეულს ბნელი სამარე.

მე და შენ ახლა ათას მეტრზე მეტი გვაშორებს,
(ჩვენი სოფლიდან ამ მანძილზე ცხოვრობს ქალაქი),
შენ, ალბათ, გძინავს, მე კი თითებს მელანს ვაშორებ
და უკვე ასჯერ დალაგებულ თაროს ვალაგებ.

Helliou

მზის გულზე ვდგავარ.
 თებერვლის ჩვიდმეტს
 გადმოუგდია ტალახში ენა
 და თოვლი,
 როგორც რძისფერი ლავა
 შეუჩერებლად აგრძელებს დენას
 ტკბილსველისფერი ციდან.
 დავყურებ
 მიწას ღმერთი – ჰელიოს,
 მიჭირვს ხელში ცეცხლის სამყურა
 და ვწყევლი ქვეყნად ყველა გენიოსს:
 „გისმენდნენ, მაგრამ ვერას იგებდნენ,
 გხედავდნენ, მაგრამ გთვლიდნენ არარად
 და გჭამდეთ სევდა, როგორც იქედნე,
 როგორც უდაბნოს ქვიშა ქარავანს!..“

და მოდის თოვლი,
 მზის ღმერთის კრულვა,
 მოდის და ყინვის ეშვებს ილესავს
 და ქვეყნად ყველა გვირილას ვძულვარ,
 როგორც ჰეროდეს სძულდა იესო.
 და ვძულვარ ქვეყნად ყველა კესანეს,
 როგორც მიჯნურ გულს, ვინმე მესამე.
 მზის გულზე ვდგავარ და შიშველ ტერფებს
 ცეცხლში გამხმარი პურივით ვაწებ
 და თოვლის ფიფიქებს – გაყინულ ელფებს,
 თვალის ჭრილების აკვანში ვარწევ.
 მზის გულზე ვდგავარ ღმერთი – ჰელიოს,
 უსასრულობის სენით სნეული
 და ვცდილობ, ვცდილობ არ შევერიო
 ფერგახუნებულ ათასწლეულებს.



ნისლში გახვეული ველი.
 ძველი საკურთხევლის
 ერდო.
 ღმერთო, არ გამიშვა ხელი.
 ხელი არ გამიშვა, ღმერთო.
 ვდგავარ შემოსილი სტიქრით.
 იწვის შარშანდელი ბზები.
 გზები გათელილი ფიქრით.
 ფიქრით გათელილი გზები.
 ჯვართან გაბნეული ვარდი.

გვახსოვს ყველაფერი, ღმერთო.
მწმადი. მიყვარდი და გგავდი.
გგავდი. მიყვარდი და მწამდი –
ერთ დროს.

ყველაფერი დავწვი,
რაც სულის სიმშვიდეს მგვრიდა.
ციდან შებინდება მაწვიმს.
მაწვიმს შებინდება ციდან.
ის საკმეველი ათრობს,
ნისლისთავსაფრიან ფერდობს.
ღმერთო, ყველაფრისთვის, გმადლობ.
გმადლობ ყველაფრისთვის, ღმერთო!

●

მითოსთა ანტიკურ ხანიდან,
ათენას მწვავს ციებ-ცხელება,
ტერფები, მკერდი და ტანი და
ხალები, მხრები და ხელები.

თვალებში თვლემს
ავი კრონოსი
და პოსეიდონის ქარიზმა,
ვერ ნახა ამ გულის სოროში
ადგილი ტროელმა პარისმა.

სიზიფეს უინს ვეატლასები.
მწუხრია... გავყურებ ელადას...
და გამოცლილი ვარ სავსებით,
ვით ტაძრის ფრესკაზე ხელადა.

მე შევსვამ მდინარე ლეთიანს,
დროს მოვხრი და გავინადავლებ,
დავწერ, რომ პოეტი ღმერთია,
ღმერთები სახლიდან გადავლენ,

ქაოსი დაადებს ყადალას,
ოლიმპოს – მაღალფანჯრებიანს,
შენ, დარჩი, შენ, ნურსად გადახვალ!
თუ წახვალ, ზღვებიც დაშრებიან.

მითოსთა ანტიკურ ხანიდან,
მე ვდგავარ, ვით კოლიზეუმი
და ლამის უძირო ხრამიდან
ყოველ დღე ამომაქვს სხეული.

შინშებს

ჩვენ არ გაჩენილი თაობა ვართ ხევსურეთის,
ჩვენ არ დარჩენილი თაობა ვართ ახიელას,
ჩვენ არ გვიმღეროდნენ ჭიუხებში
მგლებზე მონადირე ხევსურები.

ერთხელ არ ჩაგვიცვამს პაპის შავჯვრიანი ტალავარი,
მთები არ გვინახავს, თვალი პირველად რომ გავახილეთ,
ჩვენს სახლს არ ჰქონია ქავისკარიანი გალავანი,
ჩვენი ხევსურობაც სადღაც, ქიზიყისკენ გავამხილეთ.
ჩვენ არ გვაშინებდა ლამე მაძახურას დაძახილი,
ლურჯა არ გვყოლია შინშებს უბელო და ულაგამო,
შუბლი არ გვქონია ხმლისგან ნაკეჭნი და ჩაჩეხილი,
და არც სიყვარული გვისწავლია უანგარო.
გვეცვა ჯინსები და აღმართს მივყვებოდით ასფალტიანს,
არსად გადაგვყრია ნათოვლ გზანვრილებზე მაცილები,
არას ვიწუნებდით უამის სიმუხთლეს და წალმა ტრიალს,
ღამეს არც ლექსებით ვაცილებდით
და არც ცას სწვდებოდა ჩვენი ცეცხლისპირას ნამღერალი,
გვიან გავუსინჯეთ გემო კეცეულებს ჯინჭარიანს,
შემთვრალ ახალუხლებს ხელში არ გვჭერია ნალვერდალი
და არც გამტყდარ ცელზე გვიჯავრია.
გვიან მიგვაბარა ჯვრისკარს გადამთვრალმა ნახუცარმა,
რწმენა ჩაგვაბოლა სულში გატენილი ყალიონით,
ცხვრები დასტურების მუხლზე დახოცა და
მღერით შათენა ალიონი.

გვშურდა ერთმანეთის სატკივარი,
გვძულდა ერთმანეთის მონატრება,
გვქონდა ერთნაირი ხასიათი,
გვეცვა ერთმანეთის ტანსაცმელი...
მამებს ხევსურეთზე ვაყოლებდით
და ეს მონატრება მოგვათრევდა,
დღემდე არსად გვქონდა გასაქცევი
ჩვენი არ ნაქონი სოფლებიდან.
დღეებს ვითვლიდით
და ვალურჯებდით,
დევებს ვდარაჯობდით შუალამით,
თუმცა არასოდეს მოფრენილან
თავის მითიური ფასკუნჯებით.
გვწამდა კოპალა და იახსარი,
პაპის სალამურა ზღაპრებიდან,
სულში გვიძვრებოდა ცრურწმენებად
გველის, ციცისა და ძალლის წელი,

ფიფქებს არ ვითვლიდით გარიურაჟზე
ჩვენი არ ნაქონი ფანჯრებიდან,
წყლულებს არ გვხვევდა მაისტელი,

ჩვენ არ გაჩენილი თაობა ვართ ხევსურეთის.
ჩვენ არ დარჩენილი თაობა ვართ ახიელას.
ლუდი არ გვისვია ხელ-სურებით.
ჩვენ არ გვიმღეროდნენ ჭიუხებში
მგლებზე მონადირე ხევსურები.

დაკარგული ღმერთი

ღმერთი თუ ყველგან არის, ახლა ამ ლექსისაც წაიკითხავს;
ღმერთი თუ სიყვარულია, ამ ლექსის ავტორიც ეყვარება;
არავის განვიკითხავ და ნურც შენ განვიკითხავ,
ღმერთო,
ჩემს უდროო დაბერებას,
უდროო შელამებას.
ყვითელი ფოთლებია. მწვანეა ბალახი. წიწვები...
ჩემი სინდისიც მეყოფა სასჯელად – უთქმელი ჯავრი.
ჯოჯოსეთის გარეშეც ვიტანჯები. გეენის გარეშეც
ვიწვები.
მომხსენი, უფალო, მხრებიდან და გულზე დამკიდე ჯვარი.

მე შენი მოღალატე შვილი ვარ. დალლილი მსახური.
ცა, თითქოს, ქუდი იყოს – მზეს თავზე აფარია.
შენ სახარება, რა ხანია, გადავიკითხე და
დავხურე.
შენი დაბადება.
ჯვარცმა და ალდგომა
თითქოს ზაღაპარია –

ვერაფრით ვიჯერებ,
რომ მე მოგაწოდე წყლის მაგიერ
ძმრიანი ნაჭერი, რომ შუბი ავიღე და გვერდში დაგჭერი;
ყველაფრის თავი და თავი მე ვარ – ეშმაკი ვინ ეშმაკი?!
მე ვარ მეთორმეტე მოციქული, შენი ღმერთობის რომ
არ სჯერა.

რომელი სამშობლო შევიყვარო?
რომელ მიწა-წყალს ვიცავდე?
ჰაერი ადუღებული კუპრივით მესხმება ყელში.
მუხლმოყრილი ვარ და თავდახრილი მიწამდე,
მაინც სიძულვილი მიჭირავს, სიყვარულის ნაცვლად
ხელში.

მე ის ვარ,
ვის გამოც გაიაფდა
შენი სახელი ოცდაათ ვერცხლამდე.
მე ვარ მღვდელმთავარი კაიაფა –
ეშმაკად გრაცხავდი;
რისხვის ხმით გცეცხლავდი
და ჯვარზე მინდოდა ამეყვანე;
სიცრუეს სიმართლით ვნილბავდი,
შენი სიყვარული მაგიურებდა –

მე როცა მძულდი და არ მიყვარდი...
მე როცა მძულდი და არ მიყვარდი...
მე როცა მძულდი და არ მიყვარდი...
შენ მაინც გიყვარდი.
შენ მაინც გიყვარდი.
შენ მაინც გიყვარდი.

შენი გამცემი შემიყვარე.
შენი ჯალათი შემიყვარე.
ცილისმნამებელი შემიყვარე.
შენი ჯვარმცმელი შემიყვარე.
არაფრის გამო და არაფრისთვის,
მე კი შენს სამოსსაც დავაფრინდი
სვავივით.
წილი ვიყარე და გავიყავი.
თავზე ნაკვერჩხლებად დავიყარე
შენი უცოდველი სისხლის ნამცეცები.
სამარხში მკვდარივით დაგეძებდი,
ხელებს შენს სხეულზე ვაცეცებდი,
მაინც ვერ შევძელი დაჯერება
დღემდე ვერ შევძელი დაჯერება,
რომ ღმერთი იყავი და კაცად იქეც.
რომ ღმერთი იყავი და არ დაგვსაჯე.
რომ ღმერთი იყავი და ჯვარზე მოკვდი.

რომ ღმერთი იყავი და ხარ!



დავილალე. ყველა კუნთი მტკივა. ვისვენებ.
ყვითელი ფოთლებია. წინვებია და მწვანე ბალახი.
როდესაც მიჭირს, მაშინ მჭირდები და გიხსენებ.
სხვისთვის ყველგან ხარ და ყოველთვის –
ჩემთვის არასოდეს არა ხარ.

იესო, მე მოვედი.
ამ შენობაზე მითხრეს, რომ შენი სახლია;

რომ აქ შეიძლება შენი დანახვა;
 რომ აქ სიმშვიდე და მადლია;
 და მეც მოვედი.
 აქ შენი ხატებია, მაგრამ შენ არა ხარ.
 აქ შენი სისხლი და ხორცია, მაგრამ შენ არა ხარ.
 აქ შენი სახელის მადიდებელი ხალხია, მაგრამ შენ არა ხარ.

მეუბნებიან, რომ გულში მოგძებნო,
 როგორ ვუთხრა მათ, რომ იქიდან ჩემი ნებით გაგიშვი?
 რომ გაიძულე წასვლა – მზრუნველ მამას, საუკეთესო მე-
 გობარს,
 ახლა კი ვდგავარ შენი სახლის ეზოში და ხმის ჩაწყვეტამ-
 დე ვჩურჩულებ –
 სადა ხარ?
 სად ხარ?
 სად???

თვითმკვლელთა ბლუზი

„წასვლა გამიგია, მაგრამ – პოეტურად!
 არის მიტოვებაც, მაგრამ – გალანტური!“
 გ. საჯაია

მე, როცა მინდა, დავიძნებ.
 შენ, როცა გინდა, გამეღვიძოს.
 ყველა კარგად ყოფნა ჩამეძირა
 სისხლში, ქალალდის ნავებივით.
 წლები გაიწელნენ წამებივით.
 ხეები ფოთლებივით ჩამოცვივდნენ
 მინიდან, როდესაც ჰორიზონტზე
 ზამთრის ქარებივით წამოვწექით
 და წვიმას მღეროდა მორისონი.
 და შენ ჩურჩულებდი: „წამოწვიმა...“
 და შენ ჩურჩულებდი დავიწყებას.
 მზემ რომ ალიონი ამოჭიმა,
 მერე თითქოს თოკი გაუწყდა და
 ცა მზის ნაფლეთებით დაიფარა.
 ფერგახუნებული ნაფლეთებით,
 შენ სულზე თვალები აიფარე
 ქალური ძრნოლითა და დაფეთებით.
 მე მივხვდი, რომ გულში არ მეტევი
 და ძვლებში და სისხლში გამოჟონე.
 ჩიტები – ღმერთის აგენტები –
 მოფრინდნენ.
 აგკენკეს
 და
 განმეშორნენ.

ყველას ჰყავს, ერთი მაინც, ანა ბელი
და ყველა, ერთხელ მაინც, ედგარია,
ოოხე, რა ნაადრევად დამაბერე!
(შემსვი ასი გრამი რეგალივით).
ფრთხილად!

მაგ ბილიკზე ეკალია.
ფართო გირჩევნია გასავალი,
სადაც მრავლად ყრია ფეკალია,
რა გვაქვს ერთმანეთთან დასამალი?!
რა გვაქვს ერთმანეთთან სათვალთმაქცო?!
მე ამ თვალთმაქცობამ გადამქანცა.

გზაზე დავწები და ნუ იცინი.
მოვა სიკვდილი და გამაციებს.
მე ვერ მომერევა სუიციდი.
სიკვდილიც ჩემი ძმაკაცია.
ტოტებმა ხები ჩაიბრუნეს,
ისეთი ყინვაა და ყიამეთი,
ყველა ტაძრის კარი დაიხურა
ჩემთვის –
მთელი საქრისტიანეთი.
ესენი არასოდეს ლოცულობენ,
მათზე,
ვინც სხვანირად ლოცულობდა,
დგანან იესოსგან მოცილებით,
რადგან უკვირთ მისი მოცულობა.
ბევრი საქმისაგან – მოცლილები.
ბევრი საქსებისაგან – დაცლილები.
დაუოკებელი მორჩილები.
ოქროს მიტრიანი მაცილები.

ყველა ერთნაირი ნაგავია
ღმერთის წინაშე და ზურგს უკანაც!
მკერდი დაბომბილი სანგარივით
მეწვის.ეს თვითმკვლელთა მუსიკაა.
ვინც ვერ შეიყვარა გადარჩენამ,
ვინც ცხვრის ფარასავით გადარეკა
ქარმა. თუ ღმერთი გწამს, გამაჩერე,
სანამ ერთნაირად გადალეკავს,
ჩემი კარგად ყოფნის ილუზია,
სისხლი – დაძველებულ სასმელივით,
ჩვენი საუკუნის კოლიზეუმს –
ანუ ქუჩასა და მასმედიას.
გადალეკავსა და გადალოკავს.
პრბო კი ხელჩაქნეულ „ღმერთო ჩემო“-ს
სამადლო ლუკმასავით გადმომიგდებს,

ზედვე დააყოლებს ერთ-ორ რჩევას,
რამე ისე რომ არ გამოვიდეს,
თითქოს ყველაფერი სულერთია.
რადგან მათ ვერაფრით დაიჯერეს,
ხიდიდან გადამხტარი სულელივით
სიკვდილი ჩვენ კი არ დავჩირეთ,
სიკვდილმა თვითონ დაგვიჩემა,
სიკვდილმა თვითონ დაგვიჩემა
ჭკუაგაქსუებული პოეტები.
ათასი ღამის ღალატით და
ათასი დილის მიტოვებით,
თუნდაც უაღრესად გალანტურად,
არისტოკრატული ნაბიჯებით.

ღმერთსაც ვერაფერში გავამტყუვნებთ,
თვითონაც მივხვდით და დავიჯერეთ,
რომ კარგად ვიცოდით, რას ვიქმოდით,
როცა შვილებს ფრთები დავამტვრიეთ,
როცა მამებს ყელი გამოვჭერით,
ყველას ყველაფერი ვაპატიეთ
პირში და ზურგიდან
გამოვჭამეთ.

მე ახლა უნდა დავძინო.
შენ როცა მოხვალ, გამალვიძე.
შუბლზე მაკოცე და გაიცინე –
ცისარტყელასავით. გამაცინე
მეც.
იქამდე არაფერი მეტკინება,
როგორც იტყვიან და მეტყველებენ
ძვლებჩაქვავებული ქვითკირები,

არადა, რამხელა სეტყვა მოდის.
არადა, რამხელა სეტყვა მოდის.
არადა, რამხელა სეტყვა მოდის.

მწყემსი მარიამ

ფერმისკენ მიდის და ღილინებს ვაჟას პოემას.
ხევსურის ქალა, ცისფერთვალა მწყემსი მარიამ.
ის ჯერ არ იცნობს ამ ცხოვრების ამაოებას.
დედის დანახვა მას პირველად არ უხარია.
ფერმისკენ მიდის
ცისფერთვალა მწყემსი მარიამ.
ისე გათხოვდა, საქმრო თვალით არ დაუნახავს,
კაცის მკლავები ელანდება სახრჩობელებად,

ნეფის მაყრიონს მისი მზერა გზას დაუნალმავს
და ცისთვალები იქცევიან გულცივ მკვლელებად.
ფერმისკენ მიდის და ლილინებს ვაჟას პოემას.
ხევსურის ქალა, ცისფერთვალა მწყემსი მარიამ.
ის ჯერ არ იცნობს ამ ცხოვრების ამაოებას.
დედის დანახვა მას პირველად არ უხარია.
ფერმისკენ მიდის
ცისფერთვალა მწყემსი მარიამ.

ჩიტის ბუდეებს უთვალთვალებს თვალებკამკამა,
მინდვრის ყვავილებს ეფერება უკანასკნელად...
მისი სხეული ფოთოლივით რატომ კანკალებს?
გული რად ფეთქავს ისე თითქოს მალე გასკდება?

ფერმისკენ მიდის და ლილინებს ვაჟას პოემას.
ხევსურის ქალა, ცისფერთვალა მწყემსი მარიამ.
ის ჯერ არ იცნობს ამ ცხოვრების ამაოებას.
დედის დანახვა მას პირველად არ უხარია.
ფერმისკენ მიდის
ცისფერთვალა მწყემსი მარიამ.

ასწავლეს – ცხენზე ჯირითი და თოფის ხმარება,
გვერდის აქცევა, სად სამანთა წმინდა ძვლებია,
ზვავი სად წყდება და გზანვრილი სად იხრამება,
მაგრამ ტკივილის მართვა არვის უსწავლებია.

ფერმისკენ მიდის და ლილინებს ვაჟას პოემას.
ხევსურის ქალა, ცისფერთვალა მწყემსი მარიამ.
ის ჯერ არ იცნობს ამ ცხოვრების ამაოებას.
დედის დანახვა მას პირველად არ უხარია.
ფერმისკენ მიდის
ცისფერთვალა მწყემსი მარიამ.

ხევსურის ქალი მტერს უომრად არ ეგუება,
რა გინდ სასტიკი ბედის ურდო შემოეჯაროს,
მღერის მარიამ ჩანჩქერებად და მთის რუებად:
წუთისოფელო, დახელთულო, ბეჩავთ მხლეჩავო!

ფერმისკენ მიდის და ლილინებს ვაჟას პოემას.
ხევსურის ქალა, ცისფერთვალა მწყემსი მარიამ.
ის ჯერ არ იცნობს ამ ცხოვრების ამაოებას.
დედის დანახვა მას პირველად არ უხარია.
ფერმისკენ მიდის
ცისფერთვალა მწყემსი მარიამ.
ეუბნებიან, რომ ეს კაცი მისი ქმარია.
ტირის მარიამ.

შენ ხარ უდაბნო

ბევრი საიდან შემეგროვა, ცოტაც ვერ ვნახე.
ვგავარ ოაზისს წყალუხვს, მაგრამ უბედუინოს,
შენ ხარ უდაბნო, საქართველო, რაის ვენახი,
სავსე ქვიშით და ქარიშხლებით უბედურების.

ამ ყველაფერს კი პირი უჩანს ისე უგვანი,
ვინძლო, ვერასდროს მოაღწიო ჩემს სიმწვანემდე,
შენ, ძალლის თავი იქ დამარხე, სადაც უგანე
მხარი, მთის ვიწრო ბილიკებს და ტრასებს დანებდი.

სეებს ხელები დააჭერი და ყავარჯვნებად
ლამპიონები შეაჩეჩე, ელნათურები,
ამ ესთეტიკის დედაც-მეთქი, რის გამარჯვება?!
ალგეთელ ლეკვებს ძვლებიანად ჭამენ ტურები.

ესეც ნანატრი მომავალი, ჩემო ილია,
კარგად დაგხედე, დაგვაკვირდი ცის სიმაღლიდან,
ქვეყნიდან ყველა გასასვლელი გზა გახსნილია,
ყველა გადარჩა, ვინც წავიდა მამის სახლიდან.

უძლები შვილი მაძლარია, ხოლო ერთგული,
უკეთუ, იყოს... უკეთესად მაინც არ არის.
ლუკმის მაგივრად, გადავტეხეთ ორად ენგური,
დავწვით ხიდები, ამოვქოლეთ ყველა დარანი.

დავწვით სახლები, ნალიები და გალიები
შევკარით ძვლებით სამედოდ, ხარისხიანად.
და ჩავანაცვლეთ „მოსკოვები“ „ანტალიებით...“
დილის რადიო იუწყება ხალისიანად,

მოდი, ისწრაფე, დაენაფე ვიწრო წყაროებს,
არ გეკადრება, საქართველო, რაის მაღლობა?!
წყალს ეხვენება კერპად ქცეულ წყლის სანარმოებს
ძლევამოსილი ეროვნული თვითმყოფადობა.

აქ ვდგავარ, თუმცა სხვაგვარადაც შეიძლებოდა
საქმის წარმართვა – სარფიანად, მომგებიანად,
მიწა კი არა, ჯოჯოხეთიც შეიძვრებოდა
ქურუმებიან, პაპებიან, მოგვებიანად,

ჩემი სასტიკი წაბიჯების შეუვალობით,
მაგრამ ქარიშხლად ყოფნას ისევ სიოდ ვარჩიე,
უფლის ან, იქნებ, საკუთარი თავის წყალობით,
ყვავილთა მოდგმა გადათელვას გადავარჩინე.

მოდი, ისწრაფე, დაეწაფე ჩემს სავანეებს,
ჩემო მაშვრალო, საქართველო, აქ გადარჩები,
ამ ერთგულებას თავს არასდროს არ დავანებებ,
შენც რომ წახვიდე, მე აქ ვდგავარ და აქ დავრჩები!

ძილისპირული

როგორ აეწყო ყველაფერი, ჩემო ყვითელო
გულო, რუბიკის კუბიკივით, პროპორციების
დაცვით – ჯერ იყო დაბადება, მერე სიკვდილი,
თუმცა სხვაგვარი, დროებითი, როგორც ციება.

ხმობა: ხისა თუ ნაყოფის თუ მარცვლის და განცდის...
შესაბამისად – აღარც მადლი, აღარც მშვიდობა...
მე მაშინ შევცდი, როცა ვიშვი და არ განვკაცდი
ანუ დროულად რომ ვერ მივხვდი, აქ რა მინდოდა.

აქ, სადაც ყველა თავის გზაზე მიდის ლოთივით
და თვალი მაინც უკან რჩება, უმაღ მოტივი
რომ გამოძებნონ დაცემულთა გადასათელად,
მოკლედ, აქ, სადაც, ყველაფერი არის ნათელი,

რაც იმას ნიშნავს, რომ სიბნელეც სადღაც აქვეა,
როგორც ცდუნება მოკვდავთაგან დასაძლეველი...
ესეც საქმეა, პოეზიავ, ესეც საქმეა –
ლექსს შეაფარო უბინაო ნაზარეველი.

სხვები კი...
სხვები ჩემს ინტერესს ნაკლებად კვეთენ,
მე მსურდა შენთან მესაუბრა ვირტუალურად,
ან რა საქმე მაქვს, სიყვარულო, საუბრის მეტი,
როცა მინდიხარ ასე ცხადად და დაფარულად.

როცა იმდენად ახლო ხარ, რომ ვერც კი გეხები,
როცა იმდენად შორი ხარ, რომ ძალა არ მყოფნის,
ნავიდე შენგან, უკან მრჩება მხრებიც, ფეხებიც,
შესაბამისად, ვრჩები შენთან, გზის უარყოფით
გამოწვეული ტრავმებით და ლექსჩაქცევებით,
რადგან ამ ხალხში, მათ გულებში და მათ ქცევებში
ვერსად ვიპოვე, ვისი პოვნაც მსურდა ესოდენ –
მისი სახელი იესოა. უნდა გესმოდეს,

შენ, ყველაფერი ზედმიწევნით, ჩემო ყვითელო,
ეს ღმერთნაკულული სიყვარული რომ გამიმთელო,
რომ დამარწმუნო – აქ დარჩენა ჯობდა ხეტიალს.
რომ კარგად ყოფნა პოეტისთვის მეტისმეტია.

ასე, ამგვარად, რაც იყო და რაც არ იქნება,
შენს ხელში არის ჩემო სულო, ჩემო თავ-ბედო,
რადგან შენა ხარ ერთადერთი ჩემი მიგნება,
შენ ხარ ის სახლი, სადაც ვიშვი, სადაც დავბერდი;

სადაც ჯერ ისევ ბავშვი ვარ და ლექსებს გიყვები;
სადაც ფანჯრებთან ქოთნებივით სხედან ციყვები;
სადაც პრინცი ვარ უთვისტომო და თავქარიან
კარმას ვტკურნალობ...
სადაც მხოლოდ ერთი კარია,
რომელსაც სისხლით აწერია: „ნეტარ არიან
მასში შემსვლელი, სამუდამოდ, არა დროებით!“
მახსოვს ოდესლაც მგზავრი შემხვდა, გზაარეული,
და შემომჩივლა დამაშვრალმა ამაოებით:

„ხელნაწერ ლექსებს სადღა ნახავ ანდა წერილებს,
კარგა ხანია ჩაანაცვლა ვორდმა რვეული...“

და გაიცინეს ხელნაწერმა ჩემმა ფიქრებმა,
მტრედებივით რომ გამოვგზავნე შენი სახლისკენ,
რადგან შენა ხარ ერთადერთი ჩემი მიგნება
და თვითონ მიკვირს, ხელის ხლება როგორ გავრისკე.

სწორედ ამიტომ, გულყვითელავ, უნდა გესმოდეს,
რა მარტივი ვარ, რა რთული და რა უცაბედი,
სანამ სიყვარულს ისარივით გულში გესროდე,
უნდა იცოდე, რაც გავბედე, რაც ვერ გავბედე.

თუმცა რაღა დროს ისრებია და რაინდები.
ეგ დრო წავიდა რა ხანია. ინოვაცია –
ერთი მესიჯით შემიძლია, რომ მომინდები,
გავიგო სად ხარ, რას აკეთებ ან რა გაცვია.

მაგრამ მე მაინც, ძველებურად, ამ ხელნაწერით
ვცადე გრძნობების აღწერა და დაანონსება,
და რაც დავწერე – დავწერე და რაც ვერ დავწერე,
ძილისპირულში გიგალობონ ანგელოსებმა.

Notre Dame de París

გამუდმებით ბედთან მოასპარეზე
ჩაფერფლილი კოცონივით ანათებ,
შენ წახვედი, აირჩიე პარიზი.
მე მთანმინდის მთვარეს
ვერ ვულალატე.

შენ აგიწვავს მხრებს ბოდლერის ამბორი
და გიშვილებს ღვთისმშობელი პარიზის,
მე დამიცავს განდეგილი თაბორი,
ფიქრს ამიმღვრევს ექო ტატოს ქარიზმის.

მოვიყუდებ ლუდის კათხას ქაფიანს
და ოცნებებს ნიჩბებივით მოვუსმევ,
შენ მოუსმენ ვინმე Lara Fabian-ს,
მე თეონა ქუმსიაშვილს მოვუსმენ.

არხოტისკენ გავჭრი
გზაწვრილს თოვლიანს
და მდინარეს შევერევი სენიანს,
მე ამღამი გაყინულს მიპოვიან,
შენ, პარიზში გიპოვნიან ცრემლიანს.



ბაია ციციშვილი

ნიუ-ორლეანი – ნიღბების ქალაში



2011წელი, ვაჟინგზონი

- შენ გახსენი!
- არა, ჯერ შენ!
- კარგი, მაშინ მე ვიწყებ, – საზეიმო ხმით გამოაცხადა ალექსმა.
- არასწორი მხრიდან ხსნი, – ემილის მოუთმენლობა დაეტყო ხმაში.
- ალექსმა ლამაზად გაფორმებული საშობაო ყუთიდან სასტუმროს ბუკლეტი ამოიღო.
- ნიუ-ორლეანში სასტუმრო დავ-ჯავშნე, ხომ ვამბობდით, თებერვლის ბოლოს ერთად აგველო დასვენების დღეები. „Mardi Gras“ პერიოდში ნიუ-ორლეანში ჩასვლა ცუდი აზრი არ უნდა იყოს, შენ რას ფიქრობ? – ჰკითხა ემილი.

ალექსს წამიერად თითქოს რაღაც უსიამოვნომ გადაურბინო სახეზე, მაგრამ ემილიმ მაინც შეამჩნია,

– რაღაც არ ჩანსარ ალფროვანებული, გამოტყდი, არ მოგწონს იდეა!

– რას ამბობ, როგორ შეიძლება, არ მომწონდეს, თანაც სასტუმრო პირდა-

პირ ბურბონ სტრიტზეა. ვიცი, „Mardi Gras“ დროს კარგი სასტუმროს შოვნა რა რთულია. ჩემი საჩუქარი გახსენი და მიხვდები რაშია საქმე! – თავი გაიმართლა ალექსმა.

ემილიმ ფერადი კონვერტიდან კარიბის ზღვის რეზორტის ბუკლეტი და თვითმფრინავის ბილეთები ამოიღო და სიცილი აუტყდა, ალექსიც აჰყვა.

– რა ვქნათ?! ფაქტია, ორივეგან ვერ წავალთ, რომელიმე უნდა ავირჩიოთ. მოდი, შენი დავიტოვოთ, კარიბის ზღვაზე უკეთესად დავისვენებთ, – შესთავაზა ემილიმ.

– არა, სამართლიანი არ იქნება, – იუარა ალექსმა. – შენ ხომ ნიუ-ორლეანი გინდოდა. მოდი, კენჭი ვყაროთ და იმის მიხედვით გადავწყვიტოთ.

– რატომ ღელავ? – გაეცინა ემილის. – სულ ერთი არაა? ორივეგან კარგი იქნება!

ნიუ-ორლეანში გაიმარჯვა.

— გადაწყდა! ნიუ-ორლეანი, — ხმა-
მაღლა თქვა ალექსმა.

ალექსი ფანჯრიდან იყურებოდა.
ბევრისთვის ნანატრი თოვლის, „თეთრი
შობის“ ნაცვლად, გარეთ შემოდგომის
ქარიანი ამინდი იდგა. საშობაოდ მორ-
თულ, ნაძვის ხით გაწყობილ მყუდრო
ბინაში თბილოდა.

— ემილი, გინდა გარეთ გავიდეთ?
ცოტა გავისეირნოთ!

— ამ ქარში?! — გაიკვირვა ემილიმ.
— კარგი, მოდი გავიდეთ, — რადგან
ბიჭს მოუსვენრობა შეამჩნია, უცბად
დაეთანხმა. რომ დავპრუნდებით, მერე
ვისაუზმოთ. სიცივიდან შინ რომ შემო-
ვალთ, უფრო გვესიამოვნება.

პირველი წელი იყო, რაც შობას
ერთ ბინაში ხვდებოდნენ, ამიტომ ემი-
ლი განსაკუთრებული მონდომებით
შეუდგა სამზადის. კარგა ხნით ადრე
დაიწყო ზრუნვა საშობაო სადილის მე-
ნიუზე, სუფრის ლამაზად გაწყობაზე,
ნაძვის ხის დეკორაციებზე. იმდენად
მოიცვა ამ ყველაფერზე ფიქრმა, რომ
ბოლოს მისი შემყურე ალექსიც გატა-
ცებით ჩართო მზადების პროცესში.
საშობაო სადილზე ალექსის ბავშვობის
მეგობარი, ჯეფი ჰეივათ დაპატიჟებუ-
ლი, თავის საცოლეს ქლერთან ერთად.
ჯეფს და ქლერს ქორნილი ზაფხულში
ჰქონდათ დაგეგმილი, ალექსი და ემი-
ლი კი საორგანიზაციო საკითხებში ეხ-
მარებოდნენ. იცოდნენ, შორს არ იყო
ის დრო, როცა თვითონაც მოუწევდათ
ამავე გზის გავლა.

— ჯეფ, ახალი საათი გიკეთია?
— ხო მაგარია? ქლერის საჩუქარია,
— თქვა ჯეფმა.

— ქლერ, შევაფასეთ, დავაფასეთ,
მართლა მაგარია! — შეაქო ალექსმა.

— საჩუქრებთან დაკავშირებით
ჩვენ საინტერესო ისტორია გვქონდა,
— ემილიმ სიცილით დაიწყო მოყოლა,
— ალექსმა თებერვალში საგზურები

აილო კარიბის ზღვაზე რამდენიმედღი-
ანი მოგზაურობისთვის, მე კი ზუსტად
იმ დროისთვის ნიუ-ორლეანში დავჯა-
ვშნე სასტუმროს ნომერი. სამწუხაროდ,
ორივეგან ხომ ვერ წავიდოდით, ამიტომ
ერთზე უარის თქმამ მოგვიწია.

— რომელი აირჩიეთ? — ჰკითხა ქლ-
ერმა.

— კენჭი ვყარეთ და იმის მიხედვით
ნიუ-ორლეანი გადაწყდა, — გაეცინა
ემილის.

ალექსმა ჯეფის გაკვირვებულ სახეს
თვალი აარიდა. ემილიმ ეს დაიჭირა.

სადილის მერე ბუხარი დაანთეს.

— ვიწყებთ თამაშს. ალექს, სად ხარ,
სად იკარგები?! — დაუძახა ემილიმ.

— მოვდივარ! — სამზარეულოდან
გამოსძახა ალექსმა.

თამაშის შემდეგ ფილმი ნახეს, ემილ-
იმ სახუმარო სიურპრიზებიც დაარიგა,
თუმც ამდენი ხნის მოლოდინისა და
მზადების შემდეგ გრძნობდა, რომ ამ
ყველაფრისგან სიამოვნებას ვერ იღებ-
და, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნია.

ქლერი და ჯეფი წასასვლელად
წამოდგნენ.

შობის ისეთი საღამო, როგორიც
ემილის წარმოედგინა, არ გამოვიდა.

შვიდი წლით ადრე – 2004 წლის თებერვალი, ნიუ-ორლეანი

“ardi Gras“ როცა თავისი გრანდიო-
ზული კარნავალებითა და საზეიმო მს-
ვლელობებით ძალაშია შესული, ქალაქი
უსაზღვრო მხიარულებითა და ვნებითაა
მოცული. ქუჩები “Mardi Gras“ სიმბო-
ლოებით იისფერი, მწვანე, ოქროსფერი
მძივებით არის მოფენილი: იისფერი
სამართლიანობის სიმბოლოა, მწვანე
— რწმენისა, ოქროსფერი — ძალაუ-
ფლებისა. ამ უნიკალური დღესასწაუ-
ლის საფუძველი მითები, ლეგენდები,
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა,
სოციალური მღელვარებაა, ამიტომაც
აქვს მრავალგვარი სახე – გართობის,

ումորուս, սագորուս, ցրուցեսյուս ցորմիտ ցամօսաթյուլո. Եվրոպյուլ ցոյնճամենքթից աշեմյուլո, տազուսո այրոյցյուլ-կարուծոյուլո ցյեսվեծոտ, “Mardi Gras” 1699 նլուգան մոյուղեյյուլո դլեմդյ լոյութիոնանս սանտիրյուսո օստրունուս ցամօցցույմուս, սաժապյուելու ամ ხալխուս կյուլթյուրա արյելուլու.

– Հյուլո, նաեւ ռա մագարո զոնմեա! – մոյեսմա ալյեյս Ցյուրց յուան დա ხմամ და սიცուլմա մուս ցյուլთան հալուն աხլուս ցանարա. Յնդուდա, ցայցո, ցուս ցյուտենուդա յը ხմա, մուգրուալդա, մացրամ ցոցոնաս ոյրուսցյուրո նուղածու ցյետա დա սաեւ ար յիհանճա.

– Երոյա, նամո ռամյ Շյեցքամոտ, տոր-րյմ միմմուլուսցան տազերյ դամեեցա! – Սուտերա ոյրուսնուլունանմա մեցոնարս.

Ցոցոնեյմա ხալխուս նայածսա და Շյեմանուլյեյմու ցზա ցայցուլույս. Ալյեյսմա յայց ռաձապ ցադայլապարակա დա ցոց-ցոնյիս ցակյունեն.

– Տէյզեն ჩիշեն մոցուդյուտ? – Կուտա ենուս Տուրուլուս Շյեմդյ Շյեմութրուալ-դա ბուժես ցոցոնա, րոմելսապ Հյուլու Երյեա.

– Ար մոցուդյուտ, մոցուցունա. Ռո-ցորյ ჩինս, Տայրուտ ցზա ցայցիս, – Ցաուունա ալյեյսմա.

Ցոցոնեյմու կայցեմու Շյեցունեն, ბուժե-նուց Շյեկյունեն.

– Ցზուս ցարճա, ჩիշեն Տուրուլույեմու դայտերա, ჩիշենց Տենորյ ամ կայցեմու ցապուրյենուտ Շյեմուսցլաս, – Ընմուլուտ մոմարտա ալյեյսմա ցոցոնեյմ.

Ցոցոնեյմու ցայցունատ. ბուժեմու ցայցունատ մացուճաս մոյսաթճնեն დա Երտմա-նետս ցամուլապարակնեն.

Տանամ Երոյա նուղածս մուկեսնուգա, ալյեյս մանամդյ ցրենուծա, Ռոմ մոյ-նունցունա, մացրամ մանուց ցայցուրցյու-լու յուպուրյենու ցոցոնաս արարյալուրու արսյենուտ Ռյալուր արսյենա ցարճայմ-նաս.

– Ցամարյունա, – Ցամարյունա Երոյաս ալյեյս ցաուցեյյուլ միջերանի.

– Ցամարյունա, – Ցամարյունա ալյեյսապ.

Ռոցորյ լապարակունան ցաուկ- ա, Հյուլո დա Երոյա ագցուլունուն ունեն – “Tulane” յոնուցը սությունուն սպասուն.

Հյուլուս դացեցմուն Ֆյոնճա, մոմ- դյունու Տասնայունու Տեմյեսթրունան Տենա- լա Եվրոպան ցայցուլյենա. Ալ- ուրտուանենաս Վեր մալաւդա, Ռոցորյ մոյությունլա ց լունդա ացուստուս դա- ցումաս ուգալուն ցա ցամասանարցյենլա ց. Հյուլու Եյմրուն ց, Հյուլո կո մուս Եյմ- րունեն տենա մալլա ուցունուդա. Ցատո Մեմեցցարյ Վերացուն ուցույրյեն ց, Ռոմ դուդու Ենուս մեցունուն ար ունեն დա Երտմանետու մեռլուն ռամցունուն Եյտուս նոն ցաուցնես.

Երոյա და ալյեյս լապարակուն ար Երեւունեն, Իյմագ ուսեւնեն, տոտյուս „մայումարյ Տայբարյ“ յուգրու մրաւլուսմ- եթյունու ուցու մատացուս.

Հյուլու յալայուս Շյեսանեն Ռաձապաս Կյուցենուդա, ալյեյս մեռլուն Շոցագան յուսմենդա.

– Նոյ-որլույանու Հյանուս, մոհիւնե- նենուս, Տյուլուրու Ռությալյենուսա დա Օր- ուունալուն յունուս յալայուս. Թյուուն ց ար ուցու ամ յալայուս մայունուն „Վուդյու ց գուգուլյա ց“ Ենուն յուլու մարու լաւու. Նոյ-որլույանուս արարյալուրուս մուս դացեցմարյենուն ցամուսագյենա. Մուն- արյ մուսուսուն յուպունայրու մրաւլունունուս դա Եյտուն ամորցյուլու Տածլուրյենուս ցամու, յալայուս Տիգանդարցյուլա ց, Ցես- արյենուս մունցուն ար արուս դապունուն. Դացունուն յունուն յումբասուտ: Բիրդունուրուտուս, Տամերյուտուս, Ալմուսավլուտուս, დասավ- լուտուս նաւուլա աւ Ութուն, Դունտուն, Ռիվեր տուն-ա. Պարալյուրու յուրինու մոյուլուն յունուն ց ցամացյուտյենա, յուպունայրու ց ցամացյուրուա, ամուտուն նոյ- որլույանուս ասյ ագուն դացուարյո, Ռոցորյ Ցուրդապուրու, ուսյ ցամացյուն մունչյունունուտ, – Ընմուլուտ տէյզա Հյու- լուն დա ալյեյս մրաւալմնուն ց ցամարյունա ցամացյուն.

Կայցունան ցամասավլուսաս Երոյաս նո-

ღაბი დაუვარდა. შეიძლება შეამჩნია კიდეც, მაგრამ ასაღებად არ დახრილა. ალექსმა აიღო და პერანგის გულის ჯიბეში ჩაიდო.

— ჰეი, ალექსა, გესმის? საით მიდიხარ, ორიენტირები აგერია? — ჯეფის ხმა მოესმა ალექსს, მაგრამ მისთვის ჩვეული ხუმრობით აღარ უპასუხია.

მომდევნო დღეებში აუზულაივნებიან ფრანგულ კვარტალ ბურბონ სტრიტზე მუსიკა, სასმელები, ვწება — ყველაფერი ერთმანეთში აირია.

ქუჩის კაფეში ისხდნენ, ლუდს სვამდნენ და ჯაზს უსმენდნენ, ნამდვილ, ავთენტიურ, ნიუ-ორლეანული ჩამოსხმის ჯაზს, რომლის მოსმენაც ყველაგან შეიძლება: რესტორნებში, კაფეებში, ბარებში ანდა უბრალოდ ქუჩებში.

— ამბობენ, ნიუ-ორლეანში ალიგატორის ხორცისგან დამზადებულ სენდვიჩ „Po' boy“ და წვნიან გამბოს თუ გასინჯავ, „Hurricane“ და „Sazerac“ კოქტეილებს დააყოლებ და ქუჩაში მოხეტიალე მუსიკოსთა ჯგუფს მოუსმენ, რომელიც ჯაზის შესრულების ოსტატობით გაგაოცებს, მხოლოდ მაშინ იგრძნობ ამ ქალაქის შეუდარებელ ხიბლს, თორემ თავიდან შეიძლება გაკვირვებულმა გაიფიქრო, ესაა თქვენი ნაქები ნიუ-ორლეანი? — თქვა ჯეფმა.

— „Beignets“ ხომ გასინჯეთ, ესეც ნიუ-ორლეანის „ხელწერაა“ — დაამატა ჯულიმ.

— ტკბილეულის დიდი მოყვარული არა ვარ, აი, წვნიანი გამბო კი მართლაც მაგარია.

შეიძლება ითქვას, ქალაქის მთავარ საიდუმლოებებს ჩავწევდით, ასე არაა?

— ჰკითხა გოგოებს ჯეფმა.

— არა, არა, ძალიან მნიშვნელოვანი რამ გამოგრჩათ, — თქვა ჯულიმ და ერიკას ეშმაკურად გადახედა. — ხომ ასეა ერიკა?

— ნამდვილად ასეა! — გაეცინა ერიკას.

ბიჭები ინტრიგის მოლოდინმა დაა-დუმა.

— ჯამბალაია! — შესძახა ჯულიმ და გადაიხარხარა.

— გულგრილი ვარ ამ კერძის მიმართ, — ჯეფის ნათქვამში იმედგაცრუება იგრძნობოდა.

— ჯეფ, დამიჯერე, დღევანდელი სალამოს შემდეგ გულგრილი ვეღარ დარჩები. ჯამბალაია ფრანგულ-აფრიკული სამზარეულოების საუცხოო ნაზავია, ამიტომ ვერსად ვერ გასინჯავ ისეთს, როგორსაც აქ, მის სამშობლოში ამზადებებენ, — უთხრა ერიკამ.

— ტრადიციულად, ჯამბალაიას ხომ ხორცის, ბოსტნეულის, თევზეულისა და ბრინჯისგან ამზადებენ, მაგრამ ჩვენ სალამოს ისეთ ადგილას წაგიყვანთ, სადაც განსხვავებულად აკეთებენ. ჩილის რაღაც საიდუმლო სანელებლებს უმატებენ, რომლებიც სიამოვნებისგან აბრუებს, — დაამატა ჯულიმ.

— ამას კიდევ გაბრუება უნდა?! — მიანიშნა ჯეფმა ალექსზე. ჯულიმ გულიანად გადაიხარხარა.

— რაო, რა თქვა ჩემზე? — გაეცინა ალექსაც.

— ჯამბალაის შემდეგ, თუ გინდათ, JAZZ PRESERVATION HALL -ში წავიდეთ, — შესთავაზა ჯულიმ ბიჭებს.

— HALL დარბაზივით უღერს, სინამდვილებში სარდაფს უფრო ჰგავს. იქ ყველაფერი ძველებურადაა შემონახული. დღესაც ისევე უკრავენ, როგორც ასი წლის წინათ — ყოვლისმომცველი რიტმი, საოცარი ჰარმონიულობა და უსაზღვრო ფანტაზია. ალან ჯათლემ, ვინც Preservation Hall დაარსა, თქვა: მგონი, ნიუ-ორლეანი ერთადერთი ადგილია, სადაც ბავშვს რომ ჰკითხო, რა უნდა რომ გამოვიდეს, იმის ნაცვლად გიპასუხოს — პოლიციელი ან მეხანძრე, იტყვის: „მუსიკოსი მინდა, გავხდე!“

— ნიუ-ორლეანს სამი რამ ხდის განუმეორებელს: მუსიკა, ლამის ცხოვრება და საჭმელები. კრეოლურ ქეჯუნ

სამზარეულო, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა, – თქვა ჯეფმა.

– კარნავალები არა? – გაუკვირდა ჯულის. ბიჭებს ხმა არ ამოუღიათ.

– როგორ, ჯერ მარტო “Mardi Gras” რად ღირს, თავისი საზეიმო მსვლელობითა და თვალისმომქრელი კოსტუმებით, – ხმაში წყენა დაეტყო ჯულის.

– სიმართლე რომ გითხრა, კარნავალების აზრი დიდად არ მესმის, – აღნიშნა ჯეფმა.

ჯული ისევ აღელდა.

– რას ამბობ?! ძველ დროში ნიღბები მეტს გეტყოდნენ ადამიანების შესახებ, ვიდრე ნამდვილი სახეები. მეზღვაურები კაპიტნის ფორმაში გამოეწყობოდნენ, კაპიტნები – მეკობრეების, ღატაკები საპირუჟო მაჟლერებად ინიღბებოდნენ, ბანკირები – ყაჩალებად, კდემამოსილი ქალები, სათავგადასავლო ინტრიგების ძიებაში, პროსტიტუტებად გადაიქცეოდნენ ხოლმე. ცნობილია, როდესაც ადამიანი ნიღაბს იკეთებს, ამით იმის ანაზღაურებას ცდილობს, რის უკმარისობასაც ცხოვრებაში განიცდის.

– გამახსენე, რა ნიღაბი გეკეთა! – ირონია დაეტყო ჯეფის ხმას.

– ჯეფ, – გაეცინა ჯულის. – შენ თუ კარნავალები არ გიყვარს, “Mardi Gras”-ზე მარტო მძივების სასროლად ჩამოხვედი?

– ეგრეც რომ იყოს, ამაში არის რამე არასწორი? – იკითხა ჯეფმა.

– რა თქმა უნდა არა, რადგან ამ ქალაქში არავინ არავის არ განსჯის. აქ წესები გამონაკლისებით არის სავსე, ყველამ თვითონ უნდა განსაზღვროს, რა არის სწორი და რა არა. ამას საკუთარი მორალი გყარნახობს.

– ამ საღამოს ფრანგული კვარტლის ყველა ბარი უნდა ჩამოვიარო. სმისა და მოწევისგან გრძნობა თუ დავკარგე, იქნებ როგორმე მიმათრიოთ ჩვენს სასტუმრომდე. ჩემი ინდივიდუალური მორალი მკარნახობს, რომ ესაა სწორი ქცევა.

– ჯეფ, ვერ გეტყვი, რომ კარგად ხუმრობ, მაგრამ გეპატიება, შენ ხომ იუმორისტი არა ხარ, – გაიცინა ჯულიმ.

– ეს ხუმრობა კი არა, სატირაა, მაგრამ შენც გეპატიება. თუ ვერ ჩასწდი, არც შენ ხარ სატირიკოსი, ჯული! – გამოაჯავრა ჯეფმა.

– მეც მომწონს კარნავალები, – თქვა ერიკამ. მის ფუნდამენტში, ნიღბების ცვლით, სოციალური თანასწორობის იდეა ჩადებული.

– რაღაც არ უხდება კარნავალებს სოციალური თანასწორობის იდეა, ერიკა, – გააპროტესტა ალექსმა.

– რატომ? – გაიკვირა ერიკამ. – ეს ხომ ყველაზე თავისუფალი და დემოკრატიული სიტუაციაა. იპოვე შესაფერისი კოსტიუმი და ნიღაბი და განასახიერე ვინც გინდა. ნიღაბი ინტრიგის შესანარჩუნებლად გჭირდება. ამ დროს ყველანაირი ბარიერი იხსნება, აღარ არიან ღარიბები და მდიდრები, ჭკვიანები და სულელები, ახალგაზრდები და ხანდაზმულები.

– დალიე რამდენიც გინდა, მსუყედ მიირთვი, შეგიძლია გასკდე ჭამით, – სიცილით გააგრძელა ჯულიმ.

– მე ამის პრობლემა წლის განმავლობაშიც არ მაქს, – ჩაურთო ჯეფმა.

– ამ პერიოდში ნებისმიერი ხუმრობა მისაღებია, – განაგრძო ჯულიმ. – დაივიწყე ქცევის კოდექსი, შეგიძლია, მიაფურთხო ეტიკეტს, მთელი წლის დაგროვილი გრძნობები გამოუშვა და გაგიუდე. ადამიანს ზოგჯერ სჭირდება გაგიუდება. შეგიძლია სიყვარული გააბაპირველ შემხვედრთან.

– როგორც ჩვენს შემთხვევაში, – იხუმრა ჯეფმა და მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა.

– გრძნობებში შეხვედრები დანომრილი არ არის: პირველი, მეორე ან მესამე. შეგიძლება იყოს პირველი, შეიძლება მეათე, – წყნარად თქვა ალექსმა.

ბიჭების D.C.-ში დაბრუნების წინა ღამეს Frenchman street-ის ოთხივენი კაფეში ისხდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, ხალხი მაინც განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა. თითქოს ძილისთვის დრო არავის ემტებოდა. მუსიკოსები თავდავიწყებით უკრავდნენ. შუალამის ემოციური გარემოსა და კარგი მუსიკის მიუხედავად, ყურებჩამოყრილნი, უხალისოდ საუბრობდნენ ნიუ-ორლეანისთვის შერქმული სახელების შესახებ.

ერთ-ერთი ვერსიით, ქალაქის მეტსახელი “Big Easy” მის მდიდარ მუსიკალურ მემკვიდრეობასთანაა დაკავშირებული, რადგან ადრიდანვე ამერიკის არც ერთი ქალაქი არ იყო და ჯაზისა და ბლუზის მუსიკოსებისათვის ისე გახსნილი და მათი ისეთი მხარდამჭერი, როგორც ნიუ ორლეანი. აქ ისინი, მუსიკის სწავლასა და შემოქმედებით დახვეწასთან ერთად, სამუშაოსაც შედარებით მარტივად შოულობდნენ – უკრავდნენ ხან პირდაპირ ქუჩებსა და პარკებში, ხანაც სხვადასხვა ტიპის კლუბებში, რომლებიც ხშირად ცალკეულ მუსიკოსებს ან ორკესტრებს ქირაობდნენ კერძო წვეულებებისთვის. ქუჩის კონცერტებს თბილი კლიმატიც უწყობდა ხელს.

სხვა ვერსიით, “Big Easy” ალკოჰოლის დიდ არჩევანსა და მისი მოხმარების სიმარტივეს გულისხმობს. ალკოჰოლის აკრძალვის პერიოდშიც კი, მშრალი კანონის მოქმედების დროს, ნიუ-ორლეანი აქტიურად განაგრძობდა ღამის ცხოვრებას.

– ძნელია ამ ხალისიანი ქალაქიდან ყოველდღიურობაში დაბრუნება, – ამოიხმარა ჯეფმა. აქ ჰაერში ნამდვილად არის რაღაც ისეთი, რაც ერთ-ერთ ყველაზე რომანტიკულსა და ლაღ ქალაქად აქცევს, ამიტომაც ეძახიან “albaT’City that care forgot” („ზრუნვა დაივიწყე“). – ნიუ-ორლეანის არაოფიციალური დევიზია – „დაე იდინოს

კარგმა დღეებმა!“ – დაამატა ჯულიმ.

– მართლაც წარმოუდგენლად კარგი დღეები იყო, – დანანებით თქვა ჯეფმა და ალექსს გადახედა. – არ გესმის, კაცო, დიდი სიმარტივეო და, შენ რამ დაგამძიმა ასე! ცოცხალია? შეხედეთ, ხომ არ მოკვდა, ხმას არ იღებს რომეო, – გაეცინა ჯეფს.

ალექსი და ჯეფი აეროპორტში გოგონებმა გააცილეს. ალექსმა უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ ამ ქალაქის ხშირი სტუმარი იქნებოდა.

შემდეგ ჩასვლაზე ნიუ-ორლეანი ალექსს შედარებით დამშვიდებული დაუხვდა. “Mardi Gras” ჩავლით თითქოს ციებ-ცხელებისაგან განიკურნა, თუმცა სიცოცხლე და ხალისი კვლავინდებურად არ მოჰკულებია. მუსიკაც, ძველებურად, ყველგან თან გდევდა.

ერიკა ალექსს ამ უნიკალურ ქალაქს აცნობდა თავისი მრავალფეროვანი კოლონიალური ისტორიით, მმართველობის სამჯერადი ცვლით. პირველი მაცხოვრებლები ფრანგები იყვნენ, ქალაქიც მათ დააარსეს, მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, ომების შედეგად, ესპანელების ხელში გადავიდა, მერე, ხანმოკლე დროით, ისევ ფრანგებმა მიისაკუთრეს, საბოლოო მეპატრონები კი ამერიკელები გახდნენ.

– ამ გადასვლ-გადმოსვლებმა არაჩვეულებრივი ნარევი მოგვცა, – ამაყად თქვა ერიკამ. – ქალაქს ყველა იმ ხალხის ნაციონალური კულტურის კვალი ატყვია. აუურული აივნები ისტორიულ ფრანგულ კვარტალში პარიზს მოგაგონებს, იქით ესპანური არქიტექტურა და ძველებური ესპანური სასაფლაოა, ლათინური ამერიკის კულტურასთანაც იგრძნობა კავშირი, უპირველეს ყოვლისა, კარნავალების ტრადიციით.

ქალაქი სამივე მხრიდან წყლითაა გარშემორტყმული: მექსიკის ყურე, მდინარე მისისიპი და პონჩიარტრეინის ტბა.

— სხვათა, შორის, პონჩარტრეინი უგრძესი ხიდია მთელ ამერიკაში და გინესის წიგნშიცაა შესული, — შენიშნა ერიკამ და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაამატა: — წყალი წიუ-ორლეანის სილამაზეცაა და საშიშროებაც.

ერიკა რივერ ფრონტის მიდამოებში მეგობართან ერთად ქირაობდა ბინას. ალექს უამბო, რომ სამი წლისაც არ იყო, როცა მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. დედა მალევე ხელმეორედ გათხოვდა, კანადელს ცოლად გაჰყვა და ვანკუვერში გადავიდა საცხოვრებლად. მამა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ერთ დილით საწოლში იპოვეს გარდაცვლილი. მაშინ ერიკა პატარა იყო, ბევრი რამ არ ახსოვს, მაგრამ ის დღე დაამახსოვრდა. გრძნობდა, ცუდი რომ მოხდა. სახლში ვიღაცები განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდნენ, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ამიტომ დღემდე არ უყვარს, როცა ჩურჩულებენ. ერიკა ბებიამ, მამის დედამ გაზარდა. ბოლო ხანს ბებია თავს კარგად ვერ გრძნობდა, სიარული უჭირდა, მეხსიერებამაც ულალატა, ხანგრძლივად მისი მარტო დატოვება თანდათან საშიში ხდებოდა, ამიტომ მოხუცებულთა სახლში გადაიყვანა.

ერიკას თავის სარჩენად, სწავლას-თან ერთად, მუშაობაც უწევდა. ზაფხულშიც აპირებდა კლასების აღებას და ამავე დროს მუშაობის გაგრძელებასაც. შეძლებულ ოჯახში გაზრდილი და, შესაბამისად, ამავე სოციალური ფენის ცხოვრებისეულ სტილს შეჩვეული ალექსი წიუ-ორლეანის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ამგვარი სიღარიბის ზღვარზე ყოფნას არ ელოდა.

— შენ რატომ არასდროს მიყვები შენი ოჯახის შესახებ? — ჰკითხა ერიკამ.

— როცა გაიცნობ, მოგიყვები, — უთხრა ალექსმა და შეატყო, ერიკას ესიამოვნა მისი ნათქვამი.

მოხუცთა სახლი, სადაც ერიკას ბე-

ბია ცხოვრობდა, ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა.

— ბენ, ძალიან გადაღლილი და გამხდარი მეჩვენები, — ოთახში შესვლისთანავე ამ სიტყვებით შეეგება ალექსს ერიკას ბებია.

— ბენი ბებიას უმცროსი ძმაა, დიდი ხნის წინ გარდაიცვალა, მაგრამ ბებია, როგორც ცოცხალს, ისე ახსენებს, — აუხსნა ალექსს ერიკამ, მაგნოლიები გამოართვა და ფანჯარაზე მდგარ პატარა ლარნაკში ჩააწყო.

ალექსმა ერიკას მონაყოლიდან იცოდა, რომ ბებიას სახლის წინ, სადაც გაიზარდა, მაგნოლიების ბუჩქები ყვაოდა. სახლი რამდენიმე წლის წინ გაყიდეს. როგორც ერიკამ უთხრა, სახლზე გული დიდად არ დასწყვეტია, რადგან ძველი და ნახევრად დანგრული იყო, სახლის წინა პარმალი და მაგნოლიების ბუჩქები კი დღემდე ენატრება. ალექსმა ისიც შეიტყო, რომ მაგნოლია ლუიზიანას შტატის სიმბოლოდ არის მიჩნეული.

— რა ლამაზი მაგნოლიებია, — გვერდითა საწოლში მწოლიარე ქალი წამოინია და ალექსი ყურადღებით შეათვალიერა: — თქვენ კარლოსის ძმა ხართ, არა? უცნაურად გამოიყურებით, თავიდან ვერც გიცანით.

ბებია ყვავილებს თვალს არ აშორებდა, თითქოს რაღაცას იხსენებდა და თან ვერ იხსენებდა. ბოლოს, როგორც იქნა, თვალი მოსწყვიტა და ალექსი აათვალიერა.

— ბენ, ასე ვიწრო მაისური რატომ გაცვია, სასურველია, შენი ზომის პერანგი გეპოვა.

— კარლოსის ძმა ხართ, არა? თავიდან ვერც გიცანით, — ერთსა და იმავეს იმეორებდა მეზობელ საწოლში მწოლიარე ქალი.

— უცნაური რამეა ადამიანის ტვინი, — ჩუმად უთხრა ერიკამ ალექსს. — ბებია ბენს ხშირად ახსენებს, თავის შვილს კი არასდროს. შეიძლება, ბავშვობაში მამაჩემის ხსენებით ჩემი ტრავმირება

არ უნდოდა და ეს დღემდე მეხსიერებაში აქვს ჩარჩენილი. როცა კოლეჯს დავამთავრებ და ნამდვილ სასახურს ვიშოვი, უკეთეს პირობებში გადავიყვან, – თქვა ერიკამ ოთახიდან გამოსვლისას. ალექსმა თავი დაუქნია.

– ერიკა, რა მაცია ასეთი, ასე რომ არ მოეწონათ ქალბატონებს? – გაეცინა ალექსს, როცა შენობიდან გამოვიდნენ.

– ბენ-კარლოს, შემომხედეთ! – ერიკამ თავი გადასწია, თვალები მოჭუტა და ალექსი შეათვალიერა, – მე მომწონს თქვენი ჩაცმის სტილი. – თქვა სიცილით, – ხო, მართლა.. ჩაცმაზე გამახსენდა. ხომ შევთანხმდით, რომ კოსტიუმების მუზეუმს დავათვალიერებდით, გინდა ახლავე წავიდეთ?

– არა ერიკა, არ შევთანხმებულვართ. შენ, უბრალოდ ახსენე, რომ არსებობს ასეთი მუზეუმი, რომელიც სანახვია, მე თავი დაგიქნიე, ამას ეძახი შეთანხმებას?

– აქ კოსტიუმების მთელი ინდუსტრიაა. მუზეუმში ულამაზეს ექსპონატებს, წლის საუკეთესო კოსტიუმებსა და ნიღბებს ინახავენ. ეს ჩვეულებრივი კოსტიუმები არაა, ხელოვნების ნიმუშებია. გაგიუდები, რამდენად შემოქმედებითი შეიძლება იყოს ადამიანი. ამის არნახვა შეუძლებელია!

– კოსტიუმი კოსტიუმია. გინდა ჩვეულებრივი დაარქვი, გინდა არაჩვეულებრივი, ჩემთვის საინტერესო არაა, მაგრამ, გული რომ არ დაგწყდეს, გპირდები, მომავალ წელს აუცილებლად დავათვალიერებ. იმ დორისთვის ახალი კოსტიუმებიც შეემატება თავისი ნიღბებით და სანახვიც მეტი იქნება. შენ, სასაფლაოებიც გინდოდა, რომ მომენახულებინა. თუ შეიძლება, კოსტიუმების მუზეუმი და სასაფლაო მომავალი წლის განრიგში გადაიტანე.

– ნუ იცინი, სასაფლაო-ბალები ტურისტულ მარშრუტებშიც შედის. რახან ნიუ-ორლეანი წყალსა და ჭაობზეა გაშენებული, მიცვალებულებს მიწაში

კი არ მარხავენ, არამედ ზევით, აკლდამების ტიპის კედლებში, სასაფლაოები აქ მშვიდი, თეთრი ქალაქებივითაა.

– რამდენჯერმე ჩავუარეთ და დავინახე. სრულიად საკმარისია. ამ ქალაქში იმდენი კარგი ადგილია, მაინცდამაინც სასაფლაოს ბალებში რატომ უნდა ვისეირნო, გაუგებარია.

– იმიტომ, რომ სასაფლაო ამ ქალაქის არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, დაკრძალვის აქაური ტრადიციაც თავისებურია. სამგლოვიარო პროცესია მძიმედ მიემართებოდა სასაფლაოსკენ, მაგრამ, როგორც კი მიცვალებულს დაკრძალავდნენ, ორკესტრი ისეთს შემოჰკრავდა, რომ ყველა ცეკვას იწყებდა. როცა ქალაქს კარგად გაიცნობ, ნახავ, კათოლიკური და წარმართული ტრადიციები როგორ არის ზოგჯერ გადაჯაჭვული. კარგი, რახან ასე აპროტესტებ, კოსტიუმების მუზეუმში სხვა დროს წავიდეთ, – უხალისოდ დაეთანხმა ერიკა.

– სჯობს ლუდი დავლიოთ! – შესთავაზა ალექსმა.

– მოპირდაპირე ქუჩაზე ჯუს-კაფეა. მოდი, იქ შევიდეთ, ყველაზე გემრიელ სმუთს ამზადებენ მთელ ნიუ-ორლეანში, – ერთბაშად გამოუკეთდა ხასიათი ერიკას.

– Nola-ს დიდი ხიბლი იმაშიცაა, რომ ქუჩაში თავისუფლად შეგიძლია სასმლით ხელში იარო, დალიო, ისიამოვნო... ხვალ DC-ში ვბრუნდები. ასეთი რამე იქ რომ გავბედო, ადმინისტრაციულ სასჯელს მომარჭობენ. იმის ნავცლად, რომ შევირგო ეს ყველაფერი, შენ რაღაც უცნაურ ადგილებსა და ჯუს-სმუთებზე მეპატიუები, მაგრამ კარგი, თუ ასე გინდა, შევიდეთ ჯუს-ბარში, კოსტიუმების მუზეუმსა და სასაფლაოზე უკეთესი პერსპექტივა მაინცაა.

ფრანგულ კვარტალს არასდროს ეძინა.

თენეს უილიამს მიაჩინდა, რომ მთვარე უჩვეულოდ მოქმედებს ნიუ-ორ-

ლეანის მაცხოვრებლებზე – ჭკუიდან გადაჰყავს ისინი. შეიძლება, ეს ქალაქი ამიტომაც იზიდავს ასე შემლილებს: პოეტებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, შეყვარებულებს... „ტრამვაი სახელად სურვილში“ ვტორი წერს, რომ ყველა ქალაქს თავისი მთვარეულები (moon-walkers) ჰყავს. ამ ქალაქის მთვარეულები ჩვენ ვართ არა, ალექს?!

ალექსი და ერიკა გათენებამდე ხელ-ჩაკიდებული სეირნობდნენ ქუჩებში. – გახსოვს სტინგის სიმღერა “moon on the Bourbon street“ ნაიმღერა ერიკამ.

– ამ ვინრო ქუჩებზე მთვარე როგორ დაინახა? – გაეცინა ალექსს.

– თუ მოინდომებ, დაინახავ! იცი, ჯონ გუდმანმა თქვა, რომ ადამიანების ქრომოსომებს რაღაც ნაწილი აკლია, დაუსრულებელია, ნიუ-ორლეანში ჩამოსვლისას კი მთელდება.

– მაშინ ქალაქის შემოსასვლელ ბანერზე უნდა წააწეროთ: „ნაკლული ქრომოსომების შესავსებად, გეპატიუებათ ნიუ-ორლეანი. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ ნახე, ქრომოსომების გასამთელებლად, რამდენი ხალხი მოაწყდება აქაურობას, – იხუმრა ალექსმა.

– აუტანელი ხარ, ალექს! – გაბრაზდა ერიკა.

– არა, ერიკა, მართლა მჯერა ამის, – სერიოზულად თქვა ალექსმა. – ამიტომაც ვარ აქ.

ყველა ჯერზე DC-სი დაბრუნება უფრო და უფრო უჭირდა ალექსს. იქ ჩასული კარგა ხანს ისევ ნიუ-ორლეანის რიტმით აგრძელებდა ცხოვრებას. ბოლო ჩასვლაზე, სახლში დაბრუნებისას, ჰაერში აჭრილი თვითმფრინავის ილუმინატორიდან ჩვეულებისამებრ გადახედა ქალაქს, რომელსაც თურმებედი დიდ განსაცდელს უმზადებდა.

2005 წლის 24 აგვისტოს წყნარი ოკეანის კარიბის ზღვის ცენტრში ჩრდილოეთის ცივი დინების თბილთან

შეჯახების შედეგად წარმოქმნილი ნაკადი საათში 500 მილის სისწრაფით დაიძრა ჩრდილო ამერიკის კონტინენტისაკენ, ტენესისა და ლუიზიანას შტატების მიმართულებით. რაღაც ქაფისმაგვარი წარმოშვა და 28 აგვისტოს 15 ფუტის სიმაღლის ტალღამ დაარტყა ნიუ-ორლეანს. წყალმა დაფარა ქალაქი, სადაც დაიბადა ჯაზი – XX საუკუნის მთავარი მუსიკა.

წინა საღამოს, 27-ში ალექსი ოჯახთან ერთად ევროპიდან DC-ში დაბრუნდა. ეს მოგზაურობა, ალექსის უმცროსი დის სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით, დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი.

– ერიკა, ბატონ რუჟში არ უნდა ყოფილიყავი? რატომ ხარ ისევ მანდ?!

– არ ვიცი, ალექს, ჯერ ბებიაჩე-მის საკითხია მოსაგვარებელი. ასე ხომ ვერ მივატოვებ?! როგორც ამბობენ, ეს ადგილები ყველაზე მეტად დაზარალდება.

– რა ხდება, ქალაქში პანიკა?

– პანიკა იმდენად არა, რამდენადაც სრული ქაოსია. უამრავი ადამიანი ტოვებს ქალაქს. ბენზინზე უზარმაზარი რიგებია, საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა მოძრაობა შეწყვიტა.

– საშიში ხომ არ არის, ჩამოვიდე?

ერიკა გაჩუმდა, ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა:

– ნუ წერვიულობ, ქარიშხალი ჩვენთან უცხო ხილი არაა. მართალია, გვაფრთხილებენ, რომ ეს გამორჩეულად ძლიერი იქნება, მაგრამ, იმედია, ყველაფერს კონტროლზე აიყვანენ.

28 აგვისტოს, დილით, ერიკას ხმას მღელვარება ეტყობოდა.

– მისისიპის დამბების იმედი არა აქვთ. ამბობენ, რომ ეროზირებულია და, შეიძლება, ვერ გაუძლოს.

შუადღისას ქალაქის მერმა სავალდებულო ევაკუაცია გამოაცხადა. ხელისუფლებამ ხალხი გააფრთხილა, რომ უბედურების ზონაში დარჩენა

საკუთარი სიცოცხლით თამაშის ტოლ-ფასი იყო.

ალექსი სერიოზულად ანერვიულდა.

— წასვლას აზრი აღარ აქვს, — უთხრა ერიკამ, გზებზე საშინელი საცობებია. ვინც ქალაქიდან გასვლა ვერ შეძლო, მათვის სუპერდომზე ამზადებენ თავშესაფარს.

საღამოს უკვე ერიკა შეშფოთებას ვეღარ მაღლავდა.

— მოხუცთა სახლების ევაკუირება აქამდე ვერ მოხერხდა, ველოდებით. ბევრის სიცოცხლე სასუნთქ აპარატზე დამოკიდებული და მათი გადაადგილება ჭირს. ირგვლივ სამინლად დახუთულია, ჰერი არ იძვრის.

ალექსის გარშემოც თითქოს ერთბაშად, სუნთქვის შეკვრამდე დაიხუთა ჰერი. სიტყვები გამოელია. ერიკა ცოტა ხანს დაელოდა, მერე კი უთხრა:

— უნდა გავიქცე, მოგვიანებით დაგიკავშირდები.

„საშიში ხომ არ არის, ჩამოვიდე?!”

— სამარცხვინო კითხვად დარჩა ეს სიტყვები ალექსს მეხსიერებაში.

ყველა საინფორმაციო არხი წყალდიდობის საკითხს აშუქებდა.

— ნიუ-ორლეანს ქარიშხალი და ტროპიკული წვიმები დაატყდა თავს, ქალაქი ბუნებრივი უბედურების ზონაში აღმოჩნდა. ეს ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი ქარიშხალია აშშ-ს ისტორიაში.

— ნიუ-ორლეანის 70% ზღვის დონის დაბლაა. დამბებმა, რომლებსაც ქალაქი უნდა დაეცვა, ვერ გაუძლო, რამდენიმე ადგილას გაირღვა და ქალაქი ნელ-ნელა წყლით იფარება.

— წყალმა 132 სანტიმეტრამდე აინა, ქარის სიჩქარე საათში 280 კმ-ს აღწევს. თავიდან ის მეოთხე კატეგორიის ტროპიკულ შტორმს მიაკუთვნებს. ეს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ბუნებრივი კატასტროფაა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა შესჯახებია.

— მილიონზე მეტმა ადამიანმა, რაც

ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის 80%-ს წარმოადგენს, დატოვა ნიუ-ორლეანი, 150 ათასამდე მცხოვრებმა კი ქალაქიდან გასვლა ვერ შეძლო. ისინი წყლის, სურსათის, ელექტროენერგიისა და სატელეფონო კავშირის გარეშე არიან დარჩენილი.

— ნიანგები ნიუ-ორლეანის ქუჩებში მეტაფორა არაა!

— ნიუ-ორლეანის ადგილობრივ საგანგებოს სამსახურს დახმარებას უკვე ოცი შტატის მაშველთა ჯგუფები უნდევენ.

— სამოცდაჩვიდმეტი წლის შავკანიანმა, მეტსახელად „მსუქანმა დომინომ“ ცივი უარი განაცხადა ჩაძირული ქალაქი დატოვებაზე. მთელი მსოფლიოს საზოგადოება სერიოზულია წუხს იმ კაცის ბედით, ვინც როკენ-როლი შექმნა.

— სავარაუდოდ, მსხვერპლი დიდია! რატომ ვერ მოხერხდა ამდენი ადამიანის ევაკუაცია, შესაძლებელი იყო თუ არა, უკეთ დაგვეცა ქალაქი კატასტროფისგან? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გვმართებს „კატრინას“ მსხვერპლთა წინაშე.

ალექსმა ტელევიზორი გამორთო. მისი მოსმენა აუტანელი იყო, მაგრამ სიწყნარე კიდევ უფრო შემზარავი აღმოჩნდა.

ქარიშხალმა „კატრინამ“ ორი ათასამდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

28 აგვისტოს, შუადღიდან, სპორტულ არენა-სუპერდომზე ხალხმა დასახლება დაიწყო. თავდაპირველად იქ თომეტი ათასმა კაცმა მოიყარა თავი, 29 აგვისტოს, როცა წყალმა სწრაფად იწყო მატება და ქალაქი დაიტბორა, ხალხის მასა მიაწყდა და სულ მალე სტადიონის პოპულაციამ 35 ათასს მიაღწია. მოსახლეობის რაღაც ნაწილმა ჩონვენტიალ ჩენტერ-ს შეაფარა თავი. სულის შემსუთავი სიცხის, უწყლობისა და მოშლილი საკანალიზაციო სისტე-

მის გამო, ადამიანები საშინელ მდგო-
მარეობაში აღმოჩნდნენ.

თავშესაფრებიდან ხალხის გამოყვანა
შტორმის დაწყებიდან მხოლოდ სამი დღის
შემდეგ, 1 სექტემბერს გახდა შესაძლე-
ბელი და სამ სექტემბრამდე გაგრძელდა.
ასეთ უმძიმეს პირობებში ზოგს ექვსი
დღე მოუწია დარჩენამ. სუპერდომი და
ჩონვენტიალ ჩენტერი საგანგებო სიტუა-
ციების მართვის სამსახურების სრული
კრახის სიმბოლოდ იქცა.

„კატრინაზე“ გაკეთებული სიუჟეტე-
ბიდან, ფოტოებიდან გამოჩნდა, რომ
უმძიმესი ხვედრი მოსახლეობის ყველაზე
დაუცველ ნაწილს, მოსუცთა სახლების
ბინადართ, შეზღუდული შესაძლებლო-
ბების და სიღარიბის ზღვარზე მყოფ ადა-
მიანებს ერგოთ. თითქოს ყველაფერმა
მათ წინააღმდეგ იმუშავა. შტორმი თვის
ბოლოს, ხელფასების დარიგების პერიოდს
დაემთხვა. მათ არც წასასვლელი ადგილი
გააჩნდათ და არც გადაადგილებისათვის



საჭირო ტრანსპორტი. რასა და სოციალ-
ური ფენა „კატრინას“ შემდეგდროინდელი
პერიოდის მედიისა და საზოგადოებრივი
მსჯელობის ცენტრალური თემა გახდა

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა
15 სექტემბერს ნიუ-ორლეანში, ჯექ-
სონ სკვერზე წარმოთქმულ სიტყვაში
აღნიშნა: „ყველა ჩვენგანმა ვიხილეთ ამ
რეგიონში ღრმა, მოუშორებელი სიღა-
რიბე, რომელსაც ფესვები რასობრივ
დისკრიმინაციაში აქვს გადგმული. ჩვე-
ნი მოვალეობაა, დავუპირისპირდეთ ამ
სიღარიბეს!“

2011 წელი, 60-ო მოლეანი

კოსტიუმების მაღაზიაში ემილი
ყველაფერს დიდი გულისყურით ათვა-
ლიერებდა.

– ალექს მოგწონს?

ალექსი მოულოდნელობისგან
შეკრთა. ემილი ოქროსფერ ნიღაბში –
შორეული, მაგრამ დაუვინყარი სახე.
მხოლოდ ახლა დაიჭირა მსგავსება.

– ბოლო ხანებში რაღაც შიშები
დაგრემდა. არ ვიცოდი ნიღბების ფო-
ბიაც თუ გქონდა, – გაეცინა ემილის.

– ემილი, მოდი სადმე დავსხდეთ,
ხელი მოჰკიდა ალექსმა, – ხანგრძლივი
სალაპარაკო მაქვს შენთან.

ხანგრძლივი, თქვა ალექსმა, მა-
გრამ სულ რამდენიმე წინადადებით
დაამთავრა სათქმელი. ემილი უსმენდა
და ნელ-ნელა ეცვლებოდა სახის გამომ-
ეტყველება.

– შენს ნივთებში ნიღბისა და სუვენი-
რებისთვის თვალი ხშირად მომიკრავს.
ვხვდებოდი, აქაურობასთან რაღაც გუ-
ლისტკივილი რომ გაკავშირებდა. ნიუ-
ორლეანი მიყვარს, აქ ჩამოსვლა არას-
დროს მომბეზრდება, ამიტომაც ვცდი-
ლობდი შენთვის რაღაც უსიამოვნო წარ-
სულის კარგი მოგონებებით შეცვლას.

– წარსულს ვეღარ შეცვლი!

– ვიცი, მაგრამ არ უნდა დაგემალა!

არ იყო საჭირო, უდარდელი ადამიანის ნიღბის მორგება, როცა... – აღარ დაამთავრა ემილიმ.

– არც შენგან იყო საჭირო მიამიტის თამაში. თუ ამდენ რამეს ხვდებოდი, რატომ არასდროს გითქვამს?! რომ გეკითხა, არ დაგიმალავდი, ისე ჩვეულებრივი ამბავივით მოყოლა კი არ შემძლო!

არ ახსოვთ, როგორ აღმოჩნდნენ თავიანთი სასტუმროს ნომერში... ჩუმად ისხდნენ...

– ტელევიზორიდან მახსოვს ეს საშინელი კადრები, – ემილიმ სიჩუმე დაარღვია და მოულოდნელად ალექს შეუტრიალდა, – რატომ ვერ ჩამოხვედი?

ალექსი იმდენად არ ელოდა ემილის-გან ასე პირდაპირ დასმულ შეკითხვას, რომ დაიბნა, არ იცოდა რა ეთქვა.

– უსაფრთხო არ იყო ჩამოსხვლა?

ალექსმა გაკვირვებით შეხედა,

– უსაფრთხო?! რას ამბობ ემილი? საფრთხეზე არც ერთი წუთი არ მიფიქრია. ევროპიდან იმ დღის ჩამოსული ვიყავი. ნიუ ორლეანიდან მოსახლეობის ევაკუაცია უკვე დაწყებული იყო, საშინელ ქაოსში შეუძლებელი იქნებოდა ჩამოლწევა.

– სცადე კი?

ალექსი ჩუმად იჯდა.

– რომც ჩამოსულიყავი, შეიძლება არაფერი შეცვლილიყო, ბევრი რამ ჩვენზე არცაა დამოკიდებული, უბრალოდ... – აღარ დაასრულა ემილიმ.

„ახლობელ ადამიანებს განსაცდელში მარტო არ ტოვებენ“ – რთული არ იყო იმის მიხვედრა, რაც ემილიმ გაიფიქრა.

კარგა ხანი ისევ წყნარად ისხდნენ.

ალექსმა თქვა, რომ ერიკას ნაჩუქარი სუვენირები და ოქროსფერი ნიღაბი, რომელიც გაცნობის დღეს ეკეთა, თან ჰქონდა წამოღებული და აქვე აპირებდა დატოვებას. თან ემილის შეხედა, აზრი აინტერესებდა.

ემილიმ იცოდა, თუ ერთად

გააგრძელებდნენ ცხოვრებას, ეს ნიღაბი გამოწვევა იქნებოდა მათ ურთიერთობაში. წლები გავიდოდა, მაგრამ ეს მზისფერი ნიღაბი მუდამ დარჩებოდა ახალგაზრდობის, დიდი ვნების სიმბოლოდ, როგორც მიმზიდველი, ლამაზი დღეების მოგონება, ნაკლებად მიმზიდველ ყოველდღიურობასთან. უნდოდა ეთქვა, არ შეენახა ერიკას ნივთები, მაგრამ სულ სხვა რამ უთხრა: „ძვირფასს რელიკვიებს უფრთხილდებიან“.

– ცოტას გავისეირნებ, – თქვა ემილიმ. ალექსიც წამოდგა... – ამჯერად მარტო!

ალექს გულზე მოხვდა ემილის ნათქვამი. შეიძლება ემილის აღარც მოუნდეს ცხოვრების დაკავშირება ისეთ ადამიანთან, რომელსაც არ ეყო საკმარისი ძალა, რომ რთულ ვითარებაში რამე მოემოქმედა, არც მოსალოდნელი ხიფათის ინტუიცია აღმოჩნდა და არც იმის სურვილი და მონდომება, განსაცდელში საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფილიყო. შეიძლება ემილისთან დაშორება იმ უპასუხისმგებლო საქციელის საფასური ყოფილიყო, რომელიც ალექს მთელი ამ წლების განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა. ემილი ვაჟს ფიქრებს მიუხვდა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო იმის ცოდნა, ალექსის წუხილი საკუთარი თავის დადანაშაულებით გამოწვეული დროებითი ემოცია იყო, თუ ხასიათში ჰქონდა მოვლენების მიმართ კაპიტულანტური დამოკიდებულება. აღარაფერი უთქვამს, წყნარად გაიხურა კარი.

ემილი საკმაოდ გვიან დაბრუნდა.

წომერში შემოსულს ალექსი იმავე სავარძელში დახვდა.

– დავბრუნდი, – თქვა ქალმა და სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა. – ჩვენ შეგვიძლია სწრაფად ვაპატიოთ ერთმანეთს სიტყვები, წყნა, ბრალდებებიც, მაგრამ ნდობის აღსადგენად ცოტა უფრო მეტი დრო დაგვჭირდება.

ალექსი ქალაქის გარეუბანში წავიდა და მისთვის ნაცნობ გზას გაუყვა. იცოდა, ბოლოჯერ ხედავდა იმ ადგილებს. შვიდი წლის წინ, მაგნოლიებით ხელში, ერიკას ბებიას სანახავად მოვიდნენ.

ამდენი წლის მერეც ირგვლივ საშინელი ტრაგედიის კვალი ადვილად შესამჩნევი იყო. ზოგიერთ მიტოვებულ სახლზე X იყო გამოხატული – მაშველების მიერ გაკეთებული ნიშანი – არ არეოდათ რომელ სახლში იყვნენ ნამყოფი. იქვე რიცხვებიც იყო მიწერილი. რიცხვი სახლში ნაპოვნ ადამიანებს აღნიშნავდა. წყალი მაშინ ხომ წარმოუდგენლად სწრაფად მატულობდა. ბევრს ლაპარაკობდნენ, აქ აღარ გაეშენებინათ ქალაქი, მაგრამ ხალხი ამ ყველაზე დაზარალებულ ადგილებშიც კი ბრუნდებოდა. ბრუნდებოდნენ არა იმიტომ, რომ ვერ ხვდებოდნენ, აქ ადვილი არ იქნებოდა ცხოვრების თავიდან დაწყება, უბრალოდ სხვაგან არსად არ შეძლოთ ცხოვრება.

როცა წყალდიდობის მერე ალექსი, ჯეფთან ერთად, ნიუ-ორლეანში დასახმარებლად ჩამოვიდა, ირგვლივ საშინელი ქაოსი დახვდათ. სასმელი წყლისა და ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილ ქალაქში, ყველგან, სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობდა.

ნიღბიანი მაშვლები, სასოწარკვეთილი სახეები, ტალახი, შმორის სუნი და კიდევ რაღაც სხვა, ალპათ, სიკვდილის სუნი. დამხმარეთა შორის ყველა ასაკის ადამიანები იყვნენ – ადგილობრივებიც და ჩამოსულებიც. სამუშაოები ნიღბის გაკეთებას მოითხოვდა, მაგრამ ზოგი იხსნიდა, ალექსს კი ნიღბით ერჩივნა, რადგან ცრემლებს გზას უღობავდა.

ახსოვს, მაშინ საშინელ ტალახსა და უბედურებაში სიმღერას რომ შემოესმა, გაოგნდა. ადგილობრივმა ხანდაზმულმა კაცმა მისი გაოცება შეამჩნია და უთხრა:

– ნუ გაგიკვირდება. მუსიკა, სიმღერა ნიუ-ორლეანის ძველი ტრადიციაა.

ასე იყო ჩვენთან ყოველთვის – სიხარულის დროსაც და განსაცდელის უამსაც. თუ მიხვალ და შეეკითხები, ასეთ დროს რა გამღერებთო, გეტყვიან: „ვმღღერით იმიტომ, რომ სიმღერა გვიცავს ტირილისაგან!“

ალექსმა ნიღაბი და სუვენირები მიწაში ჩაფლო, ზუსტად ისე, ბავშვები რომ ქვიშაში თამაშობენ, ზედ მაგნოლიები დააწყო და თვითონაც იქვე ჩამოჯდა. მომხდარიდან პირველ სანებში და მერეც, როცა ყველაზე მეტად გაუჭირდებოდა, ნიღაბი საუკეთესო მედიტაცია იყო მისთვის – იმ ლამაზ დროში გადაჰყავდა, უსასრულოდ გრძელ, მზიან დღეებსა და ნათელ, მთვარიან ღამეებში ნიუ-ორლეანის ქუჩებში ხელჩაკიდებული რომ დასეირნობდნენ.

ნიღაბს იქაური მუსიკის რიტ-მი და ერიკას სურნელი მოჰქონდა. დიდხანს იჯდა ფიქრებში ჩაფლული, მერე იქვე დაგდებული ხის ტოტით, მაგნოლიების მახლობლად, მიწაზე დიდი ასოებით დააწერა – „ერიკას“, შემდეგ გულში თითქოს რაღაცამ გაპკრა, ჯოხი ხელახლა აიღო და გვერდით მიუწერა: „და ყველას“

– ნომრის ჩაბარება გვინდა, – უთხრა ალექსმა სასტუმროს მორიგეს. გოგონამ ოთახის საშვი გამოართვა და მონიტორს დახედა.

– ორი დღე კიდევ გაქვთ დარჩენილი, – მორიგემ გაოცება ვერ დამალა, რადგან ასეთი რამ „Mardi Gras“ პერიოდში არ ხდება. – ხომ ყველაფერი წესრიგშია? – და შენუხებულმა ჰქითხა:

– გმადლობთ, ყველაფერი კარგადაა, რაღაც აუცილებელი საქმე გამოგვიჩნდა, – უთხრა ალექსმა.

– მადლობა, თქვენ ჩვენი სასტუმროს არჩევისათვის. იმედია, მომავალშიც გვესტუმრებით, – ღიმილით დაემშვიდობა მორიგე გოგონა და გასასვლე-

ლისკენ მიმავალ წყვილს თვალი გააყოლა: – „იჩხუბეს? თითქოს არ ჰგვანან ნაჩხუბებს, თუმცა, რას გაუგებ ამ ხალხს“, – გაიფიქრა თავისთვის და თავაზიანი ღიმილით შეეგება მასთან მისულ ახალგაზრდებს.

თვითმფრინავმა ქალაქის თავზე წრე დაარტყა. ალექს ფანჯრიდან აღარ გადაუხედავს. სულ უფრო და უფრო შორდებოდა მისისიპის ნაპირზე მდებარე ამ ქალაქს, თავისი განუმეორებელი სამხრეთული შარმით, რომელიც სათუთად ინახავს ჯაზის, კარნავალების, ქუჩის ფესტივალების ქალაქის წოდებას. ნიუ-ორლეანს ერთი ფეხი წინ, მომავლისკენ აქვს გადადგმული, მეორე კი – ღრმად ფესვგადგმულ ნარსულში, თავის ისტორიაში. შეიძლება, სწორედ ამ ამბივალენტურობაშია მისი საიდუმლო ხიბლი.

ნიუ-ორლეანს ორმაგი სახე აქვს – მისთვის უცხო არაა გაჭირვება, ნარკოტიკები, კრიმინალი, მეორე მხრივ კი

– მოელვარე ბურბონ სტრიტი, თავისი ძვირადლირებული სასტუმროებითა და კაფე-რესტორნებით.

“Mardi Gras” ცხოვრების სიყვარულია: მისტიკური ენერგიის, გემრიელი კერძების, სურნელოვანი სანელებლების, ხალისისა და ექსცენტრიულობის ჰარმონიული კონვერგენცია.

მასკარადების მიმართ ვნება ნიუ-ორლეანში მარტო ყველიერის კვირით არ შემოიფარგლება, “joice de vivre“ ამ ქალაქის ცხოვრებისული ფილოსოფიაა. ჯაზი, კიდევ ჯაზი, ბევრი, ბევრი ჯაზის დღესასწაული. აქ ტარდება მსოფლიოში სახელგანთქმული ჯაზისა და ბლუზის ფესტივალი. როგორც ამბობენ, რიტმს დასარტყმელი ინსტრუმენტების მანერაზე მდინარე მისისიპი იძლევა. აქ ყველაფერი მუსიკითაა გაჯერებული. დილას, შუადღეს, საღამოს – მუსიკა, ნონ-სტოპ მუსიკა... რას არ უკრავენ ნიუ ორლეანში.

თამარ გელიტაშვილი



სუნთქვისა და სიპეტის შემგროვებელი

(ნათია როსტიაშვილის პროზა)

დრო ფიქრია ნანახსა და გაგონილზე.
დრო დალვინებული აზრების ზარ-
დახშაა.

დრო ცნობიერებაში დალექილი დარ-
დების დაძლევის უებარი საშუალებაა.

დრო ცვლილებებისა და შეხედუ-
ლებათა გადაფასების შეუცვლელი მე-
ქანიზმია.

ადამიანის შეცნობაც დიდი დროს
საჭიროებს.

მხოლოდ კარგი წიგნის ამოცნობას
არ სჭირდება დიდი დრო.

არსებობს წიგნები, ერთხელ რომ
წაიკითხავ და კმარა...

ისეთებიც არსებობს, ხელმეორედ
წაკითხვის სურვილს რომ აღგიძრავენ.

ამ მეორე კატეგორიის წიგნებს მი-
ეკუთვნება ნათია როსტიაშვილის მოთ-
ხობათა ახალი კრებული „სუნთქვის
შემგროვებელი“.

კრებულში შემავალი პროზაული
ქმნილებები ჰუმანიზმის იდეებზეა ალ-
მოცენებული, რომლის ცალკეული ეპი-
ზოდები ხატოვანი ფრაზებით გაცოც-

ხლებული ჩვენი ცხოვრებისეული ვარი-
აციებია.

მწერალს სხვანაირი თვალი აქვს.
ის სულისმიერი თვალით უმზერს სამ-
ყაროს და გულისმიერად აღიქვამს ყვე-
ლა ფაქტსა თუ მოვლენას.

ნიჭიერი შემოქმედი სისადავისა და
სიმარტივის გზას ადგია და, ესთეტი-
კური უბრალოებით, დიდი მხატვრუ-
ლი ხორცშესმითა და მცირეოდენი
სახეცვლილებით, უკანვე გვიბრუნებს
ჩვენს სინამდვილეში მომხდარი ამბების
მრავალფეროვან კოლაჟს.

„სუნთქვის შემგროვებელიც“ იმ
სიუჟეტებს სთავაზობს მკითხველს,
მისსავე ცხოვრებაში რომ ამოიკითხა
მწერალმა.

დღეს, ამ გაუთავებელი ლექსომა-
ნიის, მწერლომანიისა თუ ბეჭდომანიის
ფსიქოპათიურ რეალობაში სამწუხარო
იშვიათობას წარმოადგენს მწერალი თა-
ვისი ორიგინალური ხელწერით. ახალ-
გაზრდა ჰუმანისტი პროზაიკოსი ნათია
როსტიაშვილი კი პოსტმოდერნიზმის
გავლენასაც გაექცა, ჩვენს თანამედ-

როვეობაში თანდათან ფეხმოკიდებულ ამერიკულ სლენგურ-პორნოგრაფიულ სტილსაც და უცნაური და ყველასა-გან განსხვავებული სიუჟეტებით გარდამტეხი შტრიხები შეიტანა მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში.

ნათია როსტიაშვილის ნაწარმოებების თემატიკა სამ ძირითად ღვთაებრივ ფენომენს ემყარება: სიყვარულს, სიკეთესა და სათნოებას. მის შემოქმედებაში ეს სამი მთავარი პრნციპია ერთმანეთთან შერწყმულ-შენივთებული, ამაში კი განსაკუთრებული და უჩვეული ის არის, რომ ამ წიგნში მოთხოვობილი ამბები თითქოს ყველასათვის ნაცნობია და ახლობელი, მაგრამ ამავე დროს უცხო, რეალურად არარსებული. ის, რაც სინამდვილეში შეუძლებელია, მწერალმა მხატვრულად გარდაქმნა და სიცოცხლე შესძინა.

ასეთი ტიპის მოთხოვობათაგანია „სუნთქვის შემგროვებელი“.

მოთხოვობის პერსონაჟი, პატარა ნენსი, რომელსაც დედა ავტოვარია-ში დაეღუპა, გადაწყვეტს, არასდროს გაწყვიტოს მასთან კავშირი, ამისათვის კი ერთობ უცნაურ ხერხს მიმართავს – ბუშტიდან, რომელიც დედამ ავტო-კატასტროფიდან რამდენიმე წუთით ადრე გაუშერა, ჰაერს შეისუნთქავს და მშობლის ფილტვების ამონასუნთქს შეიგრძნობს. ასე გრძელდება ყოველ-დღე. დედის ულუფებად შესუნთქული ჰაერი ტკივილებს უამებს გოგონას და სიცოცხლის ხალისით ავსებს.

თანდათანიბით სუნთქვის წაკითხვაც ისწავლა ნენსიმ – გაბერილი ბუშტიდან შესუნთქული ჰაერის მეშვეობით გრძნობდა ადამიანის შინაგან გან-ცდებს, მის ბუნება-ხასიათს.

ადამიანები იმქვეყნად უთქმელი ფიქრებითა და დარღებით მიღიან, ჩვენ კი მხოლოდ იმაზე ვწუხვართ, რა დარჩათ სიცოცხლეში გასაკეთებელი, რა ვერ მოასწრეს, მაგრამ არასდროს განვიცდით იმას, რა ვერ გვითხრეს ბოლომდე,

რა ვერ წავიკითხეთ მათი დანისლული თვალებიდან; რა დარდი წაიყოლეს თან ისეთი, რასაც არავის, სულ არავის უმხელდნენ და ვერც ჩვენ მივხვდით, ვარ ამოვიცანით... არც გვიცდია...

ასე გადო მწერალმა უხილავი ხიდი სააქაოსა და საიქიოს შორის. როგორც თვითონ ამბობს:

„ერთი ბუშტი ყოველთვის გაბერილი, გამზადებული უნდა გქონდეს ადამიანს, რა იცი, როდის დაგახრჩობს შეკავებული ცრემლი, სუნთქვა, დარდი ან სიყვარული. ხომ უნდა დატოვო შენი უთქმელი, არმოყოლილი ამბები სააქაოს“.

ამ სიტყვებით ჩვენს სამწუხარო რეალობას შეგვახსენებს მწერალი. შესაძლოა, ყოველი წუთი უკანასკნელი იყოს. ამიტომაც მუდმივად უნდა ვზრუნავდეთ ერთმანეთზე, გვესმოდეს სხვისი შინაგანი ძახილი და სხვივმიმერალ თვალებში ჩაბუდებული ფარული დარდი.



ნათია როსტიაშვილი ქმნის ისეთ სამყაროს, როგორიც თავად სურს, რომ იყოს. მისეულ სამყაროში, როგორც უკვე ითქვა, ჩვენი სინამდვილეა მოდელირებული, ოღონდ ტრანსფორმირებული და სიკეთის ფერებით გაფერადებული. ეს კათარზისია, სადაც ცხოველური ვწებებისა და მდაბალი გრძნობებისგან თავისუფალი პერსონაჟები ბინადრობენ და ადამიანებისათვის საჭირო სასიცოცხლო ენერგიას ას-ხივებენ. მის ნანარმოებებში სახეობრივი ფერადოვნება მწერლის ფანტაზიას, სურვილებს, მისტიკურ ზმანებებს ერწყმის და აზროვნებად გარდაიქმნება. მშვენიერებით გვხიბლავს უნატიფესი ლირიზმითა და ევფონიით გაჯერებული მისი მხატვრული სიტყვა.

ყველა მოთხოვობას მოულოდნები დასასრული აქვს, ხოლო მწერლური ინტრიგა მკითხველის რეფლექსიას უფრო მეტად ამძაფრებს. რომ გგონია,

რომ გამოიცანი და მიხვდი, როგორი იქნება კონკრეტული ნაწარმოების ფინალი, უცხად, აღმოჩნდება, რომ დამარცხდი მწერლის ოსტატობის წინაშე, გიმტყუნა რეცეფციულმა ალლომ. ამგვარ ეფექტს ავტორი პუნქტუაციური ინტონაციებით აღწევს.

ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „სიუჟეტი“, რომლის მთავარი პერსონაჟი გაბო ეჭვით შეპყრობილი ქმარია. მას ეჭვის ჭიამ მას შემდეგ შეულიტინა, რაც მისმა ცოლმა ციცომ მკითხავთან დაიწყო სიარული.

გაბოს ოჯახურ იდილიას ბზარი გაუჩნდა. ქმარი „მოლალატე“ ცოლისგან ჯადოს გაკეთების შიშმა აიტანა.

ერთ დღეს გაბო გადაწყვეტს, ციცოს უთვალთვალოს და ფაქტზე გამოი-

ჭიროს. ეჭვიანი ქმარი მართლაც დადგა „ფაქტის“ წინაშე, ოღონდ ეს „ფაქტი“ სულაც არ იყო ცუდი და ოჯახის დამანგრეველი. იმან, რაც გაბომ დაინახა და მოისმინა, სულით ხორცამდე შეძრა და ამავე დროს უაღრესად გააბედნიერა. აღმოჩნდა, რომ ციცოს ფიქრადაც არ ჰქონია ქმრის ლალატი და მკითხავე ექიმბაშთან ჯადოების გასაკეთებლად კი არა, უშვილობის „სეანსებზე“ დაიარებოდა.

გაბომ სიტყვასიტყვით გაიგონა მკითხავ ჯადო-მაღლის მიერ ციცოს-თვის გამოწერილი მკაცრი და წესების ზუსტი, ზედმინევნითი დაცვით შესასრულებელი „რეცეპტი“ – ქალი, თუ დედობა სურდა, იმავე სალამოს, ლამის თორმეტ საათამდე მამაკაცთან უნდა

შეწყვილებულიყო. მაღოს დანიშნულების მიხედვით, ეს იყო ციცოს დაფეხმდიმების ერთადერთი და უკანასკნელი შანსი.

ასეთი რეგლამენტირებული დრო დაუთქვა ექიმბაშმა გაბოს ცოლს, მაგრამ იმ სალამოს ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მოულოდნელი სტუმარი ეწვია – გაბოს მეგობარი წუნი. გაბომ წუნი სახლში დატოვა, თვითონ კი, მეუღლის მუდარით სავსე თვალების მიუხედავად, მარკეტში არყისა და თეთრი შოკოლადის მოსატანად წავიდა. არადა, იცოდა, რომ მასა და მის ცოლს ბავშვის ჩალზე ცოტა დრო ჰქონდათ. არ გაჭრა ცოლის მუდარამ... გაბო მაინც წავიდა...

შემდეგ კი მოთხრობაში ვკითხულობთ: „გაბო მარკეტიდან რომ მოპრუნდა, პირველის წუთები



იყო. მაგიდაზე არყის ბოლომდე ჩაცლილი ბოთლი იდგა. წუნი წასულიყო".

რამდენიმე დღეში წუნიც დაოჯახდა. ცხრა თვის თავზე კი მას გოგონა შეეძინა, გაბოს – ვაჟი.

მკითხველი მთელი სიუჟეტის განმავლობაში გაფაციცებით ადევნებს თვალს ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ურთიერთობას, გულშემატკიცრობს უშვილობით განამებული ქალის ტანჯვას, მის განცდებს იზიარებს და აღტაცებით ხვდება იმ ამბავს, რომ, გაბოს დაგვიანების მიუხედავად, მათი შეწყვილების ლამე ნაყოფიერი აღმოჩნდა და ბიჭი შეეძინათ, მაგრამ მწერალი ნოველისათვის დამახასიათებელი, სრულიად მოულოდნებული ფინალით ასრულებს თხრობას და ცივწყალგადასხმულებივით გვტოვებს:

"ჰო, მართლა... წუნის გოგონას, ლიმილისას, საყვარლად ეჩუტება მარჯვენა ლოყა (წუნის მსგავსად, მასაც მარჯვენა ლოყა ეჩუტებოდა – თ.გ.).

ლიმილის დროს, საყვარლად ეჩუტება მარჯვენა ლოყა... გაბოს ბიჭსაც".

ასე გადასძალა ქმრის სიყვარული და ერთგულება შვილის ყოლის დაუძლეველმა სურვილმა. ციცომ, რომელსაც აზრად არ ჰქონია გაბოს ლალატი, ბავშვის ჩასახვისათვის აუცილებელი „ბოლო“ შანსი გამოიყენა. ასე აქცია ქალმა რეალობად უნიათო ქმრის თავ-დაპირველი უსაფუძვლო ეჭვი.

ერთდროულად თან გიტაცებს და თან გხიბლავს ახალგაზრდა მწერლის მოსხეპილი სიტყვითა და ლაკონურობით შექმნილი ტექსტები, სადაც ყველაფერი ზღვრულია და ზომიერი, სადაც არც ერთი ფრაზა არ გეჩვენება ზედმეტად, ხელოვნურად განელილ-ნაწვალებად.

„სუნთქვის შემგროვებელი“ ის კრებულია, რომელიც გაიძულებს, სხვანაირი გახდე, სხვანაირად შეხედო ცხოვრებას და მისი წაკითხვისთანავე იმ

მიკროსამყაროს, მიკროქალაქისა თუ მიკროუბნის ბინადრად იქცე, ნათიაროსტიაშვილმა რომ შექმნა, სადაც ასე გამჭვირვალედ გამოიკვეთა სიკეთისაკენ მიმსწრაფი ადამიანთა შიანგანი სამყაროს ხელშესახები კონტურები. რაც მთავარია, ავტორისეული „საცხოვრისი“ ისეთ მაგიურ ჯადოს ფლობს, ლვთაებრივი მადლით რომ გავსებს და სიკეთისქმნადობისკენ გიბიძგებს. მწერლის მიერ გამოხატული ტექსტის გამაცა და ლიტერატურული პათოსიც შემაკავებელ სიგნალს იძლევა – არა ეგოცენტრიზმს!

მოთხოვებების – „დურგლის ბიჭი, არაცაცხვის გოგო და მე“, „ჩემი საქმე წასულია, მარუს“, „სუნთქვის შემგროვებელი“ და სხვა პერსონაჟები მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ, საკუთარ სიამოვნებაზე უარის სანაცვლოდ, სხვებს სიხარული და შვება მიანიჭონ.

ნათიაროსტიაშვილი თავისი მეტაფორულ-ასოციაციური აზროვნებითა და სიტყვის მაგიური ძალით შექმნილი ნაწარმოებებით ცდილობს, ბევრ რამეზე დააფიქროს მკითხველი და საკუთარი ნაკლოვანებების გამოსწორებისკენ უბიძგოს. სწორედ ეს არის მისი უმთავრესი შემოქმედებითი მრნამსი.

ნოველაში „აპრეშუმის ნია“ მწერალი დაუნდობლად ამხელს იმ ადამიანთა კატეგორიას, ვისაც საკუთარი „მე“ დაუკარგავს, სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს და, დემორალიზებული, დაპროგრამებულ ზომბად ქცეულა.

ნია ახალგაზრდა ქალია, რომელიც ერთ დროს შემდგარი პიროვნება იყო, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა, მეგობრებთან ერთად ერთობოდა და თავისუფალ დროს მშვენივრადაც ხატავდა, მაგრამ ქმარმა ამ ყველაფერზე უარი ათქმევინა, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ სიყვარულისა და პატივისცემის სახელით, რადგანაც ღრმად სწამდა, რომ ნორმალურმა კაც-

მა თვითონ უნდა იმუშაოს, ცოლი კი შინ დედოფლად დაისვას და მხოლოდ სადილ-ვახშის მზადებით დატვირთოს.

ასე იქცა მარიონეტად ქმრის ეგო-იზმს შეწირული ოდესლაც ულამაზეს-თვალებიანი და აპრეშუმისკანიანი ნია – ახლობელ-მეგობრებს ჩამოშორებული და ყოველგვარ სულიერებას მოკვეთილი.

მწერალი, ნიას სახით, იმ ადამიანთა ყოფას აღწერს, ვინც უსაქმურობით შეიძლება დაუანგდეს, ობი მოეკიდოს ან მტვერი დაედოს. ასე დაფარა ნია მტვრის სქელმა მასამ. მართალია, სახლის ხეხვა და ოჯახის მოვლა დიასახლისის პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ, ამ ყველაფერთან ერთად, არსებობს სულიერი საზრდოც, რომელზე უარის თქმაც სულის დამჭლევებას იწვევს.

ნათია როსტიაშვილს ამ მოთხრობით ჩვენთვის იმის შეხსენება სურს, რომ რუტინული ყოფა ზნეობრივად ამდაბლებს ადამიანს, მეტიც, საერთოდაც უკარგავს ადამიანურ სახეს, ისევე, როგორც ნიას. ასეთი დემორალიზებულინერტული, შინაგანად გამოფიტული ადამიანი კი აღარავის სჭირდება, მათ შორის საკუთარი ოჯახის წევრებსაც; არც იმას, ვინც ასეთი არჩევანის ნინაშე დააყენა, ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან ამოაგდო და სისხლსავსე ცხოვრება უნორმო, უშინაარსო, უფერულ ყოველდღიურობად უქცია.

უშინაარსო ყოფით მტვრის სქელღრუბელდადებული ნია საკუთარ ქმარს აღარ მოსწონს. აღარ იზიდავს უსაქმურობითა და ერთფეროვნებით დაუანგებულ-დამტვერიანებული ცოლი, რომელსაც ერთ დროს ყველაზე ლამაზი თვალები ჰქონდა მთელ ქალაქში. ამიტომაც ცოლის „გადაგდების“ სურვილი უჩინდება და დაუფარავად ამბობს მასზე: „როცა ნივთი დაუანგდება, უნდა გადააგდო“.

სიყვარული სიყვარულია, პატივისცემა – პატივისცემა, მაგრამ იქ სიყვარულისა და პატივისცემის ადგილი აღარ არის, სადაც არჩევანის წინაშე გაყენებენ. საკუთარ თავში პიროვნების დათრგუნვა, მოდუნება, სრული ატროფია, მეგობრებზე, სამსახურზე, საყვარელ საქმიანობასა თუ ყოველგვარ ჰობზე უარის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ – „როცა ქმარი გყავს, ყველამ და ყველაფერმა უკან უნდა ჩაიჩოჩოს“, საკუთარი თავის ცოცხლად დამარხვის ტოლფასია.

მოთხრობის პერსონაჟ სიმონს საერთოდ არ ესმის, ვერ გრძნობს, რომ თვითონ არის მიზეზი ნიას სულიერი და ხორციელი დამჭლევებისა და მის დაცინვას იწყებს. სახლში შემოსვლისთანავე, ვითომ მტვრის კორიანტელი უტევს, იმიტირებულად აცემინებს – „აააფჩი!“, ბოლოს კი სახლში მისვლის სურვილი სრულიად ეკარგება.

უღიმღამო, რობოტად ქცეული ცოლის ყურებით გაპეზრებული სიმონი ნიას გადაგვარების მიზეზს სხვაგან ეძებს და ღმერთს უსამართლობის გამო საყვედურობს:

„ყველანაირად ხელი შევუწყე: სამსახური ამას არ აწუხებდა, შვილის გაზრდა და უსაქმური დაქალები. არაფერი. დღეები, კვირები, თვეები ისე გადიოდა, მხოლოდ ორ საქმეს აკეთებდა: დალაგება და საჭმელი. სხვას არაფერი. დედოფალივით მყავდა! და, მიუხედავად ამისა, ცოცხალ ადამიანს მტვერი დაედო. რატომ?!“

ვერ გაუცნობიერებია სიმონს – ნამდვილ ქართველ „რაინდს“, რომ სწორედ არაფრთობაა ადამიანის სულის დამჭლევების პირველმიზეზი. არაფრთობა უსახოა, რომელსაც სავარძელზე მიფენილ უცნაური ქსოვილის ჩენჩის უწოდებს მწერალი.




ნათია როსტიაშვილი ყველა პერ-

სონაჟშია ჩასახლებული. ის ერთნაირი მონდომებითა და, რაც მთავარია, საოცარი სიტყვიერი ფერადოვნობით ძერნავს განსხვავებული ნიშან-თვისებების მქონე ადამიანების განსხვავებულ სახეებსა და მათ შინაგან სამყაროს. ამიტომაც მისი მოთხრობები ექსპრესიულობითა და ემოციურობით გამოირჩევა. მას ძალუძს გარდაისახოს უმანკო და სპეტაკ ბავშვად, მეოცნებე ქალწულად, შეყვარებულ თუ ეჭვიან მამაკაცად, მოხუცად, ახალგაზრდად და ყველგან ინდივიდუალურ ხელწერას ტოვებს. ის სიკეთეს მინდვრად მოფენილი ლამაზი-

ლამაზი ყვავილებივით აგროვებს და რუდუნებით მოაქვს ჩვენამდე. სწორედ ამ ნიშნით ის, სუნთქვასთან ერთად, სიკეთის შემგროვებლადაც გვევლინება.

ნათია როსტიაშვილის გრძნობათა გადმოცემის ემოციურობას, თამამ და არა ეპატაჟურ, ფრაზებსა თუ ეპიზოდებს გარდამტეხი მუხტი შემოაქვს მასობრივი ფსიქოზით შეპყრობილ ჩვენს ყოფაში და ზნეობისა და ეთიკურობის აუცილებლობას მოგანატრებს.



პატრიკ ზიუსკინდი

ბატონი ზომერის ამჩავი



პატრიკ ზიუსკინდი – გერმანელი მწერალი და კინოსცენარისტი. დაიბადა 1949 წლის 26 მარტს, ამბახში, მიუნხენის ახლოს მდებარე გერმანულ თემში, მნერლის ოჯახში. სკოლა ბავარიის სოფელ ხოლცპაუზებში დაამთავრა; მიღებული აქვს მუსიკალური განათლება; მიუნხენის უნივერსიტეტში სწავლობდა თანამედროვე და შუა საუკუნეების ისტორიას. მოგვიანებით, ფრანგული ენის გაუმჯობესების მიზნით, სწავლა განავრძო ექს-ან-პროვანსში (საფრანგეთი), მაგრამ არ დაუმ-თავრებია და მხოლოდ ორი სემესტრი დახურა. ესწრებოდა ინგლისური, ესპანური, ლათინური და ბერძნული ენების, პოლიტიკის, ხელოვნებისა და თეოლოგიის კურსებს. გამოიცალა ბევრი პროფესია. რა არ იყო: ფირმა Siemens-ის საპატენტო განყოფილების თანამშრომელი, საცეკვაო სტუდიის პიანისტი თუ მაგიდის ჩოგბურ-თის მწვრთნელი. მოგვიანებით გადასახლდა პარიზში, სადაც დაიწყო პატარ-პატარა მოთხოვებისა და კინოსცენარების წერა, მაგრამ მათ არც არავინ ბეჭდავდა და არც არავინ დგამდა.

წარმატებას მიაღწია 1980 წელს, როცა დაიბეჭდა მისი მოთხოვა „კონტრაბა-სი“. 1985 წელს კი გამოქვეყნდა „სუნამო. ერთი მკვლელის ისტორია“, რომელმაც ავტორს საქვეყნო წარმატება მოუტანა. ამას მოჰყვა „ლიტერატურული ამნეზია“, „მტრედი“, „ბატონი ზომერის ამბავი“, „სიყვარულსა და სიკვდილზე“, „როსინი“ და სხვ.

ზიუსკინდის ნაწარმოებები თარგმნილია 46-ზე მეტ ენაზე. 1978 წელს მიენიჭა „ტუკანის“ (Tukan-Preis) პრიზი, ხოლო 1987 წელს – მსოფლიო პრემია ფანტასტიკის დარგში „WFA“.

ენევა კარჩაკეტილ ცხოვრებას და შორს უჭირავს თავი უურნალისტებისგან. ასე-თი ცხოვრების სტილის გამო პრესამ მას „გერმანული გასართობი ლიტერატურის ფანტომი“ შეარქვა. მონაცვლეობით ცხოვრობს მიუნხენსა და მანსარდანში(საფრ.)

მაშინ, როცა ჯერ კიდევ ხეებზე ვცოცავდი (ეს კი ძალიან, ძალიან დიდი ნინ იყო, მრავალი წლისა და ათ-წლეულების წინ), ოცდარვა ზომა ფეხ-

საცმელს ვატარებდი, ერთ მეტრზე ოდნავ მაღალი ვიყავი და თანაც ის-ეთი მსუბუქი, რომ ფრენა შემეძლო. ღმერთმანი, არ ვტყუი, მაშინ მართლა

დავფრინავდი ან თითქმის დავფრინავდი, უფრო ზუსტად, იყო მომენტი, როცა მართლაც შემეძლო ფრენა, თუ ამას მტკიცედ გადავწყვეტდი და ძალიან შევეცდებოდი, რადგან... რადგან მშვენივრად მახსოვს, ერთხელ სულ ცოტა დამაკლდა, რომ ავფრენილიყავი. ეს შემოდგომაზე მოხდა, პირველ კლასში, სკოლიდან შინ რომ ვპრუნდებოდი. ისეთი ძლიერი ქარი ქროდა, რომ, თუ მას მიენდობოდი, ხელების გაშლაც კი არ დაგჭირდებოდა, ისე წაგიღებდა და არც წაიქცეოდი; თითქოს მოთხილამურე იყავი, ოღონდ სულ ოდნავ უნდა მოხრილიყავი წელში... და სკოლის მთის ფერდობიდან რომ ვეშვებოდი თავქვე, ქარის საპირისიპიროდ (რადგან სკოლა სოფლის გადაღმა, ერთ პატარა გორაკზე იდგა), უბრალოდ, ოდნავ ავხტი, ხელები გავშალე და ქარმაც ამიტაცა და გამაქროლა. ძალიან იოლი აღმოჩნდა ორი-სამი მეტრის სიმაღლეზე მიწიდან ამაღლება და ათითორმეტი მეტრის სიგრძეზე გადაფრენა, თუმცა, შეიძლება, არც ასე მაღლა ავფრენილვარ და არც ასე შორს გადავფრენილვარ, მაგრამ ეს ხომ არ იყო მთავარი?! მთავარი ის იყო, რომ თითქმის დავფრინავდი და პალტოს ღილები რომ შემეხსნა, ორივე კალთისთვის ხელი წამევლი და ფრთხებივით გამეშალა, ქარი იმწამსვე ცაში ამტყორცნიდა და საკმაოდ იოლად გადმომაფრენდა სკოლის გორაკიდან, გადამაფრენდა ხევსა და ტყეს, ჩამაქანებდა ტბისკენ, სადაც ჩვენი სახლი იდგა და იქ, ყველას გასაოცრად (მამაჩემის, დედაჩემის, ჩემი დებისა და ძმების, რომლებიც უკვე საფრენად საკმაოდ მოპერებული და დამძიმებული იყვნენ), მაღლაც, ბალის თავზე, მოხდენილად შემაკვრევინებდა კამარას, ისევ გადამაფრენდა ტბას და გამიყვანდა გაღმა ნაპირზე, ბოლოს კი აუჩქარებლად წამომიღებდა შინ, ზუსტად სადილობისთვის, მაგრამ მე არ გამიშლია პალტოს

კალთები და არ ავფრენილვარ მაღლა. იმიტომ კი არა, რომ შემეშინდა, არამედ იმიტომ, რომ არ ვიცოდი, როგორ და სად შევძლებდი დაფრენას ან დავფრინდებოდი კი საერთოდ? ჩვენი სახლის წინა ბაქანზე მიწა დასაფრენად ძალიან მაგარი იყო, ბალი – ძალიან პატარა, ტბის წყალი – ძალიან ცივი. ცაში აჭრა რთული არ იყო, მაგრამ, როგორ უნდა დავშვებულიყავი მიწაზე?!

იგივე ხდებოდა ხეზე ცოცვის დროსაც – აძრომა ძალიან იოლი იყო; ტოტებს თვალნათლივ ვხედავდი, ვიდრე ავცოცდებოდი, მოვეჭიდებოდი მათ, სიმყარეს მოვუსინჯავდი და ზედ დავდგებოდი. აი, ჩამოცოცების დროს ვერაფერს ვხედავდი და, იძულებული ვიყავი, ფეხით ბრმად მომესინჯა იქაურობა, სანამ წიადაგს ვიგრძნობდი, ტოტი კი ხშირად დამპალი იყო ან სლიკინა და ფეხი თუ ამიცდებოდა, ან ორივე ხელით ჩაჭიდებას ვერ მოვასწრებდი, მიწაზე ქვასავით მოვადენდი ზღართანს, თანახმად ე.ნ. ვარდნის კანონისა, რომელიც იტალიელმა მკვლევარმა გალილეო გალილეიმ თითქმის ოთხასი წლის წინ აღმოაჩინა და დღემდე ჯერ კიდევ მოქმედებს.

ჩემი პირველი წარუმატებელი ვარდნაც პირველ კლასში მოხდა. ოთხმეტრნაცევრიანი ვერცხლისფერი წაძვიდან მოვფრინავდი. ვენარცხებოდი ზუსტად გალილეის პირველი კანონის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ვარდნის დროს განვლილი მანძილი ტოლია დედამიწის მიზიდულობით გამოწვეული აჩქარების ნახევრისა, გამრავლებული დროის კვადრატზე ($S=1/2g \cdot t^2$) და, აქედან გამომდინარე, მისი სანგრძლივობა უდრის $0,9578262$ წამს. ეს დროის ძალიან მცირე მონაკვეთია. იმაზე წაკლები, ოცდაერთიდან ოცდაორამდე რომ დაითვალო; ის კი არა, იმაზე წაკლებიც, ვიდრე სიტყვა „ოცდაერთის“ მკაფიოდ წარმოთქმას მოასწრებ! ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა,

რომ ვერც ხელების გაშლა მოვას-ნარი და ვერც პალტოს გახსნა, პარა-შუტის მაგივრობა რომ გაეწია. აზრად არ მომსვლია გადარჩენაზე ფიქრიც კი, რომ სულაც არ იყო აუცილებელი ჩამოვარდნა, როცა ფრენა შემეძლო. ამ 0,9578262 წამის განმავლობაში არაფერზე არ მიფიქრია და სანამ მი-ვხვდებოდი, რომ გალილეო გალილეის მეორე კანონის თანახმად (ვ=გ•ტ) ძირს ვვარდებოდი, სიჩქარე განვავითარე, რომელიც უდრიდა 33 კმ/სთ-ს და მი-წაზე ისეთი ძალით დავენარცხე, რომ კეფით მაჯის სისქის ტოტი ჩავამტ-ვრიე. ამგვარი ზემოქმედების ძალას სიმძიმის ძალა ეწოდება. ის არა მხ-ოლოდ აერთიანებს დედამიწას, არამედ მოხერხებულად იზიდავს განურჩევ-ლად ყველა საგანს, დიდი იქნება თუ პატარა და მხოლოდ დედის საშოს შე-ფარგებული ან მყვინთავივით წყალქვეშ ჩაყურყუმელავებული თუ ვიხსნით მისი ძალაუფლებისგან თავს. ამ ელემენტა-რული დასკვნის გარდა, ვარდნას მო-ჰყვა უზარმაზარი კოპიც. რამდენიმე კვირის თავზე კოპი კი გამიქრა, მაგრამ ამინდი თუ იცვლება, განსაკუთრებით მაშინ, როცა თოვას აპირებს, ის ადგი-ლი, სადაც კოპი მქონდა, უკვე წლებია, უცნაურად მიფეთქეს და მიკაცუნებს. დღემდე, აგერ უკვე ორმოცი წელია, საკუთარი კეფა სანდო ბარომეტრივით მემსახურება და ამინდის პროგნოზის ნებისმიერ ბიუროზე უკეთ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, ხვალ იწვიმებს თუ მოთოვს, დარი იქნება თუ ავდარი. ასევე ვეჭვობ, რომ დაუდევრობა და უყურადღებობა, რომელიც ამ ბოლო ხანებში დამჩემდა, იმ ნაძვის ხიდან ჩამოვარდნის შედეგია. მაგალითად, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მიჭირს ერთ თემაზე ყურადღების შე-ჩერება და ამა თუ იმ აზრის სხარტად და ლაკონურად ფორმულირება, ხოლო რაიმე ამბის მოყოლისას ზედმიწევნით ყურადღებით უნდა ვიყო, აზრი რომ

არ გამეფანტოს, თორემ, შეიძლება, ერთი ამბიდან მეასეზე გადავხტე და საერთოდ დამავიწყდეს, რით დავიწყეთხრობა.

ასე რომ, მაშინ, როცა ჯერ კიდევ ხეებზე დავცოცავდი (და დავცოცავ-დი ბევრს და კარგად), ყოველთვის არ ვვარდებოდი ძირს! ისეთ ხეებზეც კი ავდიოდი, ქვემოთ საერთოდ რომ არ ჰქონდათ ტოტები და ამიტომ, იძულე-ბული ვიყავი, ხის შიშველ ტანზე ავბო-ბლებულიყავი. შემეძლო ერთი ხიდან მეორეზე გადაცოცებაც. იქ, მაღლა, ქანდარებს ვიშენებდი, უამრავ ქანდა-რას. ერთხელ ნამდვილი სახლიც კი ავიშენე, სახურავით, ფანჯრებით და იატაკზე ნოხით – პირდაპირ შუაგულ ტყეში, ათი მეტრის სიმაღლეზე. ო, ასე მგონია, ბავშვობის უმეტესი დრო ხეე-ბზე მაქვს გატარებული! ხეებზე ვჭამდი კიდეც, ვკითხულობდი კიდეც, ვწერდი კიდეც და მეძინა კიდეც. ინგლისური ენის სიტყვებსაც იქ ვიზეპირებდი და ლათინურის არანესიერ ზმნებ-საც, მათემატიკის ფორმულებსაც და ფიზიკის კანონებსაც; მაგალითად, ზე-მოთ ხსენებული ვარდნის კანონიც, ალ-მოჩენილი გალილეო გალილეის მიერ, იქ მაქვს ნასწავლი. ყველა დავალებას, წერითსა თუ ზეპირს, ხეებზე ვამზა-დებდი. როგორი ნეტარებით ვაფსამდი ხიდან, რამსიმაღლე რკალი კეთდებოდა და როგორი ჩხრიალი გაპქონდა ფოთ-ლებსა და წიწვებზე!

ხეებზე სიმშვიდე სუფევდა. აქ მყუ-დროებას არავინ გირლვევდა; აქამდე არ აღწევდა დედაჩემის აბეზარი ძახილი, არც ჩემი უფროსი ძმის ქედმაღლური განკარგულებები. აქ იყო მხოლოდ ქა-რის ზუზუნი, ფოთლების შრიალი და ხეების ჩუმი ჭრიალი... და ხედი – მშ-ვენიერი ვრცელი და გაშლილი ხედი. ზემოდან მხოლოდ ჩვენი სახლისა და ბალის დათვალიერება კი არ შემეძლო, სხვის სახლებსა და ბალებსაც ვხედავ-დი, მთელ მიდამოს ტბის გალმა ნაპირ-

ზე, მთის ძირამდე, ხოლო შებინდებისას ჩემი კენწეროდან მოჩანდა, როგორ ეფარებოდა გორას მზე, მაშინ, როცა ქვემოთ, დედამინაზე, ადამიანებისთვის ის კარგა ხნის ჩასული იყო. ეს თითქმის ფრენა იყო. ნუ იქნებოდა ძალიან წარმტაცი და მოხდენილი, მაგრამ მაინც წააგავდა ფრენას. ამასობაში გავიზარდე, 18 სმ-ით გავმაღლდი, 23 კგ-ს ვიწონიდი და, წამდვილი ქარიშხალიც რომ ამოვარდნილიყო, პალტო სულ მთლად გამესნა და მისი კალთები ბოლომდე გამეშალა, საფრენად, ცოტა არ იყოს, დამძიმებული ვიყავი. ხებზე კი (მაშინ ასე მეგონა) მთელი ცხოვრება შევძლებდი ცაცვას, 120 წლის აცახ-ცახებული მოხუციც ავძვრებოდი ხეზე, ჩამოვჯდებოდი ბებერი მაიმუნივით, აი, იმ თელის, წიფლის ან ფიჭვის კენწეროზე, ქართან ერთად ვიქანავებდი და გადავხედავდი მიდამოს – ტბის გაღმა ნაპირს, მთის ძირამდე... მაგრამ რა ამოვიჩემე ისევ ეს ფრენა და ხებზე ძრობა?! ავლაქლაქდი გალილეო გალილეის ვარდნის კანონსა და ჩემი კეფის კოპის ბარომეტრზე, რომელიც ასე მანუხებს! მე ხომ სულ სხვა რამის შესახებ მინდოდა მომეთხო?!. კერძოდ, ბატონი ზომერის ამბის შესახებ, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, რადგან, კაცმა რომ თქვას, არავითარი ამბავი არ ყოფილა, იყო მხოლოდ ეს უცნაური ადამიანი, რომლის ცხოვრების გზა (უფრო სწორად, ხომ არ მეთქვა ცხოვრების მარშრუტი?) რამდენჯერმე ჩემს მარშრუტთან გადაიკვეთა, მაგრამ, უმჯობესია, ისევ თავიდან დავიწყო.

მაშინ, როცა ჯერ კიდევ ხებზე ვცო-ცავდი, ჩვენს სოფელში ცხოვრობდა... უფრო სწორად, ჩვენს სოფელ უნთერნ-ზეშიკი არა, მეზობელ სოფელ ობერ-ზეში, თუმცა მათი გარჩევა არც თუ

ისე იოლი იყო, რადგან უნთერნზეც¹, ობერნზეც² და სხვა დანარჩენი სოფლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილი არ ყოფილა და მიჯრით ისე იყო ჩამწკრივებული ტბის სანაპირო ზოლზე, რომ თავსა და ბოლოს ვერ უპოვიდი და ბაღების, ხეებისა და მეზღვაურთა ქოხების ერთ მთლიან, ვიწრო ჯაჭვს ქმნიდა).

მოკლედ, ამ ჩვენს დასახლებაში, ჩვენი სახლიდან ორი კმ-ის დაშორებით ცხოვრობდა ადამიანი, რომელსაც „ბატონ ზომერს“ ეძახდნენ. არავინ იცოდა, რა ერქვა – პეტერი თუ პაული, ჰაინრიში თუ ფრანც-ქავერი. იქნებ დოქტორი ზომერი იყო ან პროფესორი ზომერი, ან სულაც პროფესორ-დოქტორი ზომერი. მხოლოდ და მხოლოდ გვარით იცნობდნენ: „ბატონი ზომერი“. არც ის იცოდნენ, რა პროფესიისა იყო, რას საქმიანობდა და, საერთოდ, ჰქონდა თუ არა ოდესმე პროფესია. ფრაუ ზომერს რომ ჰქონდა ხელობა, ეს იცოდნენ. იგი მეთოჯინე იყო, მთელ დღეებს ზომერების სახლში, მღებავ შტანგლმაიერის სარდაფში ატარებდა და იქ ბავშვებისთვის მატყლის, ჭინჭებისა და ნახერხისგან პატარა თოჯინებს აკეთებდა. კვირაში ერთხელ მათ ერთ დიდ ფუთაში გამოკრავდა ხოლმე და ფოსტაში მიჰქონდა. უკანა გზაზე ჩამოუვლიდა ბაყალს, მეფუნთუშეს, ყასაბს, მემწვანილეს, მოიტანდა შინ ოთხ გაძეგილ ჩანთას, მთელი კვირა გარეთ აღარ გავიდოდა და შეუდგებოდა ახალ-ახალი თოჯინების კეთებას. საიდან მოვიდნენ ზომერები, არავინ უწყოდა; უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს ჩამოვიდნენ, ქალი – ავტობუსით, კაცი – ფეხით და მას აქეთ აქ იყვნენ. არც შვილები ჰყავდათ, არც

1 Unternsee (გერმ.) – ქვემო ტბა

2 Unternsee (გერმ.) – ქვემო ტბა

ნათესავები და სტუმრადაც არავინ დაუდიოდათ, მაგრამ, მართალია მათ შესახებ, მეტადრე კი ბ-ნი ზომერის შესახებ, თითქმის არაფერი იყო ცნობილი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმხანად მთელ ოლქში ბ-ნი ზომერი ყველაზე პოპულარული ადამიანი გახლდათ. ტბიდან სულ ცოტა სამოცი კმ-ის რადიუსით არ ყოფილა არც ერთი ქალი, კაცი თუ ბავშვი (ის კი არა, ძალლიც კი), რომ არ სცოდნოდა, ვინ იყო ბ-ნი ზომერი, რადგან მას გამუდმებით ხედავდნენ შარაგზაზე. გათენებიდან დაღამებამდე გადასერავდა ხოლმე მთელ მიდამოს, დამჯდარს წელიწადში ერთ დღესაც ვერ ნახავდი. თოვლსა თუ სეტყვაში, ქარიშხალსა თუ კოკაპირულ წვიმაში, დარსა თუ ავდარში ბ-ნი ზომერი დადიოდა. მებადურების გადმოცემით, ხშირად შინიდან მაშინ გამოდიოდა, როცა ისინი დილის ოთხ საათზე ტბაზე ბადეების ამოსალებად მიდიოდნენ, ხოლო შინ გვიან ლამით ბრუნდებოდა, როცა მთვარე კარგა ხნისა ამოსული იყო. ამ დროისთვის უკვე დაუჯერებლად გრძელი გზა ჰქონდა გავლილი. ერთი დღის განმავლობაში მთელი ტბის შემოვლა, ანუ ორმოცი კმ-ის გავლა ბ-ნი ზომერისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. დღეში ორჯერ-სამჯერ ქალაქში ჩასვლა და უკან მობრუნება, ათი კმ-ი იქით და ათიც აქეთ, მისთვის სულაც არ იყო პრობლემა!

როცა ჩვენ, ბავშვები, დილის რვის-ნახევარზე ნახევრად მთვლემარენი სკოლისკენ მივლასლასებდით, გზად გვეგბებოდა ფხიზელი და მხნე ბ-ნი ზომერი, რომელიც უკვე ერთი საათის ნასიარულევი მაინც იყო. როცა ნაშუადლევს, დაქანცულები და მშივრები, შინ ვბრუნდებოდით, ბ-ნი ზომერი ენერგიული ნაბიჯით ჩამოგვიტოვებდა ხოლმე

უკან, ხოლო ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ იმავე საღამოს, ძილის წინ, ფანჯრიდან გავიხედავდი და ქვემოთ, ტბის სანაპირო ქუჩაზე, თვალს მოვკრავდი, როგორ ჩაიქროლებდა ბ-ნი ზომერის ჩრდილივით განელილი ფიგურა. ადვილი ამოსაცნობი იყო. შორიდანაც არ აგრეოდა სხვაში. ზამთრობით უცნაურ ფართხუნა, შავ, ხეშეში ნაჭრის პალტოს ატარებდა, რომელიც ტანზე უზარმაზარი გარსივით ერტყა და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას უყანყალებდა. ფეხზე რეზინის ჩექმები ეცვა, ხოლო ქაჩალ თავზე წითელი პომპონიანი ქუდი ეხურა. ზაფხულობით (ზაფხული კი ბ-ნი ზომერისთვის¹ მარტის დასაწყისიდან ოქტომბრის თვემდე გრძელდებოდა, ანუ ეს იყო წელიწადის ყველაზე გრძელი მონაკვეთი), ბ-ნი ზომერი იხურავდა შავზონრიან ბრტყელ ჭილის ქუდს, იცვამდა კარამელისფერ მიტკლის პერანგს და ასეთივე ფერის მოკლე შარვალს. იქიდან კი სასაცილოდ გამოსჩროდა გრძელი, გამხდარი, თითქოს მხოლოდ კაპილარებისა და ვენური კვანძებისგან შემდგარი ფეხები, რომლებიც მოუხერხებელ და უხეშ, მთაში სასიარულო ბათინკებში ეშვებოდნენ. მარტის თვეში ეს ფეხები თეთრად უქათქათებდა და ვენური კვანძები ისე მკაფიოდ მოუჩანდა, როგორც მელნით დახატულ მდინარეთა დატოტილი სისტემა, მაგრამ რამდენიმე კვირის თავზე ფეხებს თაფლისფერი დაჭკრავდა. ივნისში, შარვალივითა და პერანგივით, კარამელისფრად ინყებდნენ ბზინვას, ხოლო შემოფგომისკენ მზის, ქარისა და ავდრისგან ყავისფერდებოდნენ და მუქ კანზე ვერ შეამჩნევდი ველარც კაპილარებს, ველარც ვენურ კვანძებსა და კუნთებს; ბ-ნი ზომერის ფეხები თანდათან ბებერი, ქერქშემოცლილი ნაძვის ტოტებს ემგვანებოდ-

1 Sommer (გერმ. – ზაფხული

ნენ, ვიდრე საბოლოოდ, ნოემბერში, გრძელი შარვლის ტოტებისა და გრძელი შავი პალტოს კალთებქვეშ არ ჩაიმალებოდნენ, მზერისაგან დაცლილთ, სიფითორე არ შეეპარებოდათ, დამდეგ გაზაფხულამდე კი პირვანდელ, ყველისფერ სითეთრეს არ დაიდებდენენ.

იყო ორი რამ, რასაც ბ-ნი ზომერი ზამთარ-ზაფხულ სულ თან დაატარებდა და ამ ნივთების გარეშე არც არავის უნახავს: ერთი – მისი ჯოხი და მეორე – ზურგჩანთა. ეს ჯოხი ჩვეულებრივი სასეირნო ტროსტი კი არ იყო, არამედ გრძელი, ოდნავ გაღუნული კაკლის ხის ტოტი, რომელიც ბ-ნ ზომერს მხრებამდე სწვდებოდა და, ასე ვთქვათ, მესამე ფეხის მაგივრობას უწევდა. მის გარეშე იგი ვერასდროს ვერ განავითარებდა ასეთ გასაოცარ სიჩქარეს და ვერ გადალახავდა იმ უკიდეგანო მანძილს, რომელიც ყველა ნორმალური ქვეითის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ყოველი მესამე ნაბიჯის მერე ბ-ნი ზომერი მარჯვენა ხელით ჯოხს წინ გაიქნევდა, მიწას უბიძგებდა, მკვეთრად წაიწევდა წინ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ფეხები მხოლოდ სასრიალოდ ჰქონდა განკუთვნილი; სინამდვილეში კი ეს ბიძგი, მარჯვენა ხელის ძალის წყალობით, მიწას გადაეცემოდა იმ მენავეთა მსგავსად, მდინარეში თავიანთ ბრტყელ ნავებს გრძელი ჭოკების დახმარებით რომ მიაცურებენ. აი, ზურგჩანთა კი მუდამ ცარიელი ჰქონდა ან თითქმის ცარიელი, რადგან მასში, როგორც ამბობდნენ, არაფერი იდო ბ-ნი ზომერის ბუტერბროდისა და დაკეცილი კაპიუშონიანი რეზინის მოსასამის გარდა, რომელიც თეძომდე სწვდებოდა და მაშინ იცვამდა, თუ გზად გაუწვიმდებოდა, მაგრამ საით მიჰყავდა იგი ამ გზას? რა იყო მისი გაუთავებელი ხეტიალის მიზანი? რისთვის და რატომ დააბოტებდა ბ-ნი ზომერი დღეში თორმეტ, თოთხმეტ, თექვსმეტ საათს? ეს არავინ იცოდა.

ომის დამთავრებისთანავე, როცა ზომერები ამ სოფელში დასახლდნენ, მისი ეს ლაშქრობები თვალში არავის ხვდებოდა, რადგან მაშინ ყველა ასე ზურგჩანთებით ადგა გზას. არც ბენზინი იყო, არც ავტომობილები, მხოლოდ დღეში ერთხელ თუ ჩამოივლიდა ავტობუსი. არც საწვავი იყო, არც საკვები და სადმე რამდენიმე კვერცხი, ფქვილი, კარტოფილი, ერთი კილო ქვანახშირის ბრიკეტი ან თუნდაც საწერი ქაღალდი და სამართებლის პირები რომ გეშოვა, გზებზე საათობით უნდა გეწანწალა და ნადავლი შინ ან ზურგჩანთით მიგეთრია, ან ურიკით, მაგრამ მალე, რამდენიმე წლის მერე, სოფელში ყველაფრის ყიდვა გახდა შესაძლებელი. ქვანახშირიც ჩამოჰქონდათ და ავტობუსიც დღეში ხუთჯერ დადიოდა და კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ ჯერ ყასაბმა იყიდა ავტომობილი, მერე კი ბურგომისტრმა და კბილის ექიმმა. სამღებროს ოსტატი შტანგლმაიერი მოტოცილეტით დადიოდა, მისი ვაჟი კი – მოპედით; ავტობუსი კვლავ ჩამოივლიდა ხოლმე დღეში სამჯერ მაინც და თუ ვინმე საყიდლებზე იყო წასასვლელი ან ახალი პასპორტი ჰქონდა ასაღები, ბ-ნი ზომერის გარდა, თავში აზრადაც არავის მოუვიდოდა, ქალაქში ჩასასვლელად ფეხით ოთხი საათი ევლო. ბ-ნი ზომერი კვლავ ფეხით დადიოდა. დილაუთენია მოიგდებდა ზურგზე ჩანთას, მოიმარჯვებდა თავის ჯოხს და აჩქარებული ნაბიჯით დაადგებოდა გზას მინდვრებისა და ველებისაკენ, გზატკეცილებითა და ორლობებით, ტყითა და ტბის გარშემო, ქალაქისკენ და უკან, სოფელ-სოფელ... და ასე, დაღამებამდე, მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ არც არავის ეგზავნებოდა არსად, არც ხელში სჭერია რამე და არც არაფერი უყიდია ოდესმე. როგორი ცარიელიც იყო მისი ზურგჩანთა, ისეთივედ რჩებოდა, თუ არ ჩავთვლით ბუტერბროდსა და მოსასახამს. არც ფოსტაში უვლია,

არც ადგილობრივი მერიის უწყებაში. ეს ყველაფერი ცოლისთვის ჰქონდა მინდობილი. გარდა ამისა, არც არავისთან შეივლიდა და არც არსად შეჩერდებოდა. ქალაქში თუ წავიდოდა, არსად არ შეუხვევდა, რომ წაეხემსებინა ან ერთი ჭიქა წყალი მაინც დაელია. გზად ერთხელაც არ ჩამომჯდარა, რამდენიმე წუთითაც კი, რომ სული მოეთქვა. შუა სიარულში შემოტრიალდებოდა ხოლმე და ისევ ჩქარ-ჩქარა გასწევდა შინისკენ ან სადმე, სხვაგან. როცა ვინმე შეეკითხებოდა: „სად იყავით, ბატონო ზომერ?“ ან „საით გაგინევიათ, ბატონო ზომერ?“, უკმაყოფილოდ გააქნევდა თავს, თითქოს ბუზი დასჯდომოდა ცხვირზე და რაღაცას ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაიპურტყუნებდა თან ისე, ვერაფრით გაიგონებდი და რაც დაახლოებით ასე ულერდა: „...ახლასწორედსკოლის-გორისკენმივიჩქარი... ჩქარაუნდატბისშემოვლა... დღესვეახლავეაუცილებლადმოვხდექალაქში... ძალიანვჩქარობსწორედახლასულარმაქვსდრო...“ – და სანამ იკითხავდი: „ბატონო? რა ბრძანეთ? საით?“, დაჳკრავდა თავის ჯოხს და გაგისხლტებოდა ხელიდან.

ბ-ი ზომერისგან ერთადერთხელ გავიგონე დამთავრებული ფრაზა, მკაფიოდ და გარკვევით წარმოთქმული წინადადება, რომლის შინაარსიც გასააგები იყო, არასოდეს დამავიწყდება და დღემდე ჩამესმის ყურში. ეს იყო კვირა დღეს, დღისით, ივლისის მიწურულს, საშინელი ჭექა-ქუხილის დროს.

ის დღე მშევნივრად გათენდა, მზე ანათებდა, ცაზე ღრუბლის ნატამალიც არ იყო და ნასადილევსაც ისე ცხელოდა, რომ გაუთავებლად გინდებოდა ცივი, ლიმონიანი ჩაის სმა. მამაჩემა დოლზე წამიყვანა. თვითონ ყოველ კვირას დადიოდა იქ და, ჩვეულებისამებრ, მეც ხშირად დავყყავდი. იმიტომ კი არა, რომ გვეთამაშა და მოგვეგო (სხვათა შორის, მინდა ეს გითხრათ), არამედ მხოლოდ და მხოლოდ დოლის სიყვარუ-

ლის გამო. მამა ცხენების დიდი მოყვარული და მცოდნე იყო, თუმცა თვითონ ცხოვრებაში არ უჯირითია. მას შეეძლო, მაგალითად, ზეპირად ჩამოეთვალა დერბის უკლებლივ ყველა გერმანელი გამარჯვებული, მოყოლებული 1869 წლიდან დღემდე და პირუკუ. ასევე, 1910 წლიდან ინგლისური დერბისა და ფრაგული Prix de l'Arc de Triomphe-ის ძირითადი გამარჯვებულები. იცოდა, რომელ ცხენს უყვარს ტენიანი გრუნტი და რომელს მშრალი, რატომ შეუძლიათ ბებერ ცხენებს ბარიერების გადალახვა და რატომ არ შეუძლიათ ახალგაზრდა ცხენებს 1600 მეტრზე მეტი მანძილის გარბენა; რამდენ ფუნგს იწონის ესა თუ ის უკეთი და რატომ შეიძა შლაპაზე მებატრონის ცოლმა წითელ-მწვანე-ოქროსფერი ზონარი. მისი საცხენოსნო ბიბლიოთეკა ხუთას ტომზე მეტს ითვლიდა, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში საკუთარი ცხენიც კი შეიძინა (უფრო სწორად, ნახევარი), რომელშიც, დედაჩემის გულის გასახეთქად, ექვსი ათასი მარკა გადაიხადა, რომ დოლზე საკუთარი ფერების ნიშნით ეჭენებინა, მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა, რომლის მოყოლასაც სხვა დროს ვაპირებ.

ჰოდა, ერთხელ დოლზე ვიყავით და, როცა მოსალამოებულს შინ ვბრუნდებოდით, ჯერ კიდევ ცხელოდა. ის კი არა, უარესი სიცხე და ხუთვა იყო, ვიდრე შუადლით, თუმცა ცას თანდათან თხელი ბურუსი ეკვროდა. დასავლეთით ყვითელი, შხამიანი ფერის არშიებ-მოყოლებული ტყვიისფერი ღრუბლები ჩამოწოლილიყო. სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მამა იძულებული შეიქნა, მანქანის სანათურები აენთო, რადგან ღრუბლები უეცრად ისე მოგვიახლოვდნენ, რომ ჰორიზონტს ფარდასავით ჩამოეფარნენ და მიწას პირქუშ ჩრდილებად დააწვნენ. მერე მთებიდან ერთი-ორჯერ ძლიერად დაუბერა და ფართო ზოლებად მოეფინა ყანებს, გეგონებოდა, ვიღაც ვარცხნის,

ხეებს და ბუჩქებს კი კანკალი გაუდითო. ამასობაში გაწვიმდა კიდეც. არა, ჯერ ამას წვიმაც არ ერქვა, თითო-ოროლა მსხვილი წვეთი ჩამოვარდა, ყურძნის მარცვლებივით. აქა-იქ ეცემოდა ას-ფალტზე და მანქანის საქარე მინასა და რადიატორს ეხეთქებოდა. მერე ჭექა-ქუხილი დაიწყო. გაზეთები იუწყებოდნენ, ასეთი ავდარი ჩვენს მხარეს ბოლო ოცდაორი წელი არ ახსოვსო. არ ვიცი, მართალი იყო ეს თუ არა, მე ხომ მაშინ მხოლოდ რვა წლისა ვიყავი, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ასეთ ამინდს მეორედ ცხოვრებაში არ შევსწრებივარ, მეტადრე, მანქანაში, უკაცრიელ გზატკეცილზე. წვიმა ახლა წვეთებად

კი არ ეცემოდა, ღვარად მოედინებოდა ციდან. რამდენიმე წუთში მთელი გზა დაიტბორა. მანქანა რის ვაი-ვაგლახით მიაპობდა წყალს და ორივე მხრიდან შა-დრევნებს აფრქვევდა, თითქოს წყლის კედლები აღმართულიყო. საქარე მინიდან მხოლოდ წყალიღა ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯაგრისები გაგიუბით ეხეთქებოდნენ აქეთ-იქით. შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა. კოკისპირული წვიმა თანდათანობით სეტყვაში გადაიზარდა. სანამ ამას დავინახავდით, გავიგონეთ, როგორ იქცა წვიმის რაკარუკი მჭახე ხმაურად და როგორ შემოძვრა მანქანაში გამყინავი სიცივე. ბოლოს სეტყვის მარცვლებიც დავინახეთ, თავდაპირველად ქინძისთავებივით პანაწინები, მერე მუხუდოს მარცვლისოდენად ქცეულნი, მერე ტყვიოსოდენები და, ბოლოს, ქათქათა, გლუვი ბურთულების მთელი წყება ისეთი ველური ძალითა და ორომტრიალით ეხეთქებოდა მანქანის წინა ნაწილს, ისეთი რახარუხი გაჰქონდა, რომ თავბრუ გვესხმოდა. ერთი მეტრის გავლაც კი შეუძლებელი გახდა; მამამ მანქანა გზის კიდეზე გააჩერა. ოჳ, რას ვამბობ, გზის კიდე-მეთქი, სად იყო გზის კიდე ან გზა?! ორი მეტრის იქით აღარც კიდე მოჩანდა, აღარც გზა, აღარც ყანა და ხეები, საერთოდ არაფერი აღარ ჩანდა. ამ ორ მეტრში შეგეძლო დაგენახა მხოლოდ მილიონობით გაყინული ბილიარდის ბურთულა;



ეს ბურთულები ჰაერში ბზრიალებდნენ და გამაყრუებელი რაკარუკით ეხეთქებოდნენ მანქანას. მანქანაში ისეთი ხმაური ატყდა, რომ ერთანეთის არ გვესმოდა, თითქოს უზარმაზარი დოლში ვისხედით, რომელსაც გოლიათი ჯოხს უბრახუნებდა; შევყურებდით ერთმანეთს, სიცივისგან ვკანკალებდით და ვიყავით ასე გატრუნულები; იმის იმედილა დაგვრჩენოდა, რომ ქარიშხალი ჩვენს თავშესაფარს არ გაანადგურებდა.

ორ წუთში ყველაფერი მოთავდა. უეცრად სეტყვა შეწყდა, ქარი ჩადგა. ახლა მხოლოდ მშვიდად ცრიდა. პურის ყანა, გზას რომ მიუყვებოდა, ქარიშხალს სულ მთლად გადაეთელა. სიმინდის ყანისგან მხოლოდ გადატეხილი ლეროები დარჩენილიყო. გზა ნამტვრევებს დაეფარა. საითაც არ უნდა გაგეხედა, ყველგან სეტყვის კაკლები, მოგლეჯილი ფოთლები, ტოტები და თავთავი ეყარა და შორს, გზის დასალიერს, წვიმის თხელი ფარდის მიღმა, დავინახე ადამიანი, რომელიც თავის გზას მიუყვებოდა. მამაჩემსაც დავანახვე. ორივენი გავყურებდით შორეულ პატარა სილუეტს და გვიკვირდა, რომ იქ, სადღაც, ადამიანი თავისთვის მისეირნობდა, რომ ასეთი საშინელი სეტყვის მერქ, როცა ირგვლივ ყველაფერი გაჩანაგებული და მინასთან გასწორებული იყო, კიდევ რაიმეს შეეძლო ფეხზე დგომა. გზას გავუდექით, მინაზე სეტყვა იდო და მანქანის ბორბლებს კრაჭაკრუჭი გაუდიოდა. როცა სილუეტს მივუახლოდით, ვიცანი მოკლე შარვალი, გრძელი, დაძარღვული, სისველისგან აპრიალებული ფეხები, შავი რეზინის მოსასხამი, რომელზეც დაჩუტული ზურგჩანთა ეკიდა და ბ-ნი ზომერის აფორიაქებული სიარულის მანერა.

ჩვენ მას დავეწიეთ. მამაჩემმა ფანჯრის ჩაწევა დამავალა. გარეთ ყინულივით ცივი ჰაერი იყო. „ბატონო ზომერ! – დაუძახა მან ფანჯრიდან. – დაბრძან-

დით მანქანაში, წაგიყვანთ!“ მე უკანა სკამზე გადავბობლდი, მისთვის ადგილი რომ დამეთმო, მაგრამ ბ-ნი ზომერი არ გვპასუხობდა. არც შეჩერებულა, ჩვენკენ არც კი გამოუხედავს. აჩქარებული ნაბიჯით კაკლის ხის ჯოხის ქრევა-ქნევით მიაბოტებდა სეტყვით მოფენილ გზაზე. მამაჩემი უკან მიჰყვა. „ბატონო ზომერ, – დაუძახა მას ლია ფანჯრიდან. – დაბრძანდით ბოლოს და ბოლოს! ვერა ხედავთ, რა ამინდია? მიგიყვანთ სახლამდე!“, მაგრამ ბ-ნ ზომერს იგი აინუნშიც არ ჩაუგდია. უდრტვინველად განაგრობდა გზას. მომეჩვენა, თითქოს ბაგები გახსნა და, როგორც სჩევეოდა, რაღაც გაუგებარი წინადადება ამოილულლულა, მაგრამ ვერაფერი გავიგონე ან იქნებ სიცივისგან უცახცახებდა ყბა?! მაშინ მამაჩემი მარჯვნივ გადმოიხარა და სვლის შეუნელებლად, მის კვალში ჩამდგარმა, მანქანის წინა კარი გამოაღო და დაუძახა: „დაჯექით, თუ ლმერთი გწამთ! სულ მთლად გალუმბულხართ, თავს ნუ იკლავთ!“

მამაჩემისთვის სრულიად უჩვეულო იყო წინადადება: „თავს ნუ იკლავთ!“. არასდროს მომისმენია, ვინმესთვის სერიოზულად ეთქვას, თავს ნუ იღუპავო. „ეს გამოთქმა ჩვეულებრივი სტერეოტიპია, – გვიხსნიდა ის, როცა ასეთ ფრაზას გაიგონებდა. – სტერეოტიპი კი, დაიმახსოვრეთ ეს ერთხელ და სამუდამოდ, ისეთი გამოთქმაა, რომელიც ისე ხშირად და დაუფიქრებლად განმეორებულა თუ დაწერილა, რომ საბოლოოდ აზრი დაკარგა“. მერე მიაყოლებდა: „ასეა, ამას წყალი არ გუავა. ეს ფრაზა ისეთივე უაზრო და არაფრისმთქმელია, როგორც, მაგალითად: „ერთი ჭიქა ჩაი მაინც დაგელიათ, ჩემო ძვირფასო, უსათუოდ გიშველით“ ან: „ბატონო ექიმო, როგორ გრძნობს თავს ჩვენი ავადმყოფი? როგორ ფიქრობთ, გამოვა მდგომარეობიდან?“ ასეთი ფრაზები ცხოვრებისეული არ არის, ისინი იაფფასიანი რომანები-

დან და სულელური ამერიკული კინო-ფილმებიდანაც მოტანილი. ამიტომ, ყურად იღეთ, არასოდეს გავიგონო ისინი ამოსული თქვენი პირიდან!“

ასეთი სახით აქილიკებდა მამაჩემი იმდაგვარ ფრაზას, როგორიცაა – „თავს ნუ იკლავთ!“, მაგრამ ახლა, წვიმაში, სეტყვით მოკირნყლულ შარაზე, მისდევდა ის ბ-ნი ზომერს და მანქანის გამოლებული კარიდან ზუსტად ასეთ-სავე ბანალურს ფრაზას უყვიროდა: „დაჯექით, თავს ნუ იკლავთ!“

უეცრად ბ-ნი ზომერი შედგა. მე მგონი, სწორედ ამ სიტყვების გამგონე გაქვავდა – თავს ნუ იკლავთო – თანაც ისე უეცრად, რომ მამაჩემს მკვეთრად დამუხრუჭება მოუნია, მისთვის რომ არ გაესწრო. მერე ბ-ნმა ზომერმა კაკლის ჯოხი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, ჩვენკვენ მოტრიალდა, სასონარკვეთილი გამომეტყველებით რამდენჯერმე ჯიუტად დაჰკრა ჯოხი მიწას და ხმამაღლა და მკაფიოდ წარმოთქვა: „ბოლოს და ბოლოს, დამანებებთ თუ არა თავს?!“ მეტი აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ ეს ერთადერთი წინადადება თქვა. მერე მოგვიჯახუნა მისთვის გამოლებული მანქანის კარი, ჯოხი ისევ მარჯვენა ხელში გადაიტანა და უკანმოუხედავად გაქუსლა.

– ეს კაცი სულ მთლად გადაირია! – თქვა მამაჩემმა.

მერე უკვე, როცა გავუსწარით, უკანა ფანჯრიდან მისი სახე დავინახე. მიწას ჩასჩერებოდა და რამდენიმე ნაბიჯში ერთხელ წამით თავს მაღლა სწევდა; ფართოდ გახელილი და შეშინებული მზერით მიმოავლებდა თვალს არემარეს, რათა დარწმუნებულიყო, გზა ხომ არ აერია. ლოყებიდან წყა-

ლი ჩამოსდიოდა, ცხვირიდან ნიკაპზე ეწვეთებიდა, პირი ნახევრად დაელოდა ისევ მომეჩვენა, რომ ტუჩები უთა-მაშებდა. იქნებ გზადაგზა თავის თავს ელაპარაკებოდა კიდეც.



– ამ ბ-ნ ზომერს კლაუსტროფობია ანუხებს, – თქვა დედამ, როცა ვახშმად მაგიდას მივუსხედით და ჭექა-ქუხილსა და ბ-ნი ზომერის ამბებზე შევყევით ლაპარაკს. – კლაუსტროფობის მძიმე ფორმა აქვს. ეს კი ისეთი დაავადებაა, რომლის დროსაც ავადმყოფს თავის ოთახში წყნარად ჯდომა არ შეუძლია.

– კლაუსტროფობია, ზუსტად რომ ვთქვათ, ნიშნავს... – თქვა მამამ.

– როცა ოთახში ვერ ძლებ, – გააგრძელა დედამ. – მე ეს ექიმმა ლუხტერ-ჰანდმა ძალიან კარგად ამიხსნა!

– სიტყვა „კლაუსტროფობია“ ლათინურ-ბერძნული წარმოშობისაა, – განაგრძო მამამ. – რაც ბ-ნმა ექიმმა ლუპტერჰანდმა კარგად უნდა იცოდეს. ის ორი წარმოშობისაა შედგება – „claustrum“ და „phobia“. „claustrum“, დაახლოებით „დახურულს“, „ჩარაზულს“ ნიშნავს, როგორც მაგალითად, სიტყვაში *Klause*¹ ან ქალაქის სახელწოდებაში „Klausen“, იტალიურ „Chiusa“-ში, ან ფრანგულ „Valcluse“-ში. ვის შეუძლია დამისახელოს კიდევ რაიმე სიტყვა, რომელიც „claustrum“-ს შეიცავს?

– მე, – თქვა ჩემმა დამ. – მე რიტა შტანგლმაიერმა მითხრა, რომ ბ-ნი ზომერი სულ კრთის. ის მთელი ტანით კანკალებს. მას სხეულის ყველა კუნთი უტოკავს, როგორც ცაპელ-ფილიპს,² იმ დროსაც კი, როცა სკამზე ზის. მხოლოდ მაშინ არ ტოკავს, როცა დადის. ამი-

1 *Klause* (გერმ.) – სენაკი

2 Zappel-Philipp (გერმ.) – ჰაინრიშ ჰოფმანის „ცაპელ-ფილიპის თავგადასავალის“ პერსონაჟი.

Zappel-Philipp – სიტყვასიტყვით – მოუსვენარი ფილიპი.

ტომ სულ უნდა იაროს, რომ ეს ვერავინ შეამჩნიოსო.

— ის ამით ერთი წლის ცხენს ჰეგავს, — თქვა მამამ. — ან ორი წლისას, რომელსაც ნერვიულობისგან მთელი ტანი უკანკალებს და გაუთავებლად ცახცახებს, როცა პირველად გაჰყავთ დოლზე. მაშინ მხედარი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ცხენმა გაქუსლოს. მერე და მერე ეს ან თავისთავად გვარდება, ან დეზს კრავენ. რომელი მეტყვით, რას ნიშნავს „გაქუსლოს“?

— რა სისულელეა! — უპასუხა დედამ, — თქვენს მანქანაშიც მშვენივრად შეეძლო ბ-ნ ზომერს, ეცახცახა, ეს ხომ ხელს არავის შეუშლიდა?! დიდი ამბავი, ეკანკალა ცოტა!

— ვშიშობ, ბ-ნი ზომერი იმიტომ არ ჩაგვიჯდა მანქანაში, რომ მე ერთი სტერეოტიპული გამოთქმა ვიხმარე, — თქვა მამამ. — თავს ნუ იღუპავთ-მეთქი. ახლაც არ ვიცი, ეს რამ მათქმევინა. დარწმუნებული ვარ, ჩაგვიჯდებოდა, ნაკლებად ბანალური ფორმულირებისთვის რომ მიმემართა, აი, მაგალითად ...

— კარგი ერთი, — უპასუხა დედამ. — არ ჩაჯდა იმიტომ, რომ კლაუსტროფობია აქვს და ამიტომ მხოლოდ ჩაკეტილ ოთახში კი არა, მანქანაშიც არ შეუძლია ჯდომა. ჰყითხე, თუ გინდა, ექიმ ლუხტენჰანდს! როგორც კი დახურულ სივრცეში აღმოჩნდება, — არა აქვს მნიშვნელობა, ოთახი იქნება ეს თუ მანქანა. — კრუნჩხვა ემართება.

— რა არის კრუნჩხვა? — ვიკითხე მე.

— ალბათ, — მითხრა ჩემმა ძმამ, რომელიც ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო და ძმები გრიმების ყველა ზღაპარი უკვე წაკითხული ჰქონდა, — ალბათ, ბ-ნ ზომერს ის ემართება, რაც მორბენალს ზღაპარში „ექვსნი დედამიწის გარშემო“. მას შეეძლო, ერთ დღეში მთელი დედამიწის ზურგი შემოერბინა, მაგრამ, შინ რომ დაბრუნდებოდა, ცალი ფეხი ტყავის ქამრით უნდა დაეხა, რადგან ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა.

— შესაძლოა, ასეც იყოს, — თქვა მამაჩემმა. — იქნებ ბ-ნ ზომერს ერთი ზედმეტი ფეხი აქვს და ამიტომაც ვერ ჩერდება. უნდა ვთხოვოთ ბ-ნ ექიმს, რომ ერთ-ერთი ფეხი შეუკრას.

— რა უაზრობაა, — განაგრძო დედამ. — კლაუსტროფობია აქვს, მორჩია და გათავდა და არ არსებობს ამ დაავადების საწინააღმდეგო საშუალება.

დასაძინებლად რომ დავწექი, თავში დიდხანს მიტრიალებდა ეს უცნაური სიტყვა: „კლაუსტროფობია“. ბევრჯერ გავიმეორე, რომ არ დამვიწყებოდა. კლაუსტროფობია... კლაუსტროფობია... ბ-ნ ზომერს კლაუსტროფობია სჭირს... ეს ნიშნავს, რომ იგი თავის ოთახში ვერ ჩერდება, ხოლო თავის ოთახში რომ ვერ ჩერდება, იმას ნიშნავს, რომ გამუდმებით გარეთ უნდა იხეტიალოს... რადგან კლაუსტროფობია აქვს, სულ გარეთ უნდა იყოს... მაგრამ, თუ „კლაუსტროფობია“ იმას ნიშნავს, რომ „საკუთარ ოთახში გაჩერება არ შეუძლია“, ეს იგივეა, რომ „იძულებულია, სადმე ღია ცის ქვეშ იხეტიალოს“. თუ „იძულებულია, სადმე, ღია ცის ქვეშ იხეტიალოს“, ნიშნავს „კლაუსტროფობიას...“, მაშინ ძნელად გასაგები სიტყვა „კლაუსტროფობის“ ნაცვლად შეგვიძლია უბრალოდ ვთქვათ: „იძულებულია, სადმე ღია ცის ქვეშ იხეტიალოს“, მაგრამ, მაშინ გამოდის, რომ, როცა დედაჩემი ამბობს, ბ-ნი ზომერი იძულებულია, სადმე, ღია ცის ქვეშ იხეტიალოს, რადგან კლაუსტროფობია აქვსო, ამის ნაცვლად უნდა თქვას: „ბ-ნი ზომერი იძულებულია, სადმე ღია ცის ქვეშ იხეტიალოს“.

და მაშინ უეცრად თავბრუ დამეხვა და ვცადე, სასწრაფოდ ამომეგდო თავიდან ეს სულელური ახალი სიტყვა და ყველაფერი, რაც მას უკავშირდებოდა და ამის მაგივრად წარმოვიდგინე, რომ ბ-ნ ზომერს საერთოდ არაფერი არ სჭირს, უბრალოდ, სეირნობს და გზას ფეხით მიუყვება, რადგან ზუსტად ის-ევე უყვარს სეირნობა, როგორც მე

ხეებზე ცოცვა. ბ-ნ ზომერს სიამოვნებს და სეირნობს სუფთა ჰაერზე, ეს არის და ეს, ხოლო ის ჩახლართული ახსნა-განმარტებები და ლათინური სიტყვები, რომლებიც უფროსებმა ამასთან დაკავშირებით ვახშმობისას გამოიგონეს, ის-ეთივე მონაჩმახია, როგორიც შეხვეული ფეხი ზღაპრიდან „ექვსნი დედამიწის გარშემო“, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თვალწინ წარმომიდგა ბ-ნი ზომერის სახე, მანქანის უკანა მინიდან რომ დავინახე; წვიმით განუწლილი, ნახევრად პირდაპჩენილი და შიშით თვალებდაჭყეტილი და გავიფიქრე, დალხენილები ასე არ გამოიყურებიან. ადამიანს, რომელიც თავს მხიარულად და ბედნიერად გრძნობს, ასეთი სახე არა აქვს-მეტე. ასე მხოლოდ ის გამოიყურება, ვისაც რაღაცის ეშინია ან ვისაც სწყურია, თავსხმა წვიმაშიც კი ისე სწყურია, რომ მზადაა, მთელი ტბა შეხვრიპოს. ისევ დამეხვა თავბრუ და, რაც ძალი და ღონე შემწევდა, ვცდილობდი, დამევწყებინა ბ-ნი ზომერი, მაგრამ, რაც უფრო ვცდილობდი მისი გამომ-ეტყველების დავიწყებას, მით უფრო წარმომიდგებოდა თვალწინ: ვხედავდი მის ყოველ ნაკეცს, ყოველ ნაოჭს, წვი-მისა და ოფლის ყოველ წვეთს, ძლივს შესამჩნევ ტუჩის ცახცახს, თითქოს რა-ღაცას რომ ბუტბუტებდა და ეს ბუტ-ბუტი სულ უფრო და უფრო ხმამაღალი ხდებოდა, სულ უფრო და უფრო მკაფიო და ბოლოს შემომესმა ბ-ნი ზომერის მუდარის ხმა: „ბოლოს და ბოლოს დამანებეთ თავი! მომეშვით, თავი და-მანებეთ ბოლოს და ბოლოს!..“ და მხ-ოლოდ მაშინ შევძელი, ამ ადამიანზე ფიქრი თავიდან ამომეგდო; ამაში მისი ხმა დამეხმარა. ბ-ნი ზომერის სახე სა-დღაც გაქრა და მალე ჩამეძინა.



ჩემს კლასში ერთი გოგონა სწავლობ-და, კაროლინა კუკელმანი. მუქი ფერის თვალები ჰქონდა, მუქი წარბები და მუქი

წაბლისფერი თმა, შუბლთან, მარჯვნივ, სამაგრით შეკრული. კეფასთან, ყურსა და კისერს შორის ჩაღრმავებულ ადგილას, ღინღლი ამოსვლოდა, რომელიც მზეზე უბრჭყვიალებდა, ზოგჯერ კი ნიავი თითქ-მის შეუმჩნევლად ურსევდა. თავისი მშვე-ნიერი, ოდნავ ჩახრინნული ხმით იწყებდა ხოლმე სიცილს, მოილერებდა ყელს, თავს უკან გადააგდებდა, სახე ნეტარებისგან გაუცისკროვნდებოდა და მილულავდა თვალებს. ამ სახის ყურება გაუთავებლად შემეძლო და ვუცქერდი კიდეც, როგორც კი დროს მოვიხელთებდი, გაკვეთილებსა თუ დასვენებებზე, მაგრამ ამას ჩუმად ვაკეთებდი, ისე, რომ არავის შეემჩნია, თვითონ კაროლინასაც კი, რადგან ძა-ლიან მორცხვი ვიყავი.

ოცნებებში ასეთი მორიდებული არ ვიყავი: ჩავჭიდებდი ხოლმე ხელს, წავი-ყვანდი ტყეში და ერთად დავცოცავდით ხეებზე. ჩამოვსხდებოდით რომელიმე ტოტზე, ძალიან ახლოდან შევყურებდი სახეში და ვუყვებოდი ნაირნაირ ამბებს და ისიც უკან გადააგდებდა თავს, თვა-ლებს მილულავდა და იცინოდა. იმის ნებასაც კი მრთავდა, მისთვის სული ნაზად შემებერა კეფაში, ყურთან, სა-დაც ღინღლი ამოსვლოდა. ასეთი და მსგავსი ოცნებები კვირაში რამდენ-ჯერმე მეწვეოდა ხოლმე. ეს საამო ოც-ნებები იყო (ვერ დავიწუნებ), მაგრამ მხოლოდ ოცნებები და, როგორც ყველა ოცნება, არასაკმარისი სულიერი სიმშ-ვიდის მოსაპოვებლად. რას არ მივცემ-დი, კაროლინასთან ერთხელ, ერთად-ერთხელ მაინც რომ განმარტოვებული-ყავი და მისთვის სული შემებერა კე-ფაში ან სადმე სხვაგან... სამწუხაროდ, ეს ვერ მოხდებოდა, რადგან ის, სხვა ბავშვების დარად, ობერნზეეში ცხოვ-რობდა. ერთადერთი მე ვიყავი, ვინც უნთერნზეეში ვცხოვრობდი. ჩვენი გზე-ბი სკოლის კართანვე იყრებოდა, გორ-აკიდან დაღმართზე, ტყისა და ველების გავლით, ერთმანეთის საპირისპირო მხარეს იტოტებოდა და, ვიდრე ტყეში

ჩაიკარგებოდა, ისე შორდებოდა ერთმანეთს, რომ კაროლინას სხვა პავშვებისგან ვეღარც ვარჩევდი. მხოლოდ მისი სიცილი თუ შემომესმებოდა ხოლმე. გარკვეულ ამინდში, კერძოდ კი, როცა ჩრდილოეთის ქარი დაპერავდა, ეს მხიარული კისკისი შორიდან ეფინებოდა ველებს და შინისკენ მიმაცილებდა, ოლონდ მხოლოდ მაშინ, თუ ჩრდილოეთის ქარი დაუბერავდა! მაგრამ როდის დაუბერავდა ჩვენს მხარეში ჩრდილოეთის ქარი?! და აი, ერთხელ (ეს იყო შაბათს), სასწაული მოხდა. დასვენებაზე კაროლინამ ჩემთან მოირბინა, ძალიან ახლოს დამიდგა წინ და მითხრა:

— შენა, მომისმინე! შენ ხომ ყოველთვის მარტო მიდიხარ უნთერნზეში?

— კი, — ვუპასუხე მე.

— იცი რა, ორშაბათს მეც შენთან ერთად წამოვალ...

მერე ბევრი ილაპარაკა, რაღაცას მიხსნიდა, დედამისის ვილაც ამხანაგზე მიამბობდა, რომელიც უნთერნზეში ცხოვრობდა და დედამისის იქიდან უნდა წამოეყვანა, რომ მერე ის დედამისთან თუ მის ამხანაგთან ერთად, თუ ამხანაგის დედასთან ერთად... მოკლედ, მეტი აღარ მახსოვს, დამავიწყდა ყველაფერი. მე მგონი, მაშინვე დამავიწყდა, ვიდრე ლაპარაკობდა, რადგან ისეთი გაოგნებული ვიყავი, ისეთი განცვიფრებული ფრაზით — „ორშაბათს მეც შენთან ერთად წამოვალ!“, რომ აღარაფრის გაგონება არ მინდოდა, გარდა ამ საოცნებო ფრაზისა: „ორშაბათს მეც შენთან ერთად წამოვალ!“ მთელი ის დღე და მომდევნო უქმე დღეები ყურში მხოლოდ ეს წინადადება ჩამესმოდა და რა საამოდ ჩამესმოდა! მეტაც გეტყვით — ყველაფერ იმაზე საამოდ, რაც აქამდე ძმები გრიმების ზღაპრებში წამიკითხავს. უფრო საამოდ, ვიდრე მეფის ასულის შეპირებაა „მეფე-ბაყაყში“: „ამიერიდან ჩემი თეფშიდან შეჭამ, ამიერიდან ჩემს სანოლში დაიძინებ!“ და მე ჯუჯაზე უფრო მოუთმენლად ვითვლიდი

დღეებს: „დღეს გამოვაცხობ, ხვალ შევწვავ, ზეგ კი დედოფალს თავის შვილს მივგვრი!“ თავი ერთდროულად ბედნიერი ჰანსიც მეგონა, ძმა ლუსტიგიც და ოქროს მთის მეფეც... „ორშაბათს მეც შენთან ერთად წამოვალ!“

შევუდეები სამზადის. შაბათ-კვირას საუკეთესო მარშრუტის შესარჩევად მთელი ტყე შემოვიარე. კაროლინას ჩვეულებრივი გზით რომ არ წავიყვანდი, თავიდანვე ცხადი იყო. მას უნდა ენახა ჩემი საიდუმლო ბილიკები, სხვებისთვის აკრძალული ლირსშესანიშნაობანი. იმ საოცრებათა ხილვისას, რასაც ჩემს გზაზე, უნთერნზეესკენ მიმავალ ჩვენს გზაზე ნახავდა, ობერნზეეს გზას მის თვალში მთელი ხიბლი უნდა დაპკარგვოდა.

ხანგრძლივი ფიქრის მერე იმ მარშრუტზე შევჩერდი, მარჯვნივ, ტყისკენ რომ უხვევდა, ხევის გავლით ნაძვნარისკენ მიდიოდა, იქიდან კი ხავ-სიანი გზები ფოთლოვან ტყეში შედიოდა და ტბისკენ ეშვებოდა. ეს მარშრუტი, სულ ცოტა, ექვს ლირსშესანიშნაობას ითვლიდა, რომელიც, ჩემი ცოდნით აღჭურვილი ახსნა-განმარტებების თანხლებით, კაროლინასთვის უნდა მეჩვენებინა. კონკრეტულად კი ეს გულისხმობდა:

ა) ტრანსფორმატორის ჯიხურს, რომელიც ზედ გზის პირას იდგა. იქიდან ზუზუნი მოისმოდა, ხოლო მის კარზე ეკიდა ყვითელი დაფა, ზედ წითელი ელვა ეხატა და ეწერა: „ფრთხილად, მაღალი ძაბვაა — სიცოცხლისთვის საშიშია!“

ბ) მწიფე ნაყოფით დახუნძლულ შვიდ ძირ უოლოს ბუჩქს;

გ) ვარცლს ირმებისთვის, რომელშიც იმ დროს, მართალია, თივა არ ეყარა, მაგრამ შიგ სატლევი ქვა-მარილის დიდი ნატეხი იდო;

დ) ხეს, რომელზეც, გადმოცემით, ომის შემდეგ ერთმა ძველმა ნაცისტმა თავი ჩამოიხრჩო;

ე) ჭიანჭველის თითქმის ერთი მეტრის სიგრძისა და ნახევარი მეტრის სიგანის ბუდეს და ბოლოს, როგორც იქნა, მოგზაურობის დამაგვირგვინებელი პუნქტს – გ) ულამაზეს ბებერ წიფელს, რომელზეც კაროლინასთან ერთად აძრომა მქონდა ჩაფიქრებული, რათა მის მძლავრ ტოტებზე ჩამოვმსხდარიყავით და ათი მეტრის სიმაღლიდან დავმტკბარიყავით ტბის ხედით, მერე კი გადავხრილიყავი კაროლინასკენ და მისთვის კეფაში სული შემებერა.

სამზარეულოს კარადიდან ნამცხვარი მოვიპარე, მაცივრიდან – ერთი ჭიქა იოგურტი, სარდაფიდან – ორი ვაშლი და ერთი ბოთლი მოცხარის წვენი. ყველაფერი ფეხსაცმლის ყუთში ჩავაწყვე და უსაგზლოდ რომ არ დავრჩენილიყავით, კვირა დღეს, ნასადილევს ხის ტოტზე შემოვდე. ლამით ლოგინში ორი სასაცილო ამბავი გამოვიგონე, კაროლინასთვის რომ უნდა მომეყოლა და გამემხიარულებინა. ერთი – გზად, მეორე – წიფლის ხეზე. ერთხელ კიდევ ავანთე შუქი, საძინებლის ტუმბოდან პატარა სახრახნისი ამოვილე და სკოლის ჩანთაში ჩავაგდე, რათა ხვალ, გამოთხვების უამს, კაროლინასთვის მეჩიუქებინა, როგორც ჩემი ყველაზე სანუკვარი წივთი. ისევ შევძერი ლოგინში, ორივე ისტორია გავიმეორე და ნაწილებად დავყავი; დავყავი ზედმინევნით კარგად, ისე, რომ ხვალინდელი დღის წესრიგს მისადაგებოდა. მრავალჯერ გადავხედე პუნქტებს ა)-და გ)-მდე, ასევე, გამოთხოვებისას, სახრახნისის გადაცემის ადგილს; კიდევ ერთხელ გავიხსენე ფეხსაცმლის ყუთის შიგთავსი, რომელიც უკვე ხის ტოტზე იდო და ჩვენ გველოდებოდა (ასე გულმოდგინედ ჯერ არც ერთი რანდევუ არ დაგეგმილა!) და, როგორც იქნა, მიმეძინა, ყურში კი კაროლინას ალერსიანი სიტყვები ჩამესმოდა: „ორშაბათს მეც შენთან ერთად წამოვალ...“

ორშაბათს უბადლო დღე გათენდა.

მზე ნაზად ანათებდა, ცა იყო კამკამა და ლურჯი, როგორც წყალი; ტყეში შაშვები ჭახახებდნენ, კოდალები კი ისეთი თავგამეტებით უკაკუნებდნენ ხეებს, რომ ირგვლივ ყველა მხრიდან ექმ მოისმოდა. სკოლის გზას რომ დავადექი, მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ არ გამითვალისწინებია, რას ვიზამდით მე და კაროლინა, თუ გაავდრდებოდა. მარშრუტი ა)-პუნქტიდან ვ)-მდე წვიმაში ან ქარბუქში ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა: ჟოლოს მიმსხვრეულ-მომსხვრეული ბუჩქნარი, ჭიანჭველების უსახური ბუდე; სველი ხავსიანი ბილიკები, ჭყაპაჭყუპი რომ გაუდის; სლიპინა წიფლის ტოტები, რომელზეც ფეხს ვერ მოიკიდებ და ქარით გაბერილი ან დამბალი საგზლის ყუთი. ნეტარებით ვეძლეოდი ამ ფანტაზიებს. მათ საამო, თუმცა სრულიად უსარგებლო ფორიაქი მოჰქონდათ და ტრიუმფალური ბედნიერების შეგრძნებას მგვრიდნენ: მხოლოდ მე კი არ მეფიქრა ამინდზე, არა, ამინდს თვითონ ეფიქრა ჩემზე! მხოლოდ კაროლინა კიუკელმანის გაცილების უფლება კი არ მეძლეოდა, დამატებით წლის საუკეთესო დღეც მერგო საჩუქრად! ბედნიერვარსკვლავზე ვიყავი გაჩენილი! ღმერთმა მოწყალე თვალით გადმომხედა! ახლა არა, – ვფიქრობდი მე. – ახლა არ უნდა დავუშვა შეცდობა, როცა ასეთი ილბალი მეწვია! ყოყლოჩინობისა და ქედმაღლობის გამო, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ზღაპრის გმირებს ემართებათ ხოლმე, ილბალი მარადიული რომ პეგონიათ და მთელ ცხოვრებას ინგრევენ.

ნაბიჯს ავუჩქარე. ახლა სკოლაში დაგვიანება არაფრით არ შეიძლებოდა. ისე სანიმუშოდ ვიქცეოდი, როგორც არასდროს. მასწავლებლისთვის გაკვეთილების შემდეგ ჩემი დატოვების ოდნავი საბაბიც რომ არ მიმეცა. კრავივით უწყინარი ვიყავი, ყურადღებიანი, დამჯერე და თითოთ საჩვენებელი მოსწავლე. კაროლინასკენ ერთხელაც არ

გამიხედავს, თავი ვაიძულე, მისთვის არ შემეხედა, ჯერჯერობით არ შემეხედა. ცრურწმენის გამო ავუკრძალე. ასე მეგონა, წინასწარ თუ შევხედავდი, ყველაფერი წყალში ჩამეყრებოდა...

გაკვეთილები რომ დამთავრდა, გაირკვა, რომ გოგონებს კიდევ ერთი საათით ტოვებდნენ. არ ვიცი, რატომ, იქნებ ხელგარჯილობის გაკვეთილის გამო ან რაიმე სხვა მიზეზით. ასე იყო თუ ისე, მხოლოდ ჩვენ გაგვიშვეს, პიჭები. ეს შემთხვევა ტრაგედიად არ ჩამითვლია, პირიქით, დამატებით გამოცდად მივიჩნიე, რომელიც უნდა ჩამებარებინა და ჩავაბარებდი კიდეც. კაროლინასთან დათქმულ სანუკვარ შეხვედრას ის უფრო საზეიმო ელფერს სძენდა: ჩვენ ერთმანეთისთვის მთელი ერთი საათი უნდა გვეცადა!

ობერნზეესა და უნთერნზეეს გზის გასაყარზე ვიდექი და ველოდი, სკოლის ალაყაფის კარიდან ოციოდე მეტრის დაშორებით. იმ ადგილას მიწიდან თავი ამოეჩარა მოზრდილ ქვას, კლდის დიდ, გლუვ ნატეხს, რომელსაც ჩლიქის ფორმის ჩაღრმავებული შუაგული ჰქონდა. ამბობდნენ, ეს ღრმული ეშმაკის ნაკვალევიაო. გლეხებმა ჯერ კიდევ უხსოვარ დროს აქვე, ახლოს, ეკლესია ააშენეს და გაპრაზებულმა ეშმაკმა ამ ადგილას სულ ფეხები აბაკუნაო. დროის მოსაკლავად ამ ქვაზე ჩამოვჯექი და ეშმაკის ქვაში დაგროვილ წვიმის წყალს თითოთ მიწაზე ვაშეფეხდი. მზისგან ზურგი მიხურდა, ცა ისევ უღრუბლო იყო, კამკამა ლურჯი. ვიჯექი, ველოდი, წყალს ვაშეფეხდი, არაფერზე არ ვფიქრობდი და წარმოუდგენლად უდარდელად ვგრძნობდი თავს. მერე, როგორც იქნა, გოგონებიც გამოჩნდნენ. თავდაპირველად მთელმა ჯგუფმა ჩამიქროლა, შემდეგ, სულ ბოლოს – მ ა ნ ა ც. წამოვდექი. ის ჩემკენ გამოიქცა, მუქი თმა უფრიალებდა, შუბლის კულულზე დამაგრებული სამაგრი ზევით-ქვევით დაუხტოდა, ლიმონისფერი ყვითელი

კაბა ეცვა. მისკენ გავიშვირე ხელი, ის ჩემ წინ შედგა, აი, ისე, როგორც მაშინ, შესვენებაზე; მინდოდა, მისთვის ხელი წამევლო და ჩემკენ მიმეზიდა, ყველაზე მეტად კი მისი ჩახუტება და ლოყაზე კოცნა მინდოდა. მან მკითხა:

– ისა, მელოდებოდი?

– კი, – ვუპასუხე მე.

– მისმინე, დღეს შენთან ერთად ველარ წამოვალ. დედაჩემის ამხანაგი ავად გამხდარა და დედაჩემი მასთან აღარ მიდის, ასე მითხრა...

და ამას მოჰყვა მთელი რიგი ახ-სნა-განმარტებებისა, რომელსაც წესი-ერად ვერც ვუსმენდი, ვდუმდი, რადგან ფეხზე ძლივს ვიდექი. მერე უეცრად თავში საშინელი სიცარიელე ვიგრძენი, ფეხები მომეკვეთა და მახსოვს მხ-ოლოდ ის, რომ, როცა ლაპარაკი მოათ-ავა, მოულოდნელად ზურგი მაქცია და ასე ლიმონისფრად გაქროლდა ობერნზეესკენ, ძალიან სწრაფად, დანარჩენ გოგოებს რომ დასწროდა.

სკოლის ბორცვიდან დავეშვი და შინისაკენ წავედი. როგორც ჩანს, ძალიან ნელა მივდიოდი, რადგან, ტყის პირს რომ მივუახლოვდი და უნებლიერ ობერნზესკენ მიმავალ შორ გზას გავხედე, იქ უკვე აღარავინ ჩანდა. შევჩერდი, შემოვტრიალდი და გამოსათხოვარი მზერა ვსტყორცნე სკოლისკენ მიმავალი ბორცვის უსწორ-მასწორო ზოლს, საიდანაც მოვდიოდი. თაკარა მზე გაწოლილიყო ველებზე, ნიავიც არ იძვროდა და ბალახიც არ ირხეოდა, თითქოს ყველაფერი გაშეშებულიყო. და მაშინ დავინახე პატარა მოძრავი წერტილი, ერთი პატარა წერტილი, მარცხნივ, ტყის პირას, რომელიც მიზანმიმართული ნაბიჯით გზას მარჯვნივ მიუყვებოდა. აუყვა სკოლის ბორცვს, ქედების ზოლისკენ, საპირისპირ მხარეს, სამხრეთით. მართალია, ჭიანჭველასავით, მაგრამ ცის ლურჯ ფონზე მაინც მკაფიოდ გამოიკვეთა ადამიანი, რომელიც მალ-

ლა მიიწევდა და მე ვიცანი პ-ნი ზომერის სამი ფეხი. საათის მექანიზმის სიბუსტით, პანანინა, წამებივით ჩქარი ნაბიჯებით მიაქროლებდა ფეხებს წინ და ეს შორეული წერტილი ნელა და, ამავდროულად, ჩქარა, საათის დიდი ისრის მსგავსად, ჰორიზონტს მიეფარა.

ამ ამბიდან ერთი წლის თავზე ველო-სიპედის ტარება ვისწავლე. ეს ძალიან ადრე არ მომხდარა, რადგან უკვე სი-მაღლეში მეტრი და ოცდათხუთმეტი სმ ვიყავი, 22 კგ-ს ვიწონიდი და 32,5 ზომა ფეხი მქონდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ველოსიპედით სიარული მაინცდა-მაინც არ მიზიდავდა. გადაადგილების ამ ყანყალა საშუალებას, სულ რაღაც ორი თხელი ბორბლით, ვერ ვენდო-ბოდი, საშინიც კი მეგონა, რადგან ვე-რავინ მიხსნიდა, რატომ ვარდებოდა ძირს გაჩერებული ველოსიპედი, თუ მას საყრდენი არ ჰქონდა ან რაიმეს არ მიაყუდებდი, ან ვინმეს არ ეჭირა და რატომ არ მოსდიოდა იგივე, თუ მასზე იჯდა 32-კილოგრამიანი ადამიანი და ყოველგვარი საყრდენისა და მიყუდების გარეშე მიქროდა. ბუნების კანონები, რომლებიც ამ არაჩეულებრივ ფენო-მენს ედო საფუძვლად, კერძოდ კი ცენ-ტრისკენული ძალა და განსაკუთრებით ე.წ. ბრუნვის მექანიკური იმპულსის შენახვის კანონი, მაშინ ჩემთვის სრუ-ლიად გაუგებარი იყო; ყველაფერი ეს ახლაც არ მესმის ბოლომდე კარგად, ხოლო „ბრუნვის მექანიკური იმპულ-სის შენახვის კანონის“ წარმოთქმისას საშინაო ვლიზიანდები და კეფაზე გარკვეული ადგილი კაკუნს მიწყებს და ყრუდ მტკივდება ხოლმე.

აუცილებელი რომ არ ყოფილიყო, ველოსიპედზე ჯდომას, ალბათ, ვერც ვერასდროს ვისწავლიდი. აუცილებე-ლი იმიტომ იყო, რომ ფორტეპიანოს გაკვეთილებზე უნდა მევლო. ფორტ-ეპიანოს გაკვეთილებზე სიარული კი მხოლოდ ფორტეპიანოს იმ მასწავლე-ბელთან შეიძლებოდა, რომელიც ობერ-

ნიერს მეორე ბოლოში ცხოვრობდა და ფეხით მასთან მისვლას ერთი საათი სჭირდებოდა, ხოლო ველოსიპედით, როგორც ეს ჩემმა ძმამ გამომითვალა, ცამეტწუთ-ნახევარი.

მუსიკის ამ მასწავლებელს, რომელთანაც ფორტეპიანოზე დაკვრას ჯერ კიდევ დედაჩემი სწავლობდა, მერე ჩემი და, ჩემი ძმა და, საერთოდ, ჩვენში ყველა ადამიანი, ვისაც თუნდაც თითის დაჭერა შეეძლო რაიმე კლავ-იშზე, დაწყებული ტაძრის ორლანიდან, დამთავრებული რიტა შტანგლმაიერის აკორდეონით, ერქვა მარი-ლუიზე ფუნ-კელი, უფრო ზუსტად კი ფროილაინ მარი-ლუიზე ფუნკელი. ამ „ფროილ-აინს“ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელო-ბას ანიჭებდა, თუმცა მე არ შემხვე-დრია ცხოვრებაში მდედრობითი სქესის არსება, რომელიც ისე არ ჰგვანებოდა „ფროილაინს“, როგორც მარი-ლუიზე ფუნკელი. ეს იყო ძველთაძველი, ჭალ-არა, მოკუზული, დანაოჭებული არსე-ბა, ზედა ტუჩზე თხელი შავი ულვაში ამოსვლოდა და მკერდის ნატამალი არ გააჩნდა. ეს კი იმიტომ ვიცი, რომ ერთხ-ელ, შუადლით, როცა გაკვეთილზე შემ-თხვევით ერთი საათით ადრე მივედი, ახლადგამოლვიძებული, პერანგისამარა ვიხილე. გამოვიდა თავისი უზარმაზარი ვილის წინკარში, მხოლოდ ქვედა კაბა და პერანგი ეცვა, მაგრამ ნაზი, გან-იერი აპრემუმის პერანგი კი არა, ქალე-ბი რომ ატარებენ, არამედ მოტკეცილი უმკლავო ტრიკოტაჟის მაისური, აი, ისეთი, ბიჭები სპორტის გაკვეთილებზე რომ ვიცვამთ ხოლმე და ამ სავარჯიშო ტრიკოტაჟის მაისურიდან დამჭვნარი მკლავები გადმოჰკიდებოდა, ტყავგა-დაკრული წვრილი კისერი ამოსჩროდა, ქვეშ კი ყველაფერი ქათმის მკერდივით ბრტყელი და გამხდარი ჰქონდა და, აკი გითხარით კიდეც, იგი დაუინებით იწოდებოდა „ფროილაინად“, რომელიც „ფუნკელის“ წინ იდგა, იმიტომ, რომ... თუმცა მისგან ახსნა-განმარტებას არა-

ვინ ითხოვდა და თვითონ მაინც ხშირად განმარტავდა, რომ კაცებს, შეიძლება, გათხოვილი ჰერონებოდათ, ის კი ჯერაც უმანკო ქალწული იყო და ანი აპირებდა გათხოვებას. ეს განმარტება, ცხადია, სხვა არაფერი იყო, თუ არა დიდი უაზრობა, რადგან დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა მამაკაცი, რომელიც ბებერ, ულვაშებიან, კუზიან მარილუზე ფუნკელს შეირთავდა ცოლად.

სინამდვილეში ფრონილაინ ფუნკელი იმიტომ ეძახდა თავის თავს „ფრონლაინს“, რომ, ძალიანაც რომ მონდომებოდა, „ქ-ნ ფუნკელს“ ვერ დაუძახებდა, რადგან ერთი ფრაუ ფუნკელი უკვე არსებობდა, თუმცა, უკეთ რომ დაგიზუსტოთ: ქ-ნი ფუნკელი ჯერ კიდევ არსებობდა. საქმე ის გახლდათ, რომ ფრონილაინ ფუნკელს ჰყავდა დედა და, თუ უკვე გითხარით, ფრონილაინ ფუნკელი ძველთაძველი იყო-მეთე, ახლა აღარ ვიცი, რა ვუწოდო ქ-ნ ფუნკელს: ქვასავით ძველი, ძვალივით ძველი, ხესავით ძველი, ნამარხივით ძველი... ასე მგონია, სულ ცოტა, ასი წლის იყო. უფრო სწორად, ისეთი ბებერი იყო, ასე თქვათ, მხოლოდ არსებობდა, როგორც ავეჯი ან როგორც დამტვერილი პრეპარირებული ჰეპელა, ან ძველებური სიფრითვანა ფაიფურის ლარნაკი, მაგრამ არა როგორც ხორცისა და სისხლისგან შემდგარი ადამიანი. არც მოძრაობდა, არც ლაპარაკობდა. ისიც არ ვიცი, ესმოდა და ხედავდა თუ არა, მე მას მხოლოდ დამჯდარს ვნახულობდი; ხოლო იჯდა იგი ზაფხულობით, თეთრი ტიულის კაბაში გახვეული, ზამთრობით კი შავ ხავერდში შეფუთული, საიდანაც კუს თავი გამოეყო (დიდ, ღრმა სავარძელში, ოთახში, რომლის ყველაზე შორეულ კუთხეში, ქანქარი-ანი საათის ქვეშ, ფორტეპიანო იდგა), უტყვი, გაუტოკებელი და ყველასთვის შეუმჩნეველი. მხოლოდ ძალიან, ძალიან იშვიათად, ისიც თუ მოსწავლეს ზედმიწევნით კარგად ჰქონდა

ნასწავლი გაკვეთილი და უშეცდომოდ დაუკრავდა ჩერნის ეტიუდს, გაკვეთილის ბოლოს ფრონილაინ ფუნკელი მივიღოდა ხოლმე ოთახის შუაგულამდე და დიდი სავარძლის მხარეს გასძახებდა: „დეე!“ – ასე ეძახდა თავის დედას. – „დეე! მიეცი ბიჭს კექსი, მან ხომ მშვენივრად დაუკრა!“ და მერე მთელი ოთახი უნდა გადაგესერა, კუთხემდე მისულიყავი, დიდი სავარძლის წინ გაჩერებულიყავი და ბებერი მუმიისკენ გაგეშვირა ხელი. ამასობაში ფრონილაინ ფუნკელი განაგრძობდა ყვირილს: „მიეცი ბიჭს კექსი, დეე!“ და მაშინ, ენით აუნერლად ნელა, ტიულისა თუ შავი ხავერდის რომელილაც ნაოჭიდან გამოძვრებოდა მინასავით სიფრიფანა, მოლურჯო, აკანკალებული დაკუჭული ხელი, ისე, რომ თან არ სდევდა არც თვალებისა და არც კუს თავის მოძრაობა და სავარძლის სახელურთან მარჯვნივ მდგომ პატარა მაგიდიდან, რომელზეც ყოველთვის იდო ნამცხვრებიანი ლარნაკი, აიღებდა ერთ ნაჭერს (როგორც წესი, ვაფლის თეთრკრემიან ოთკუთხა ნაჭერს), გადმოატარებდა მაგიდის, სავარძლის სახელურებისა და მუხლების გასწვრივ, მიუახლოვებდა ბავშვის გაშვერილ ხელს და ძვლიანი თითებით ჩაუდებდა შიგ ნამცხვარს, როგორც ოქრის ზოდს. ზოგჯერ, სულ ერთი ნამით, ბავშვის ხელი და ბებრის თითის წვერები ერთმანეთს შეეხებოდა და მაშინ ბავშვი შიშისგან ძრწოდა, რადგან იგი მოელოდა რაღაც მყიფესა და თევზივით ციფს, ნაცვლად ამისა კი გრძნობდა თბილ, ცხელსაც კი და თანაც ძალიან ნაზ, მსუბუქ, მთრთოლვარე შეხებას და, ამასთანავე, საშინელების მომგვრელ შიშს, თითქოს ვიღაცის ხელიდან აფრენილ ჩიტს შესჯახებოდა. ისღა დარჩენოდა, ეთქვა: „დიდი მადლობა, ქ-ნ ფუნკელ!“ – და მოეკურცხლა ამ ოთახიდან, ამ პირქუში სახლიდან, გარეთ, ჰაერზე, მზის გულზე.

ველარ ვიხსენებ, რა დრო დამჭირ-და ველოსიპედის მართვის ურთულესი ხელოვნების დასაუფლებლად. ის კი მახსოვს, რომ ტარება დამოუკიდებლად ვისწავლე, ერთგვარი ზიზღითა და და-უინებული გულმოდგინებით, დედაჩემის ველოსიპედზე, ტყისკენ მიმავალ ოდნავ დამრეც ბილიკზე, იქ, სადაც ვერავინ დამინახავდა. გზას აქეთ-იქით ისეთი დაბურული და მაღალი მცენარეები მიუყვებოდა, ნებისმიერ წუთს თავისუ-ფლად შეიძლებოდა, მათ გამოვდებოდი, გადავყირავებულიყავი და რბილად ჩავ-ვარდნილიყავი ფოთლით დაფარულ რბილ მინაზე და ერთხელაც, ბევრი, ძალიან ბევრი უშედეგო მცდელობის შემდეგ, გაოგნებულმა, უცრად აღმოვაჩინე, რომ გამომივიდა. თავისუფლად ვმოძრაობდი, ყველა ჩემი თეორიული მოსაზრებისა და სკეფისის ჯინაზე მივქროდი ორი ბორბლით: ო, რა საამური და სიამაყით აღსავსე გრძნობა იყო! ჩვენი სახლის ტერასასა და მის მიმდებარე გაზონზე, მთელი ოჯახის თანდასწრებით შედგა ჩემი საჩვენებელი გარბენა, რომელსაც მოჰყვა დედაჩემისა და მამაჩემის აპლ-ოდისმენტები და ჩემი და-ძმის სიცილ-კისისი. ბოლოს ჩემმა ძმამ მოძრაობის ძირითადი წესები გამაცნო, უპირველეს ყოვლისა, კი ის, რომ უნდა მევლო გზის მარჯვენა მხარეს, ხოლო მარჯვენა მხარე კი განისაზღვრება იმის მიხედვით, საითაა დამაგრებული საჭეზე ხელის მუხრუჭი¹ და მას შემდეგ, კვირაში ერთხელ, ოთხ-შაბათობით, დღის 3-იდან 4 საათამდე, სრულიად მარტოდმარტო დავდიოდი ფრონლაინ ფუნკელთან ფორტეპიანოს გაკვეთილზე. ბუნებრივია, ჩემს შემთხვევაში ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო იმ

ცამეტწუთ-ნახევარზე, რომლის განმა-ვლობაშიც ჩემი ძმა ამ მანძილს ფარ-ავდა. ის ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო და სპორტულსაჭიანი და სამსიჩ-ქარიანი ველოსიპედით დადიოდა, მე კი ფეხზე მდგომი ვატრიალებდი დედაჩემის უზარმაზარი ველოსიპედის პედლებს. სკამი ბოლომდეც რომ დამეწია დაბლა, ერთდროულად პედლების ტრიალსა და სკამზე ჯდომას მაინც ვერ ვახერხებდი ან პედლები უნდა მეტრიალებინა, ან დავმჯდარიყავი. გადაადგილების ასეთი მანერა ძალიან არაეფექტური, დამქა-ნცველი და, როგორც ვატყობდი, მეტად სასაცილო საცეკვიც იყო: ველოსიპედი რომ ამერობრავებინა, ნამომდგარს უნდა მიმეჭირა ფეხი პედლებისთვის. როცა გაქანდებოდა, დავმჯდარიყავი, ნჯლრე-ვისგან თავი შემემაგრებინა, ფეხები აქეთ-იქით გამეჩაჩხა და ზემოთ ამენია მანამ, სანამ ველოსიპედი თითქმის თავისით არ გაჩერდებოდა და მერე ისევ მიმეჭირა პედლებისათვის და ისევ განმევითარები-ნა სიჩქარე, ხოლო თუ რაიმე დაბრკოლე-ბას არ გადავაწყდებოდი, დიახ, სწორედ თუ დაბრკოლებას არ გადავაწყდებოდი, ასე, ნჯლრევა-ნჯლრევით, ოც წუთში ვფარავდი გზას ჩვენი სახლიდან ობერ-ნზეეს სანაპიროს გავლით ფრონლაინ ფუნკელის ვილამდე, დაბრკოლებებს კი ბლომად ვაწყდებოდი. საქმე ის გახლდათ, რომ საჭის ტრიალი, დამუხრუჭება, ვე-ლოსიპედზე აძრობა, იქიდან ჩამოსვლა და მისთანები კი შემეძლო, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ გამესწრო, გამეტარე-ბინა ან გვერდი ამექცია რაღაცისთვის. შორიდან უკანა ან შემხვედრი მანქანის ძრავის ძალიან ჩუმი ხმაც რომ გამეგონა, იმწამსვე ვამუხრუჭებდი, ველოსიპედი-

1 როცა წამიერად მავინდება, საით არს მარცხენა მხარე და საით მარჯვენა, დღემდე ვიხსენებ ამ მნიშვნელოვან დეფინიციას. მაშინ წარმოვიდგენ ხოლმე ველოსიპედის საჭეს, მივაჭერ ხელს მუხრუჭს და მშვენივრად ვახერხებ ორიენტირებას. ცხოვრებაში არა-სოდეს ვინატრებდი იმ ველოსიპედზე დაჯდომას, რომელსაც ორივე მხარესა აქვს ხე-ლის მუხრუჭი ან კიდევ უფრო უარესი, მხოლოდ მარცხენა მუხრუჭი აქვს“ (ავტ.შენიშ.)

დან ჩამოვხტებოდი და ვიცდიდი, სანამ ავტომობილი არ ჩაივლიდა. გზად სხვა ველოსიპედსაც თუ დავინახავდი, მის ჩავლასაც ველოდებოდი. ფეხით მოსიარულის შემთხვევაშიც, თუ ძალიან მივუახლოვდებოდი, ჩამოვხტებოდი, ხელით მივაგორებდი ველოსიპედს და ზედ მხოლოდ მას მერე ავტობლდებოდი, სანამ კარგა მანძილზე არ ჩამოვიტოვებდი. მოკლედ, ორივე მხრიდან სრულიად თავისუფალი გზა უნდა მქონოდა და ჩემთვის არავის ეთვალთვალა და ბოლოს, ოპერნზეესა და უნთერნზეეს შორის იყო კიდევ ერთი დაბრკოლება – ფრაუ დოქტორ ჰარტლაუბის ძალი – პატარა, მახინჯი ტერიერი, რომელიც სულ შარაზე დანანალებდა და ყველაფერს, რასაც ბორბალი ჰქონდა, ყეფა-ყეფით ლამის ქვეშ უვარდებოდა. მხოლოდ ერთი გზით თუ დააღწევდი თავს მის შემოტევას – ველოსიპედი გზიდან უნდა გადაეყვანა, რომელიმე ეზოს ღობესთან მიგეეყნებინა, მაგრად ჩასჭიდებოდი ღობის ფიცარს, ისე, რომ ფეხები უკეთ აგებლაკა, მოკუნტულიყავი და ველოსიპედის სკამზე ასე დამჯდარს გეცადა, ვიდრე ფრაუ ჰარტლაუბი სტვენით არ გაიხმობდა თავის ნადირს. ჰოდა, რა გასაკვირი იყო, თუ მსგავს გარემოებაში ხშირად ოცი წუთიც არ მყოფნიდა ოპერნზეეს ბოლოში მისაღწევად. ამიტომ, უსაფრთხოების მიზნით, შინიდან სამის-ნახევარზე გავდიოდი, რომ ფრონტან ფუნკელთან, ასე თუ ისე, დათქმულ დროს მივსულიყავი.

როცა გითხარით, ფრონტან ფუნკელი ზოგჯერ დედამისს ავალებდა მოსწავლეების ნამცხვრით გამასაპინძლებას-მეთქი, ისიც ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ეს ძალიან, ძალიან იშვიათად ხდებოდა და სულაც არ იყო ჩვეულებრივი ამბავი, რადგან ფრონტან ფუნკელი მკაცრი მასწავლებელი გახლდათ და მის გულს ძნელად თუ მოიგებდი. საკმარისი იყო, უდიერად მოგემზადებინა საშინაო დავალება ან სანოტო ფურცლიდან კითხვისას ერთმანეთის მი-

ყოლებით არასწორი ბგერები დაგეკრა, დაინტებდა მრისხანედ თავის ქნევას, აპილპილდებოდა, ფერდებში მუჯლუ-გუნებს გითავაზებდა, გაანჩხლებული გაპარჭყავდა თითებს და ხმამაღლა გაჰკიოდა და ილანძლებოდა. ამგვარი რამ საკუთარ ტყავზე ვიწვნიე მეცადი-ნეობის დაწყებიდან ერთი წლის თავზე და ამ სცენამ ისე შემძრა, რომ მისი გახსენება დღემდე შიშის ზარს მგვრის.

ერთხელ ათი წუთით დამაგვიანდა, რადგან, ჯერ იყო და ფრაუ დოქტორ ჰარტლაუბის ტერიერმა ღობეს მიმაჯაჭვა, მერე გზად ორი ავტომობილი შემხვდა და ბოლოს, ოთხი ქვეითის გასწრებაც მომიწია. როცა ფრონტან ფუნკელთან შევედი, უკვე აპილპილებული, ოთახში ბოლთას სცემდა, თავს აქეთ-იქით იქნევდა და ჰაერში თითებს ჰარჭყავდა.

– თუ იცი, რომელი საათია? – შემომიბდვირა მან.

ვდეუმდი, საათი არ მქონდა. პირველი საათი საჩუქრად მაშინ მივიღე, ცამეტი წელი რომ შემისრულდა.

– შეხედე! – შეჰყვირა მან და თითები კუთხის მიმართულებით გაიქნია, სადაც უძრავად მჯდომ „დეე“ ფუნკელის თავზე ქანქარიან საათს გაჰქონდა წიკნიკი. – უკვე ოთხის თხუთმეტი წუთია! სად დაეთრეოდი ამჯერადაც?

მე ფრაუ დოქტორ ჰარტლაუბის ძალზე ბუტჭუტს მოვყევი, მაგრამ მან არ დამამთავრებინა:

– ძალლი! – გაიმეორა ჩემი ნათქვამი. – ძალლთან ითამაშე, გასაგებია! ნაყინიც მიირთვი! ეგეც ვიცი! თქვენ ხომ სულ ფრაუ ჰირტის ჯიხურთან ყურყუტებთ და მხოლოდ ნაყინის ჭამზე ფიქრობთ!

ეს გაუგონარი ცილისწამება იყო! თითქოს ფრაუ ჰირტთან ნაყინი მეყიდოს, მაშინ, როცა ჯერ ჩემთვის ჯიბის ფული არავის მოუცია. აი, ჩემი ძმა და მისი მეგობრები კი აკეთებდნენ ასეთ რამებს. ისინი ჯიბის ფულს ჩამოდი-

ოდნენ და მთლიანად ფრაუ ჰირტის ჯიხურში ხარჯავდნენ, მაგრამ მე არა! მე ყოველი ცალი ნაყინი დედაჩემ-თან ან ჩემს დასთან უთავმოყვარეოდ უნდა მემათხოვრა! და ახლა ბრალს მდებდნენ, თითქოს, ნაცვლად იმისა, რომ ველოსიპედით მუსიკის გაკვეთილზე წავსულიყავი და ოფლგადამსკდარს გზად მრავალი განსაცდელი გამომევლო, ფრაუ ჰირტის ჯიხურთან ვყურყუტებდი და ნაყინით ვიყორავდი მუცელს! ასეთი უსამართლობისგან ენა ჩამივარდა და ტირილი მოვრთე.

— მორჩი ბლავილს! — მომაძახა ფროილაინ ფუნქელმა. — ამოიღე შენი ნივთები და მაჩვენე, რა ისწავლე! ალბათ, ისევ არ გიმეცადინია!

სამწუხაროდ, ამჯერად არ ტყუოდა. მართლაც, გასულ კვირას საერთოდ არ მიმეცადინია. ჯერ ერთი, უამრავი სხვა საქმე მქონდა, მეორეც, მოცემული ეტიუდები საშინალად რთული იყო: რაღაც ფუგისმაგვარი, კანონის საზომით დაწერილი, მარჯვენა და მარცხენა ხელი ერთმანეთის საპირისპიროდ დაშორებული, ერთი უეცრად სულ ერთ მხარეს გაჩერილი, მეორე — მეორე მხარეს; რიტმი — არათანმიმდევრული, ინტერვალები — უჩვეულო. ამას ზედ ერთვოდა საზიზლარი ქლერადობა. კომპოზიტორის გვარი, თუ არ ვცდები, იყო ჰესლერი¹, ეშმაკსაც წაუღია მისი თავი!

მიუხედავად ყველაფრისა, რომ არა გზად გადამხდარი განსაცდელები, მეტადრე კი ფრაუ დოქტორ ჰართლაუბის ტერიერის თავდასხმები და, ამას დამატებული, ფროილაინ ფუნქელის ლანძლვა-გინებები, რომლებმაც საბოლოოდ მომიშალა ნერვები, ამ ორ ნაწარმოებს რაღაცნაირად მივახლაფორთებდი და აი, ვიჯექი როიალთან აკანკალებული და თვალცრემლიანი, სიმწრის ოფლში

ვიწურებოდი და შევყურებდი 88 კლავიშს და ბ-ნი ჰესლერის ეტიუდებს, ხოლო ბურგს უკან მეჯდა ფროილაინ ფუნქელი, რომელიც მძვინვარედ მასუნთქებდა კეფაში... და მე საბოლოოდ წავხდი. ყველაფერი ავურ-დავურიე: ბანისა და ვიოლინოს გასაღები, მთელი და ნახევარი ნოტები, მეოთხედი და მერვედი პაუზები, მარჯვნივ და მარცხნივ... ერთი ხაზიც კი ვერ დავუკარი ბოლომდე, კლავიშები და ნოტები ცრემლების კალეიდოსკოპს შეერწყა, ხელები ჩამოვუშვი და ჩემთვის ჩუმად ავტირდი.

— ეგგრეც ვიფიქრე! — უკნიდან სისინი შემომესმა და კეფა ნერწყვის შხეფებმა დამისველა. — ეგგრეც ვიფიქრე! დაგვიანება, ნაყინის მირთმევა და მერე რაღაცების მოჩმახვა ხო მაგრა გეხერხებათ ვაუუშბატონებს?! და გაკვეთილის მომზადება არ გეხერხებათ, არრა? დამაცადე, ყმაწვილო! მე შენ გასწავლი ჭკუას! — და ამ სიტყვებზე წამოფრინდა, მთელი ძალით დაასკდა სკამს ჩემ გვერდით, ორივე ხელით მეცა მარჯვენა ხელში და დაუწყო ჩემს თითებს სათითაოდ კლავიშებზე კაკუნი, ისე, როგორც ეს ბ-ნ ჰესლერს ჰქონდა დაწერილი: — ეს აქ! და ეს — აქ! და ეს აქ! და ეს თითო აქ! და მესამე აქ! და ეს აქ! აი, ეს კი აქ!..

როცა მარჯვენა ხელი მოათავა, მარცხნის რიგი დადგა, იგივე მეთოდით: „ეს აქ! და ეს — აქ! და ესეც აქ!..“

ისეთი გამეტებით მაჭერინებდა თითებს კლავიშებზე, გეგონებოდა, ასე ნოტ-ნოტად მთელი ეტიუდის ჩემს თითებში ჩაჭყლეტა უნდაო. ამან თითქმის წახევარ საათს გასტანა და საკმაოდ მტკიცნეულიც იყო. ბოლოს, როგორც იქნა, დამანება თავი, რვეული დახურა და მითხრა:

— შემდეგში გაკვეთილს ისე ისწავ-

¹ გერმანული სიტყვისგან hasslich — უშნო, მახინვი, საზიზლარი.

ლი, ყმაწვილო, რომ ფურცლიდან კი არ ნაიკითხავ, ზეპირად გეცოდინება და ალლეგრო, თორებ ნახავ მერე შენს სეირს! – ამის შემდეგ გადაშალა სქელი პარტიტურა ოთხი ხელისთვის და ხმაურით დაახეთქა პიუპიტრზე. – ახლა კი ერთად კიდევ ათი წუთი დავუკრავთ დიაბელის, რომ ბოლოს და ბოლოს ისწავლო ნოტების კითხვა. ვაი, შენი ბრალი, თუ შეგეშლება!

მორჩილად დავუკარი თავი და სახელოთი ცრემლები მოვიწმინდე. დიაბელი უდავოდ სასიამოვნო კომპოზიტორი იყო. იგი არ ჰქავდა ფუგებშემ-მუსვრელ საზიზღარ ჰესლერს. დიაბელის დაკვრა იოლი იყო, უაღრესად ადვილი, ამასთანავე ყოველთვის მშვენივრად უღერდა. მე მიყვარდა დიაბელი, მიუხედავად იმისა, რასაც ჩემი და ამბობდა ხოლმე: როიალზე დაკვრა საერთოდ რომ არ იცოდე, დიაბელის მაინც დაუკრავო.

ასე რომ, შევუდექით დიაბელის დაკვრას ოთხი ხელით. ფროილაინ ფუნკელი მარცხნივ, ბანის გასაღებში ურახუნებდა, მე კი ორივე ხელით უნისონში დისკანტით – მარჯვნივ. ცოტა ხანი ყველაფერი მშვიდობინად მიდიოდა, სულ უფრო და უფრო თავდაჯერებულად ვგრძნობდი თავს, ამქეცყნად ანტონიო დიაბელის მოვლენისთვის ღმერთს მადლობას ვწირავდი და ამ შვებისმომგვრელ წუთებში სულ გადამავიწყდა, რომ ეს პატარა სონატინა ჩიდურ-ში იყო დაწერილი და ამიტომ გასაღებში ფა-დიეზი უნდა მდგარიყო; ეს კი იმაზე მიანიშნებდა, რომ მუდმივად კომფორტულად თეთრ კლავიშებზე კი არ უნდა გერბინა, არამედ გარკვეულ ადგილებში, თუმცა ეს ნოტებში მითითებული არ იყო. შავ კლავიშზე უნდა დაგეკრა, ანუ ის ფა-დიეზი აგელო, რომელიც სოლ-იდან ნახევარი ტონით დაბლა მდებარეობდა და, აი, როგორც კი ჩემს პარტიაში გამოჩნდა ფა-დიეზი, მე ეს ვერ გავაცნობიერე,

ვეძგერე და მის მაგივრად სუფთა ფა ავიღე, რომელმაც უსიამოვნო დისონანსი გამოიწვია, ამას კი ნებისმიერი მოყვარულიც იგრძნობდა.

– არ იშლი ხომ შენსას?! – ჩაისისინა ფროილაინ ფუნკელმა და დაკვრა შეწყვიტა, – აბა, რას იზამდი?! პირველივე სიძნელისას ვაჟბატონმა არასწორი ნოტი აიღო! სადა გაქვს თვალები? ფა-დიეზი! ხომ გარკვევით წერია? დაიმახსოვრე ერთხელ და სამუდამოდ! თავიდან, კიდევ ერთხელ! ერთი-ორი-სამი-ოთხი...

როგორ მოხდა, რომ მეორეჯერაც იგივე შეცდომა დავუშვი, დღესაც ვერ გამიგია. ეტყობა, შეცდომის ისე მეშინოდა, რომ ყოველი ნოტის აღების შემდეგ ფა-დიეზი მელანდებოდა, მზად ვიყავი, სულ ფა-დიეზები ამეღო და ვშიშობდი, ყველგან ისინი არ დამეკრა. ჯერ არ უნდა დამეკრა... ჯერ არა... ვიდრე... ვიდრე იმავე ადგილას ფა-დიეზის ნაცვლად კვლავ ფა არ ავიღე!..

ფროილაინ ფუნკელი უეცრად აპილ-პილდა და წივილი მორთო:

– ეს რა უბედურებაა! ხომ გითხარი, ფა-დიეზი-მეთქი, ჯანდაბა შენს თავს! ფა-დიეზი! არ იცი, რა არის ეს ოხერი ფა-დიეზი, შე ჩლუნგო? აი, აქ! – ბლამ, ბლამ და ასო ჩ-ს ქვემოთ კლავიშს დასცხო საჩვენებელი თითი, რომლის ბალიშიც მუსიკის მასწავლებლობის ათწლეულებს ათპფენინგიანივით გაებრტყელებინა... – აი, ფა-დიეზი!..“ – ბლამ, ბლამ. – აი! – და ამ დროს დააცხიკა. დააცხიკა და ავადსახსენებელი თითი ჯერ საულევაშეზე გადაისვა, მერე ორჯერ-სამჯერ ისევ კლავიშს დასცხო და ხმამაღლა შეჰყვირა: – აი, ფა-დიეზი! ეს არის ფა-დიეზი! – მერე სახელოდან ცხვირსახოცი გამოაძვრინა და ხმამაღლა მოიხოცა ცხვირი.

მე კი დავხედე ფა-დიეზს და გავშრი: კლავიშის კიდეს დაახლოებით თითის სიგრძისა და თითქმის ფანქრის სისქის მომწვანო-მოყვითალო, ჭიაყელასავით

დაკლაკნილი ლორწოვანი უღვინტი მიჰკვროდა, რომელიც დაცემინებისას აშკარად ფრონილაინ ფუნქელის ცხვირიდან იყო გამოტყორცნილი, მერე საულვაშეზე მოხვედრილი, მონმენდის შემდეგ თითზე და ბოლოს – ფა-დიეზ-ზე.

– თავიდან, კიდევ ერთხელ! – დამ-ჩხაოდა გვერდიდან. – ერთი-ორი-სამი-ოთხი!.. – და ჩვენ დავინუეთ დაკვრა.

მომდევნო ოცდაათი წამი იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე საშინელი წამები. ვიგრძენი, როგორ მომაწვა სისხლი საფეთქლებზე და როგორ დამასხა ცივ-მა ოფლმა კეფაზე. შეისისგან თბა ყალყზე დამიდგა, ყურები ხან მიხურდა, ხან მეთოშებოდა, ბოლოს დამიგუბდა, თითქოს საკობით დაეცოთ. ანტონიო დიაბელის მშვენიერი მელოდია თითქმის აღარ მესმოდა, მექანიკურად ვუკრავდი, ისე, რომ ნოტებში არც ვიხედებოდა; მეორჯერ დაკვრის შემდეგ თითები თავისთავად მირბოდნენ. თვალებგაფართოებული მივჩერებოდი ფას მომდევნო მოხდენილ შავ კლავიშს, რომელზეც მარი-ლუიზე ფუნქელის უღვინტი იყო მიწებებული... კიდევ შვიდი ტაქტი, კიდევ შვიდი!.. შეუძლებელი იყო ამ კლავიშს ისე შეხებოდი, რომ პირდაპირ უღვინტში არ გეტკუცა თითი. კიდევ ხუთი ტაქტი, კიდევ ოთხი... შიგ რომ არ ვტუცო თითი და ფა-დიეზის ნაცვლად ისევ ფა ავილო, მაშინ... კიდევ სამი ტაქტი – ღმერთო, დიდებულო, ჰქმენ სასწაული! მითხარი რამე! მოიმოქმედე რამე! მოსპედედამინა! დაამსხვრიე ფორტეპიანო! დააბრუნე დრო უკან, ამ ფა-დიეზის აღება რომ არ მომინიოს!.. კიდევ ორი ტაქტი, კიდევ ერთი, მაგრამ მოწყალე ღმერთი დუმდა და არაფერს შვრებოდა... და აი, ბოლო, საზარელი ტაქტიც, ის, ახლაც ზუსტად მახსოვს, ექვსი მერვედი ნოტისგან შედგებოდა, რომლებიც რე-დან ქვემოთ ფა-დიეზისკენ ჩარბოდნენ და ჩერდებოდნენ მისგან

ნახევარი ტონით მაღლა მდებარე მეოთხედიან სოლ-თან... მერვედების ამ კიბით ჩემი თითები ჯოჯოხეთისკენ მიექანებოდნენ, რე-დო-სი-ლა-სოლ...

– ახლა ფა-დიეზი! – ჩამესმა გვერდიდან... და მე უაღრესად საღი გონებითა და სიკვდილის გააზრებული ზიზღით დავუკარი ფა...

კლავიშებიდან ხელის აღება ძლივს მოვასნარი, რომ პიანინოს თავსახურის ბრაზუნი გავიგონე და ფრონილაინ ფუნქელი ელდანაკრავივით წამოხტა სკამიდან.

– შეგნებულად გააკეთე, არა? – ისეთი ძალით ყვიროდა, რომ სული ეხუთებოდა და, მიუხედავად ჩემი სიყრუისა, ყურებში წუილი დამეწყო. – შეგნებულად გააკეთე, შე საზიზლარო! პატარა ჯიუტო ლანირაკო! შე, პატარა არამზადა! შე...

და დაინტო სასადილო თაახის შუაგულში, მაგიდის ირგვლივ ველური ნაბიჯებით სირბილი და ყოველი მეორე სიტყვის წარმოთქმისას მაგიდას მუშტს ურახუნებდა.

– მაგრამ მე ვერ გამაცურებ, გასააგებია? ვინ გგონია შენი თავი? ჩემთან არ გაგივა ეგ ხრიკები! დედაშენსაც დავურეკავ, მამაშენსაც დავურეკავ, მოვთხოვ, ისე მიგიუეულნ ერთი ადგილი, რომ მთელი კვირა ჯდომა ვერ შეძლო! დავავალებ, რომ სამი კვირა სახლიდან ფეხი არ გაგადგმევინონ, დღეში სამი საათი სოლ-მაჟორული გამა გაკვრევინონ, ამას მიაყოლონ რე-მაჟორულიც, ლა-მაჟორულიც, ფა-დიეზითაც, დო-დიეზითაც და სოლ-დიეზითაც, სანამ ისე არ იმეცადინებ, ისე არ დაიზუთხავ, რომ ძილშიც შეგეძლოს მათი დაკვრა! შენ, ეტყობა, მე არ მიცნობ, შე უზნეო! მე შენ გიჩვენებ... ჯობია, ახლა... მე თვითონ... ჩემი ხელით!..

და უეცრად ხმა ჩაუწყდა, იხრჩობოდა და ხელებს ჰაერში ასავსავებდა. ისე განითლდა, გავიფიქრე, აი, ახლა გასკდება-მეთქი. ბოლოს სტაცა ხელი

ვაშლს, რომელიც მის წინ ხილის ლარნაკში იდო, ამოილო და ისეთი ძალით მიათხლიშა კედელს, მარცხნივ, ქანქარიან საათთან, ზუსტად მისი ბებერი კუსთავა დედის თავზე, რომ მასზე ყავისფერი ლაქა გაიდღაბნა.

მაშინ კი, თითქოს ვიღაცას ღილაკზე თითო მიეჭიროს, ტიულის გროვა შეირხა და სამოსის ნაკეცებიდან მოჩვენებასავით გამოძვრა ბებერი ხელი, რათა მექანიკურად გადაჩოჩებულიყო მარჯვნივ, ნამცხვრისკენ...

მაგრამ ფრონილაინ ფუნკელს ეს სულაც არ შეუმჩნევია, ამას მხოლოდ მე ვხედავდი. მან ფართოდ გამოაღო კარი, ხელით მბრძანებლურად მისკენ მიმითითა და დასჭყივლა: – აიღე შენი ნივთები და გაქრი! – და როცა გარეთ გავლასლასდი, ზურგს უკან კარი მიმიჯახუნა.

მთელი ტანით ვცახცახებდი. მუხლები ისე მიკანკალებდა, სიარულს ძლიერ ვახერხებდი, რომ არაფერი ვთქვათ ველოსიპედის მართვაზე. ხელის კანკალით მივამაგრე ნოტები საბარგულს, ველოსიპედს კი ხელით მივათრევდი და სანამ ასე მივათრევდი, თავში საშინლად ბნელი აზრები მიტრიალებდა. რამაც ასე ამაღლევა, რამაც ასე ამაფორიაქა, არ იყო მხოლოდ ფრონილაინ ფუნკელის ლანძლვა-გინების, მიტყეპვის, მუქარის, შინ გამოკეტვისა თუ სხვა რამის შიში; წინ აუტანელი სინამდვილე გადამეშალა: სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ერთი დიდი, ბოროტი, ვერაგი, უსამართლო მზაკვრობა და ამ მამაძალურ მზაკვრობაში დამნაშავენი სხვები არიან. ყველა, უფრო სწორად, უკლებლივ ყველა, მაგალითად, დედაჩემი, რომელმაც არ მიყიდა წესიერი ველოსიპედი; მამაჩემი, რომელიც მას სულ პირს უქონავდა; ჩემი და და ჩემი ძმა, რომლებიც დამცინოდნენ, ფეხზე მდგომი რომ ვატარებდი ველოსიპედს; ფრაუ დოქტორ ჰართლაუბის ძალი, რომელიც გამუდმებით მიბრიყვებდა. ქვეითად

მოსიარულენი, რომლებიც გზას მიღობავდნენ და ამიტომ აუცილებლად ვიგვიანებდი; კომპოზიტორი ჰესლერი, რომლის ფუგებიც მტანჯავდა და თავს მაბეზრებდა. ფრონილაინ ფუნკელი, თავისი უსამართლო ბრალდებითა და საზიზლარი უდვინტით ფა-დიეზზე... და თავად მოწყალე ღმერთი, დიახ, ე.წ. მოწყალე ღმერთი, რადგან ცხოვრებაში მხოლოდ ე რ თ ხ ე ლ დამჭირდა მისი დახმარება, ვთხოვდი, ვემუდარებოდი და იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიმოქმედა, რომ დადგმდა, განზე გადგა და უმოწყალო ბედისწერას უსამართლო განაჩენის გამოტანის საშუალება მისცა. რაში მჭირდება მთელი ეს ხარახურა, რომელმაც ჩემ წინააღმდეგ შეკრა პირი? რა მესაქმება ამ ქვეყნიერებასთან? თუ ეს ქვეყანა ჩალითაა დაფარული, მაშინ მე აქ რა დამკარგვია?! სხვებს ასეც უქნიათ, დამხრჩხვალან თავის უნამუსობაში! აუვლინტონ იქ, სადაც გაუხარდებათ, მაგრამ უჩემოდ! მე აღარ ვთამაშობ! გამოვესალმები ამ ქვეყანას და თავს მოვიკლავ, ამ წამსვე!

ეს რომ გავიფიქრე, გულზე მომეშვა. ის აზრი, რომ, უპრალოდ, სიცოცხლეს უნდა გამოვსალმებოდი (ასე ლამაზად მოიხსენიება ხოლმე ეს პროცესი) და ერთი ხელის მოსმით დავმშვიდობებოდი კველანაირ უსამართლობასა და უხამსობას, მაწყნარებდა და შვებას მგვრიდა. ცრემლი შემაშრა, კანკალმა გამიარა. ისევ მომეცა ახალი იმედი, ოლონდ მომენტი არ უნდა გამეშვა ხელიდან, თორემ, შესაძლოა, გადამეფიქრა კიდეც.

დავანექი პედლებს და გავწიე. ობერნზეეს შუამდე რომ მივედი, შინისკენ მიმავალი გზით კი არ წავედი, ტბის გასწვრივ, მარჯვნივ გადავუხვიე. გავიარე ტყე, გადავიარე გორაკი, გადავსერე სოფელი, დავადექი სკოლის გზას და მივადექი ტრანსფორმატორის ჯიხურს. იქ იდგა ყველაზე მაღალი ხე, რომელიც კი ოდესმე მინახავს – დიდი

ქებერი წითელი ფიჭვი. მის კენწეროზე
აცოცებას და იქიდან გადმოხტომას ვა-
პირებდი. თავის მოკვლის სხვა ხერხი
ვერც კი მომეფიქრებინა, თუმცა ვიცო-
დი, რომ ადამიანს შეეძლო წყალში თა-
ვის დახრჩობა, თავის ჩამოხრჩობა, და-
ნით ან ელექტროდენით თავის მოკვლა.
ეს უკანასკნელი მეთოდი ჩემმა ძმამ
ერთხელ დეტალურად ამისსნა: „ამისთ-
ვის დაგჭირდება ნულოვანი სადენი, –
მითხრა მან. – ეს ანაბანაა, ნულოვანი
სადენის გარეშე არაფერი მოხდება,
თორემ ჩიტები, რომლებიც ელექტრო-
სადენებზე სხედან, ხომ დაიხოცებოდ-
ნენ და ჩამოცივდებოდნენ?! მაგრამ ეს
არ ხდება. თუ იცი, რატომ? იმიტომ,
რომ არ არის ნულოვანი სადენი. თეო-
რიულად, შენ შეგიძლია ჩამოეკიდო
ასი ათასი ვოლტის ძაბვის სადენს და
არაფერიც არ დაგემართება, რადგან
არ იქნება ნულოვანი სადენი“. ასე მსჯ-
ელობდა ჩემი ძმა. ჩემთვის ყველაფერი
ეს ზედმეტად რთული იყო, ელე-
ქტროდენი და მისთანები. გარდა ამი-
სა, არ ვიცოდი, რა იყო ეს ნულოვანი
სადენი. მორჩა, მხოლოდ ხიდან ჩამ-
ოვარდნის საკითხი დამრჩენოდა გადა-
საწყვეტი. ამის გამოცდილება მქონდა.
ჩამოვარდნა არ მაშინებდა. ეს იყო ჩემ-
თვის სიცოცხლესთან გამოსალმების
ერთადერთი მისალები წესი.

ველოსიპედი ტრანსფორმატორის ჯიხურთან მივაყენე და ფიჭვისკენ ბუჩქებით გავიკვლიე გზა. ხე ისეთი ბებერი იყო, ქვემოთ ტოტები ალარც შერჩენოდა. ამიტომ ჯერ გვერდით, პატარა ნაძვზე მომიწია აძრომა, რომ იქიდან წითელ ფიჭვზე გადავბობდებულიყავი. მერე უკვე ყველაფერი გაიოლდა. სქელი, ჩახლართული, ადვილად ასაძრომი ტოტებით ზევით, ცისკენ, ისე მოხერხებულად მივძვრებოდი, როგორც კიბეზე და მხოლოდ მაშინ შევჩერდი, როცა ტოტებიდან უეცრად მზემ გამოაჭყიტა. ხის ტანი ისე დათხელებულიყო, რომ ოდნავ რწევასაც კი ვგრძნობდი. ის-ის

იყო ხის კენწერომდე უნდა მიმელწია, რომ პირველად ჩავიხედე დაბლა და მიწა ვეღარ დავინახე. ფეხქვეშ ნაძვის წიწვების, ტოტების და გირჩების მომწვანო-მოყავისფრო ხალიჩა მეგო. აქედან ძირს ვერ ჩახტებოდი. ეს იგივე იქნებოდა, ღრუბლებიდან თითქოს ახლოს მყოფ, მოჩვენებითად მყარ ლოგ-ინში გესკუპა და საბოლოოდ რაღაც გაუგებრობაში აღმოჩენილიყავი. მე კი სულაც არ მინდოდა ამ რაღაც გაუგებარ რამეში ჩახტომა. მინდოდა დამენახა, სად დავეცემოდი, როდის და როგორ. მე გალილეო გალილეის თავისუფალი ვარდნის კანონის განხორციელებას ვაპირებდი.

ამიტომ ისევ დაბლა, ჩაპურული ადგილისკენ დავემვი. ხის ტანის ირგვლივ ტოტიდან ტოტზე მივბობლავდი და ჩასავარდნ უფსკრულს ვეკებდი, რომელშიც თავისუფალი ვარდნის განხორციელებას შევძლებდი. ეს რამდენიმე ტოტით დაბლა ვიპოვე – იდელური ტრაექტორია ფრენისათვის, ღრმა, როგორც მაღაროს ჭა, ვერტიკალურად მიწამდე ჩაშვებული, სადაც ხის დახლართული ფესვები ნიადაგთან უმონყალო და გარდაუვალ სასიკვდილო შეტაკებაში შეგინყობდნენ ხელს. საკმარისი იყო, მხოლოდ ოდნავ მოვცილებოდი ხის მარჯვს, ტოტიდან ოდნავ გადავხრილებავი და ჩახტომაც არ დამჭირდებოდა, ისე დაუბრკოლებლად აღმოვჩნდებოდი უფსკრულში.

ფრთხილად ჩავცუცქდი, ტოტზე
ჩამოვჯექი, ხის მარჯს მივეყრდე-
ნი და სული მოვითქვი. თავისთავად
ჩანაფიქრმა იმდენად გამიტაცა, რომ
ამ წუთამდე არც კი გამიაზრებია, რის
ჩადენას ვაპირებდი და აი, ახლა, გად-
ამწყვეტი მომენტის წინ, კვლავ შემო-
მაწვა დარღიანი ფიქრები და მას მერე,
რაც კიდევ ერთხელ შევაჩვენებ და დავწ-
ყევლე მთელი ცოდვილი სამყარო და
მისი მკვიდრნი, წარმოვიდგინე ბევრად
უფრო გულისამაჩუქრებილი სურათი -

საკუთარი დასაფლავება. ო, ეს იქნებოდა დიდებული დაკრძალვა! დარეკავდნენ ეკლესის ზარებს, აგუგუნდებოდა ორლანი, ობერნზეეს სასაფლაო ვერ დაიტევდა ჭირისუფალს... წარმოვიდგინე, როგორ ვიწვებოდი ყვავილებით მორთულ შუშის კუბოში, როგორ გამაცილებდა ბოლო გზაზე კატაფალკ-ში შებმული შავი ცხენი და ჩემ გარშემო, ხმამაღალი მოთქმის გარდა, ვერაფერს გაიგონებდი. იქვითინებდნენ ჩემი მშობლები და და-ძმა, იქვითინებდნენ ჩემი კლასელები, იქვითინებდნენ ფრაუ ჰართლაუბი და ფროილაინ ფუნკელი, საქვითინოდ შორიდან ჩამოვიდოდნენ ნათესავები და მეგობრები და ასე ქვითინით დაიცემდნენ გულში მჯიდებს და დაიწყებდნენ მოთქმას: „ო! ჩვენი ბრალია, გვერდით რომ ალარა გვყავს ასეთი შესანიშნავი, ასეთი არაჩვეულებრივი ადამიანი! ო! უკეთესად რომ მოვქცეულიყავით, ასე ულმობლად და უსამართლოდ რომ არ მოვპყრობოდით, ხომ იქნებოდა ახლა ეს საყვარელი, ეს კარგი, ეს არაჩვეულებრივი და კაცომიყვარე ადამიანი ცოცხალი?!” და ჩემი სამარის კართან იდგებოდა კაროლინა კუკელმანი, დამაყრიდა გულზე ყვავილებს, მესროდა უკანასკნელ მზერას, გადმოლვრიდა მდუღალე ცრემლს და მომატირებდა ჩახლეჩილი ხმით: „ო, ჩემო ძვირფასო, ჩემო ერთადერთო, ნეტა წამოგყოლოდი მაშინ, იმ ორშაბათს!“.

როგორი ნეტარებისმომგვრელია ეს ფანტაზიები! მათ სულ უფრო და

უფრო ამიყოლიეს. წარმოვიდგინე ჩემი დასაფლავების ახალ-ახალი ვარიანტები, დაწყებული კუბოში ჩასვენებით, დამთავრებული ქელებით, სადაც სადღეგრძელოებში შემაქებდნენ და მადიდებდნენ. ბოლოს მე თვითონ ისე ამიჩურდა გული, რომ ქვითინით არ ავქვითინებულვარ, მაგრამ თვალზე ცრემლი კი მომადგა. ეს იქნებოდა ჩვენს მხარეში ყველაზე დიდებული დასაფლავება, მას ღრმა მწუხარებით მოიგონებდნენ კიდევ მრავალი ათწლეულის მანძილზე... რა სამწუხაროა, რომ თვითონ მე ვერ მივიღებდი მაში მონაწილეობას, როგორც წესი და რიგია. ამ დროისთვის მე ხომ უკვე მკვდარი უნდა ვყოფილიყავი?! სამწუხაროდ, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო. საკუთარ დაკრძალვაზე მკვდარი უნდა იყო. ერდთროულად მიუღწეველია, შურიც იძიო მთელ ქვეყნიერებაზე და ამავე დროს იცხოვრო კიდეც ამქვეყნად. ჰოდა, იზეიმოს, მაში, შურისძიებამ!

ფიჭვის მარჯს მოვცილდი. ნელა, სანტიმეტრ-სანტიმეტრ მივცოცავდი ტოტის ბოლოსკენ. მარჯვენა ხელით ნახევრად ჯერ კიდევ ხის მარჯს ვეყრდნობოდი, მარცხენათი იმ ტოტს ვეჭიდებოდი, რომელზეც ვიჯექი. დადგა ის წამიც, როცა ხეს თითის წვერებით ვეხებოდი... მერე უკვე ველარც თითის წვერებით ვნვდებოდი... ახლა უკვე მიუყრდნობლად ვიჯექი, ჩიტივით თავისუფლად, მაგრამ ორივე ხელით ვებლაუჯებოდი ტოტს, ქვეშ კი უფსკრული იდო. ფრთხილად, ძალიან ფრთხი-

1 ჰერის წინაღობის გაუთვალისწინებლად! (ავტ. შენიშვ.)

2 ცხადია, გამოანგარიშებისას, მძიმის შემდეგ, შვიდიანამდე, ჯიბის კალკულატორი გამოიყენე. ვარდნის კანონები ერთ დროს ყურმოკვრით მქონდა გაგონილი, ხოლო მათი მათემატიკური ფორმულებისა და მნიშვნელობების შესახებ არაფერი გამეგებოდა. ჩემი მაშინდელი გამოანგარიშებები ვარდნის სიმაღლის მიახლოებითი გათვლებით შემოიფარგლებოდა და ეყრდნობოდა სხვადასხვა სახის ემპირიულ ცოდნას, რომლის მიხედვითაც, ვარდნა ძალიან ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო, ხოლო მინაზე დანარცხება – საკმაოდ ძლიერი (ავტ. შენიშვ.)

ლად ჩავიხედე ქვევით. ჩემი გათვლით, მანძილი სამი ჩემი სახლის სიმაღლისა უნდა ყოფილიყო – მიწიდან სახურავის წვერამდე. ე.ი. ოცდაათი მეტრის სიმაღლეზე უნდა ვყოფილიყავი. გალილეო გალილეის კანონის თანახმად, ჩემი მომავალი ვარდნის ხანგრძლივობა 2,4730986 წამი¹ უნდა გაგრძელებულიყო და, შესაბამისად, მიწას უნდა დავნარცხებოდი 87,34 კმ/სთ-ის სიჩქარით.²

დიდხანს ვიყურებოდი ქვემოთ. უფსკრულის სილრმე მიზიდავდა და მაცდუნებდა. თითქოს მიკიუნებდა: „ჰე, მოდი, მოდი!“ თითქოს უხილავ ძაფებს წყვეტდა: „მოდი, მოდი!“ და ეს მარტივი იყო, უმარტივესი. ცოტათი უნდა გადავზნექილიყავი, ოდნავ, სულ ოდნავ დამეკარგა წონასწორობა... დანარჩენი თავისთავად მოხდებოდა... „ჰე, მოდი, მოდი, ჩამოხტი!“

დიახაც, ჩავხტებოდი! ოღონდ ის ვერ გადამეწყვეტა, როდის გადავმხტარიყავი! ძალიან ზუსტი წამი უნდა შემერჩია, ერთი წერტილი, დროის ერთი წერტილი! ვერ ვიტყოდი, ახლავე, ამ წამსვე ვიზამ ამას-მეთქ!

გადავწყვიტე, სამამდე დამეთვალა, როგორც ყოველთვის ვაკეთებდი, როცა გასწრებაზე დავრბოდით ან სამ თვლაზე წყალში ვხტებოდით და ვყვინთავდით. ძალ-ღონე მოვიკრიბე და თვლა დავწყე:

„ერთი... ორი...“, მაგრამ ისევ შევჩერდი, რადგან არ ვიცოდი, თვალდახუჭული უნდა ჩავმხტარიყავი თუ თვალლია. ცოტა ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, თვალები დამეხუჭა და სამამდე დამეთვალა. სამ თვლაზე ჯერ კიდევ თვალდახუჭულს გამეშვა ხელი ტოტისთვის და მხოლოდ ვარდნის მომენტში გამეხილა თვალი. მოვჭუტე თვალები და შევუდექი თვლას: „ერთი... ორი...“ და უეცრად კაკუნი შემომესმა. ხმა გზიდან მოდიოდა. მკაფიო, ნელი რიტმი ჩემს თვლასთან ერთად ორმაგდებოდა: „ტუკ... ტუკ... ტუკ... ტუკ...“

თვლაზე „ერთი“ – „ტუკ“, მერე „ერთსა“ და „ორს“ შორის – ერთი „ტუკ“, მერე – „ორზე“, მერე – „ორსა“ და „სამს“ შორის... ზუსტად ისე, როგორც ფრონტის ფუნქციის მეტრონომი: „ტუკ... ტუკ... ტუკ... ტუკ...“ გეგონებოდა, ჩემი თვლის გამოძახილიაო. თვალი რომ გავახილე, კაკუნი იმწამსვე შეწყდა, მის მაგივრად შრიალი, ტოტების ტკაცატკუცი და ღრმა, პირუტყვისებრი ქშინვა გაისმა... და უეცრად ჩემ ქვეშ ბ-ნი ზომერი დავინახე, ოცდაათი მეტრის დაშორებით, ზუსტად ვერტიკალურად, ისე, რომ გავახილე, მხოლოდ მე კი არ დავიმტვრეოდი, მასაც ტყლაპივით გავაპრტყელებდი. ჩემს ტოტს ჩავებდაუჭე და გავისუსე.

ბ-ნი ზომერი უძრავად იდგა და ქშენდა. ცოტათი სული რომ მოითქვა, სუნთქვა შეიკრა და თავის აქეთ-იქით ტრიალს მოჰყვა, თითქოს რაღაცას აყურადებდა. მერე დაიხარა, ჯერ მარცხნივ შეიხედა ბუჩქებქვეშ, მერე მარცხნივ – ტოტებში. ინდიელივით ჩუმად შემოუარა ხეს, ისევ ძველ ადგილას დაბრუნდა, ისევ მიაყურადა და ირგვლივ თვალი მიმოავლო (ისე, რომ ზემოთ არც ამოუხედავს!) და, რომ დარწმუნდა, კაცის ჭაჭანება არ იყო და არავინ უთვალთვალებდა, სამი სწრაფი მოძრაობით მოისროლა ჭილის ქუდი, ჯოხი და ზურგჩანთა და, როგორც საკუთარ ლოგინში, ფესვებს შორის, პირდაპირ მიწაზე გაიშხლართა, მაგრამ ვერც ამ საწოლში მოისვენა, დაწოლაც ვერ მოასწრო, რომ ხანგრძლივი, შემზარავი ოხვრა აღმოხდა, არა, ეს არ იყო ამოხვრა, ყოველ ოხვრაში არის რაღაც შვებისმომგვრელი, ეს უფრო მიაგავდა ღრმა, გულისშემძვრელ გმინვას, რომელსაც ერთვოდა სასოწარკვეთა, განბილება და დაუოკებელი სურვილი ხსნისა. მეორედაც გაისმა იგივე ხმა, ტკივილისაგან გათანგული ავადმყოფის კვნესა, ისეთი, თმა ყალყზე რომ დაგიდგებოდა და მაინც არავითარი შვება, არავითარი მოსვენება, თუნდაც

ერთი წამით და, აი, ისევ წამოდგა, ისევ გაიშალა მხრებში, სტაცა ხელი თავის ზურგჩანთას, სწრაფად ამოაძრო იქიდან ბუტერბროდი, ლითონის ბრტყელი მათარა და ჭამას შეუდგა. უფრო სწორად, სანსლავდა, ბუტერბროდს პირში იტენიდა და ყოველი ჩაქბეჩისას აქეთიქით იხედებოდა, თითქოს მტერი ჩასაფრებოდა, თითქოს რაღაც საშინელი არსება მოსდევდა, რომელსაც, ის-ის იყო, ხელიდან დასძვრენოდა, ახლა კი უკვე წამოსწეოდა და ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა, აქ, ამ ადგილას გაჩენილიყო. ბუტერბროდი რაც შეიძლება სწრაფად შეყლაპა, მათარიდანაც შეხვრიპა და ახლა ყველაფერი დაემგვანა პანიკურ, აგონიურ გაქცევას: მათარა ჩააგდო ზურგჩანთაში, ზურგჩანთა სწრაფად მოიგდო მხარზე, ხელის ერთი მოსმით დასწვდა ჯოხსა და ქუდს და ქოშინ-ქოშინით მოკურცხლა. მირბოდა და მოისმოდა ბუჩქების ტოტების ტკაცატკუცი, ფოთლების შრიალი და მერე უკვე, მოასფალტებული გზიდან – მეტრონომის ხმის მსგავსი ჯოხის კაკუნი: „ტუკ, ტუკ, ტუკ, ტუკ...“ ხმა, რომელიც თანდათან ქრებოდა.

ვიჯეექი ჩემს ტოტზე, ფიჭვის მარჯს მიხუტებული და არ ვიციდი, როგორ აღმოგჩნდი ისევ აქ. ვკანკალებდი... მციოდა... უეცრად ძირს ჩახტომის სურვილიც გამიქრა. ახლა ეს სასაცილოდ მეჩვენებოდა. რამ მომაფიქრებინა ასეთი სისულელე! მომეკლა თავი ერთი უღვინტის გამო! აი, ახლა, ამ წუთს, ვნახე ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება სიკვდილს გაურბოდა.

ასე, ხუთი-ექვსი წელი იქნებოდა გასული, ბატონი ზომერი კვლავ რომ ვნახე და, როგორც ჩანს, უკანასკნელად. ადრე, ცხადია, შორიდან ხშირად ვხედავდი ან კი როგორ ვერ დაინახავდი, როცა მუდამ გზას ადგა – სოფლის შარაზე თუ ტბასთან ახლოს მდებარეორბებში, ტრიალ მინდორსა თუ

ტყეში, მაგრამ დიდად ვერც კი ვამჩნევდი. ასე მგონია, ვერც ვერავინ ამჩნევდა, რადგან მას, უბრალოდ, ისე ხშირად ხედავდნენ, რომ არც აქცევდნენ ყურადღებას. როგორც ლანდშაფტის ერთ-ერთ ნაცნობ დეტალს, რომლის დანახვისას არავის მოუვა თავში, ყოველ ჯერზე იყვიროს: „შეხედეთ, აი, სამრეკლო! აი, იქ სკოლის გორაა! შეხედეთ, ომნიბუსი მოდის!..“ დიდი-დიდი, როცა მამასთან ერთად კვირას დოლზე წავიდოდი, გზად რომ წამოვენეოდით, სხვათა შორის, გართობის მიზნით, შეიძლებოდა გვეთქა: „შეხედეთ, ბ-ნი ზომერი! ეს კაცი თავს მოიკლავს!“ და ამის თქმისას სინამდვილეში მასზე კი არ ვფიქრობდით, არამედ ჩვენს მოგონებაზე, იმ დღეზე, როცა მამაჩემ-მა მრავალი, მრავალი წლის წინ, იმ საშინელი სეტყვის დროს ეს ბანალური ფრაზა გამოიყენა.

ვიღაცისგან გაგონილი გვქონდა, რომ ბ-ნი ზომერის თოჯინების მკეთებელი ცოლი უკვე გარდაცვლილიყო, მაგრამ არავინ იცოდა, როდის ან სად. არც დაკრძალვას დასწრებია ვინმე. ზომერი აღარ ქირაობდა მღებავ შტანგლმაიერის სარდაფს, ახლა იქ რიტა და მისი ქმარი ცხოვრობდნენ, ზომერი კი რამდენიმე სახლის იქით, მეთევზე რიდლის სხვენში დასახლდა. როგორც მოგვიანებით ფრაუ რიდლმა თქვა, იგი იქ ძალიან იშვიათად რჩებოდა, მხოლოდ წასახემსებლად ან ჩასალევად თუ შეირბენდა, მერე კი ისევ სადღაც მირბოდა. ხშირად მთელი დღეებით იკარგებოდა, შინ დასაძინებლადაც კი არ ბრუნდებოდა. სად იყო, სად ათევდა ღამეებს, ეძინა კი საერთოდ, თუ მთელი ღამეები დაეხეტებოდა, ეს ღმერთმა უწყოდა და არც არავის აინტერესებდა. ახლა ყველას სხვა დარდი ჰქონდა. ისინი ფიქრობდნენ თავიანთ ავტომობილებზე, თავიანთ სარეცხის მანქანებზე, თავიანთ გაზონების მოსარწყავ დანადგარებზე,

მაგრამ არა იმაზე, თუ სად აფარებდა თავს ლამ-ლამობით მოხეტიალე ბერიკაცი. ისინი არჩევდნენ, რა მოისმინეს რადიოთი ან რა ნახეს ტელევიზით. ლაპარაკობდნენ ფრაუ ჰირტის ახალ თვითმომსახურების მაღაზიაზე და არაფერს ბ-ნ ზომერზე! ბ-ნი ზომერი დროდადრო კი ხვდებოდათ თვალში, მაგრამ ადამიანების ცნობიერებაში იგი აღარ არსებობდა. ბ-ნი ზომერის დრო, როგორც იტყვიან, ამონურულიყო? მაგრამ ჩემი ხომ არ ამონურულა?! მე ფეხდაფეხ მივდევდი დროს. ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობდი, რომ გავუსწარი კიდეც მას! სიმაღლით დაახლოებით მეტრი და სამოცდაათი ვიყავი, 49 კგ-ს ვიწონიდი, 41 ზომა ფეხსაცმელს ვატარებდი. ცოტაც და გიმნაზიის მე-5 კლასში გადავიდოდი. ძმები გრიმების ყველა ზღაპარი წაკითხული მქონდა, ამას ემატებოდა ნახევარი მოპასანი. ნახევარი სიგარეტიც მქონდა მოწეული და კინოთეატრში ორი ფილმიც მქონდა ნანახი ავსტრიის დედოფალზე. ცოტაც და მოსწავლის ბილეთსაც ავიღებდი, სანუკვარი წითელი ბეჭდით – „16 წლის ზევით“, რომელიც მომცემდა უფლებას, მევლო ფილმებზე ასაკის შეუზღუდავად, ხოლო საზოგადოებრივ კაფეებში 22 საათამდე – „მშობლებისა და აღმზრდელების“ თანხლების გარეშე. უკვე შემეძლო, ამომეხსნა სამუცნობიანი განტოლებები, დამემზადებინა საშუალო ტალღების მისაღები კრისტალური დეტექტორი, ზეპირად მეთქვა „De bello Gallico“-ს დასაწყისი და „ოდისევისი“ ჰირველი ტაეპები, თუმცა ამ უკანასკნელიდან ბერძნულად ერთი სიტყვაც არ მისწავლია. ფორტეპიანოზე

დიაბელისა და ავადსახსენებელ ჰესლერს აღარ ვუკრავდი; ბლუზისა და ბუგი-ვუგისთან ერთად ისეთ გამოჩენილ კომპოზიტორებსაც ვასრულებდი, როგორებიც იყვნენ: ჰაიდნი, შუმანი, ბეთჰოვენი ან შოპენი, ხოლო ფროილაინ ფუნკელის მიერ დროდადრო ატეხილ მძინვარების შემოტევებს სტოკურად ვუმელავდებოდი და გულში მეცინებოდა კიდეც.

ხებზე თითქმის აღარ დავცოცავდი. სამაგიეროდ, საკუთარი ველოსიპედი მყავდა, უფრო სწორად, ჩემი უფროსი ძმის სამსიჩქარიანი და სპორტულსაჭიანი ველოსიპედი, რომლითაც ერთხელ ძველი 13,5-წუთიანი რეკორდული მაჩვენებელი უნთერნზეედან ფუნკელის ვილამდე 12 წუთსა და 55 წამში დავფარე და წინა რეკორდი სულ ცოტა 35 წამით შევამცირე – დრო საკუთარი მაჯის საათის წამზომით ავთვალე და, საერთოდ, ძალიან მოკრძალებულადაც რომ ვთქვათ, ბრწყინვალე ველოსიპედისტად ჩამოვყალიბდი, არა მხოლოდ გამძლეობისა და სიჩქარის განვითარების, არამედ ლამაზად ტარების თავლსაზრისითაც. საჭისთვის ხელგაშვებული ტარება მოსახვევებშიც, ასევე, მოხვევა ადგილზევე ან უეცარი დამუხრუჭებით, ყოველივე ეს ჩემთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა. ის კი არა, გაქანებული ველოსიპედის საბარგულზე ფეხით შედგომაც შემეძლო. ეს იყო სრულიად უაზრო, მაგრამ არტისტიზმის თვალსაზრისით შთამბეჭდავი სანახაობა, რომელიც მოწმობდა ჩემს უსაზღვრო მოწინებას ზემოთ ხსენებული ბრუნვის მექანიკური იმპულსის შენახვის კანონის მიმართ. ჩემი სკეპ-

1 „იყო წელინადში ის ერთადერთი დღე, როცა ტელევიზორი არც თვალებს ვნებდა და არც საყოველთაო გამოთაყვანებას იწვევდა. ივლისის დასაწყისის სწორედ ამ დღეს ჰამბურგ-ჰორნის იპოდრომიდან გადმოიცემოდა „გერმანული დერბი“. ამ მოვლენის აღსანიშნავად მამაჩემი რუხი ფერის ცილინდრს იხურავდა, ობერზეეში მიხელების ოჯახში მიდიოდა და გადაცემას იქ უყურებდა“ (ავტ. შენიშვნა).

სისი ველოსიპედის ტარებასთან დაკავშირებით, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, საბოლოოდ გაქრა. მე გახლდით გულანთებული ველოსიპედისტი და ახლა ეს თითქმის იგივე იყო, რაც ფრენა.

ცხადია, ცხოვრების ამ ეტაპზეც იყო ისეთი რამეები, რაც სიცოცხლეს მიმწარებდა, განსაკუთრებით კი: ა) მეკრძალებოდა ულტრამიკროტალლოვან რადიომიმღებთან მიკარება, ანუ არ მეძლეოდა საშუალება, მომესმინა დეტექტორი რადიოპიესები, რომლებიც ოთხშაბათობით 10-იდან 11 საათამდე გადაიკემოდა და ამიტომ იძულებული ვიყავი, მათი შინაარსი გაცილებით უფრო ცუდად, უფრო სწორად, არაზუსტად, მეორე დილით სკოლის ავტობუსში მომესმინა ჩემი ამხანაგის-

გან, კორნელიუს მიხელისგან; და ბ) ის ფაქტი, რომ ჩვენ არ გაგვაჩნდა ტელევიზორი. „ჩემს სახლში ტელევიზორი არ იქნება, რადგან ის ასამარებს საოჯახო მუზიცირებას, ვნებს მხედველობას, ანგრევს ოჯაზურ ცხოვრებას და, საერთოდ, იწვევს საყოველთაო გამოთაყვანებას!“ – ასეთი იყო ვერდიქტი მამაჩემისა, რომელიც იმ წელიწადს დაიბადა, როცა ჯუზებე ვერდი გარდაიცვალა.¹

სამწუხაროდ, დედაჩემი არ ეწინააღმდეგებოდა ამ საკითხში. ასე რომ, მეჩემს მეგობარ კორნელიუს მიხელთან ყოფნა მიწევდა, რათა ზოგჯერ მაინც ვზიარებოდი კულტურის ისეთ მონაპოვრებს, როგორებიცაა: „დედა ყველას სჯობს“, „ლესი“ და „ჰირამ ჰოლიდეის თავგადასავალი“.

ყოვლად გაუაზრებლად, ყველა ეს გადაცემა საღამოს პროგრამაში გადიოდა და ზუსტად 8 საათზე მთავრდებოდა, როცა უკანასკნელი ცნობების დრო დგებოდა და სწორედ ამ დროისთვის მე, უკვე ხელდაბანილი, სავახშმოდ სუფრას უნდა მივჯდომოდი, მაგრამ, რადგან ერთდროულად ორ სხვადასხვა ადგილას ყოფნა შეუძლებელია, მით უფრო, რომ მათ შორის მანძილის დასაფარავად შვიდ-ნახევარი წუთი იყო საჭირო, რომ არაფერი ვთქვათ ხელის დაბანაზე, ჩემი სატელევიზიო ავანტიურები გამუდმებით კლასიკური სახის კონფლიქტს იწვევდა მოვალეობასა და გატაცე-



ბას შორის და მე ან გადაცემის დამთავრებამდე შვიდწუთ-ნახევრით ადრე უნდა წავსულიყავი შინ და გამომეტოვებინა დრამატული კოლიზიების კვანძის გახსნის მომენტი ან ბოლომდე დავრჩენილიყავი და შვიდწუთ-ნახევარი დამეგვიანა ვახშამზე, რაც დედას-თან სკანდალსა და ტელევიზიის გამო ოჯახური ცხოვრების ნგრევის თაობაზე მამაჩემის ტრიუმფალურ მოხსენებებს მიქადდა. საერთოდ, ასე მგონია, ჩემი ბიოგრაფიის ეს ფაზა ასეთი და ამგვარი კონფლიქტებით გამოირჩევა. გამუდმებით ვალდებული ვიყავი: „უნდა მექნა! არ უნდა მექნა! უკეთესად უნდა მექნა!..“ მუდამ რაღაცას მოელოდნენ ჩემგან, მოითხოვდნენ, ბრძანებდნენ: „ეს ქენი! ის ქენი! ის არ დაგვინყდეს! ეს გააკეთე? იქ უკვე იყავი? რატომ დააგვიანე?..“ სულ ზენოლა, გაუთავებელი შევინროება, გამუდმებული დროის უქონლობა, დაგვიანების გამო დატუქსვა. იშვიათად თუ მანებებდნენ თავს, მაგრამ არ ვაპირებ წუწუნს და ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი კონფლიქტების ჩამოთვლას. ახლა, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, კეთა მომეფხანა, ერთი-ორჯერ შუა თითი ჩუმად მიმეკაუნებინა გარკვეულ ადგილას და გონება იმაზე გამემახვილებინა, რისი მოყოლის სურვილიც მაქვს, კერძოდ, როგორ შევხვდი უკანასკნელად ბ-ნ ზომერს და მასთან ერთად დამეტავრებინა მისი და მთელი ეს ისტორია.

ეს შემოდგომაზე მოხდა, კორნელიუს მიხელთან ერთ-ერთი სატელევიზიო საღამოს შემდეგ. მოსაწყენი გადაცემა იყო, დასასარული წინასწარ ვიცოდი და რვას ხუთი წუთი უკლდა, მიხელების სახლიდან რომ გავედი, რათა შეძლები-სდაგვარად ვახშმისთვის მიმესწრო.

მინაზე ბინდი კარგა ხნის ჩამონილი იყო, მხოლოდ დასავლეთით, ტბის თავზე შერჩენდა ცას მონაცრისფრო ფერი. შუქი არ მენთო, ჯერ ერთი იმი-ტომ, რომ სანათური გამუდმებით დამ-

ტვრეული იყო (ნათურა იქნებოდა ეს თუ კაბელი). მეორე მხრივ კი, ჩართული გენერატორით ბორბლის ბრუნვის სიჩქარე საგრძნობლად იკლებდა და უნთერნზეემდე ერთ წუთზე მეტი ხნით დავაგვიანებდი. ამასთანავე, შუქი სულ არ მჭირდებოდა, გზას თვალდახუჭულიც მივიკვლევდი, თანაც, ყველაზე კუნაპეტ ლამეშიც კი ვინორ ქუჩის ასფალტი უფრო ჩამუქებული ჩანდა, ვიდრე გზის ერთ მხარეს ეზოს ღობები და მეორე მხარეს ბუჩქები, ასე რომ, საჭირო კურსს რომ არ ავცდენოდი, ყველაზე მუქ ზოლზე უნდა მევლო.

ჰოდა, ასე მივეროდი ახლად შებინდებულზე, საჭიროების გადაზნექილი, მესამე სიჩქარით. ყურებში ქარი მიწუოდა, გრილოდა, ნესტი იგრძნობოდა და დროდადრო კვამლის სუნი მცემდა.

დაახლოებით შუა გზაზე – ამ ადგილას გზა ტბას ოდნავ სცილდებოდა და მოკლე მანძილზე გარს უვლიდა ხრეშის კარიერს, რომელსაც უკან ტყე ერტყა, ჯაჭვი ამომივარდა. ზამბარა წესიერად ვერ ჭიმავდა ჯაჭვს და, სამწუხაროდ, ეს დეფექტი ხშირად იჩენდა თავს, თუმცა სხვა მხრივ სიჩქარის გადამრთველი არაჩეულებრივად ფუნქციონირებდა. ნასადილევს ბევრი ვეცადე, ეს პრობლემა მომეგვარებინა, მაგრამ ვერ შევძლი. გავჩირდი, ველოსიპედიდან ჩამოვხტი და უკანა ბორბალთან დავიხარე, რომ ჩარჩოსა და თვალს შორის გაჩერილი ჯაჭვი კბილანებიან თვალზე გადამეჭიმა, თანაც პედალს ნელა ვატრიალებდი. ეს პროცედურა ჩიმთვის ისეთი ჩვეული რამ იყო, რომ სიბნელეშიც ადვილად ვართმევდი თავს. თითები რომ ძალიან მეთხუპნებოდა, არ მსიამოვნებდა, ამი-ტომ, გავჭიმე თუ არა ჯაჭვი, ტბისკენ, გზის გაღმა გადავედი, რომ ნეკერჩელის დიდი შერალი ფოთლებით ხელები გამეწ-მინდა. ტოტები რომ ჩამოვქაჩე, თვალწინ დიდი, კრიალა სარკესავით ტბის ხედი გადამეშალა და ამ სარკის კიდეზე ბ-ნი ზომერი იდგა.

ერთი შეხედვით, მომეჩვენა, რომ ფეხსაცმელი არ ეცვა, მაგრამ მერე დავინახე, ჩექმებს წყალი უფარავდა. ჩემკენ ზურგით იდგა, ნაპირიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. დასავლეთს გაჰყურებდა, გალმა ნაპირს, საითაც მთებს ჯერ კიდევ დაპირობათ ოქროსფერი სხივების უკანასკნელი ნათელი. იდგა, სვეტივით უძრავი, როგორც მუქი სილუეტი ტბის კრიალა სარკის წინ, მარჯვენა ხელში გრძელი, გალუნული ჯოხით და თავზე ჭილის ქუდით.

მერე რატომდაც უეცრად ამოძრავდა. მიაბოტებდა, ყოველ მესამე ნაპიჯზე ჯოხს წინ და უკან იქნევდა და ასე შევიდა ტბაში. ტბის შუაგულისკენ მიიწევდა, პირდაპირ დასავლეთისკენ, გეგონებოდა, თავისი ჩერეული მიზანდასახული აჩქარებული ნაბიჯით მიწაზე დადისო. ამ ადგილას წყალი დაბალი იყო და ნელ-ნელა ღრმავდებოდა. ოცი მეტრი რომ გაიარა, წყალი მხოლოდ თეძომდე სცემდა, ხოლო, როცა მკერდამდე აუვიდა, ნაპირს უკვე ნასროლი ქვის მანძილით იყო დაშორებული. მიდიოდა და მიდიოდა, წყალი წინ ელობებოდა და ნელა მიიწევდა შუაგულისკენ, მაგრამ შეუჩერებლად, წამითაც არ უყოფმანია, უდრეკად, თითქოს დახარბებულად. ნაბიჯს უმატა, რადგან წყალი ხელს უშლიდა, ბოლოს ჯოხიც გადააგდო და ხელებს ნიჩებივით უსვამდა.

ნაპირზე ვიდექი და თვალებდაჭყეტილი და პირდაფჩენილი მივშტერებოდი. ალბათ, ისე გამოვიყურებოდი, როგორც ადამიანი, რომელსაც წარმტაც ამბავს უამბობენ. არ შემშინებია, გაოგნებული უფრო ვიყავი იმით, რასაც ვხედავდი და ვერ გამეგო, რა ხდებოდა. თავდაპირველად მეგონა, იქ იმიტომ იგდა, წყალში რაღაც დაკარგა და

ეძებს-მეთქი, მაგრამ, ვინ ეძებს წყალში რამეს ჩექმებიანად?! მერე, როცა წინ წავიდა, გავიფიქრე, ახლა გაცურავს-მეთქი, მაგრამ, ვინ ბანაობს ტანსაცმლიანად, თანაც ღამით, ოქტომბერში?! ბოლოს კი, სულ უფრო და უფრო ღრმად რომ შევიდა წყალში, აბსურდულმა აზრმა გამიელვა: გადაცურვა კი არა, ფეხით უნდოდა ტბაზე გავლა; ერთი წამითაც არ დამიშვია, რომ გაცურავდა. ბ-ნი ზომერი და ცურვა – ეს ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო. არა! ფეხით გაბოტავს, წყლის ფსკერით გაივლის, ასი მეტრის სილომეზე, ხუთ კილომეტრს გალმა ნაპირამდე.

აი, წყალი უკვე მხრებამდე სწვდებოდა, ახლა კისრამდე... ის კი სულ უფრო და უფრო წინ მიიწევდა, სულ უფრო ღრმად შედიოდა ტბაში... ერთხელ კიდევ აიწია, თითქოს ამოიზარდა, როგორც ჩანს, ფსკერი იყო უსწორმასწორო, კიდევ ერთხელ ამოიწია მხრებამდე... და განაგრძო გზა. ახლაც არ შეჩერებულა, უფრო წინ წავიდა და სულ უფრო და უფრო იძირებოდა, კისრამდე, ყელამდე, ნიკაპამდე... და მხოლოდ ახლა მივხვდი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ არც გავნძრეულვარ და არც დამიყვირია: „ბატონოზომერ! შეჩერდით! დაბრუნდით!“ დახმარების სათხოვნელად აქეთ-იქით არ მირებინა, არც სამაშველო ნავი მიძებინა ან ტივი, ან გასაპერი ლეიპი. ერთი წამით არ მომიშორებია თვალი პატარა წერტილისთვის – ზომერის თავისითვის, სადღაც იქ, შორს, თანდათან რომ უჩინარდებოდა.

მერე, ერთ მშვენიერ წამს, საერთოდ გაქრა. მხოლოდ ჭილის ქუდი ტივტივებდა წყალზე. დიდი ხნის შემდეგ, ასე, ნახევარი ან მთელი ერთი წუთის მერე, წყლის ზედაპირზე საზარლად

1 გერმანულად – Sommergäste – ზომერგესთე (მთარ. შენიშ.)

ამობუყბუყდა ჰაერის რამდენიმე ბუშტულა და მეტი აღარაფერი. მოჩანდა მხოლოდ ის სასაცილო ქუდი, წყალს მდორედ რომ მიჰქონდა სამხრეთ-დასავლეთისკენ. დიდხანს გავყურებდი, ვიდრე იგი ჩამონალილმა ბინდმა არ შთანთქა.

მთელი ორი კვირა გამოხდა, სანამ ბ-ნი ზომერის გაუჩინარება არ შეამჩნიეს. პირველად უმისობა თვალში მეთევზე რიდლის ცოლს მოხვდა, რომელსაც თავისი სხვენის ქირის გადაუხდელობა ადარდებდა. მას შემდეგ, რაც ბ-ნი ზომერი მთელი ორი კვირა არ გამოჩენილა, ფრაუ შტანგლმაიერს შეატყობინა, ფრაუ შტანგლმაიერმა ფრაუ ჰილტს ჰკითხა, ამ უკანასკნელმა კი თავის მყიდველებში გაიკითხა, მაგრამ, რადგან ბ-ნი ზომერი არც არავის ენახა და არც მისი ადგილსამყოფელი იცოდა არავინ, მეთევზე რიდლმა გადაწყვიტა, მომდევნო ორი კვირის თავზე ბ-ნი ზომერის გაუჩინარების ამბავი პოლიციისთვის შეეტყობინებინა. რამდენიმე კვირის მერე ადგილობრივი გაზეთის ერთ-ერთ რუბრიკაში დაიბეჭდა მოკლე ცნობა პასპორტის ძველისძველი ფოტოთი, რომელზეც კაციშვილი ვერ ამოიცნობდა ბ-ნ ზომერს, რადგან მასზე გამოსახული იყო ახალგაზრდა მამაკაცი, სქელი შავი თმითა და ჯიქური მზერით, რომელსაც ბაგეზე ოდნავ უტიფარი ღიმილი დასთამაშებდა. ფოტოსთვის პირველად და უკანასკნელად მიეწერათ ქვეშ ბ-ნი ზომერის სრული სახელი და გვარი: მაქსიმილიან ერნსტ ეგიდიუს ზომერი.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ბატონი ზომერის იდუმალებით მოცული გაუჩინარების ამბავი სოფლის მითქმა-მოთქმის მთავარი თემა იყო. „სულ მთლად გაგიუდა“, – ამბობდა ზოგიერთი. – „ეგებ გზა აებნა და შინ ვეღარ ბრუნდება. ვინძლო, დაავიწყდა კიდეც,

ვინ არის და სად ცხოვრობს?!“.

„იქნებ ემიგრაციაში წავიდა, – ამბობდნენ სხვები. – კანადაში ან ავსტრალიაში. როგორც ჩანს, თავისი კლაუსტროფობის გამო აქ, ჩვენთან, ევროპაში სული ეხუთებოდა“.

„სადღაც მთაში დაიკარგა და გადაიჩება“, – ამატებდნენ სხვები.

ტბასთან არავინ მისულა. გაზეთის ფურცელი ჯერ არც კი გაყვითლებულიყო, ზომერი ყველას რომ გადაავინყდა. მასზე გული არავის დასწყვეტია. ფრაუ რიდლმა მოაქუჩა მისი რამდენიმე ნივთი, მიყარა სარდაფის ერთ კუთხეში და ოთახი ზაფხულის დამსვენებლებს მიაქირავა, მაგრამ მათ აღარასოდეს უწოდებდა „ზაფხულის დამსვენებლებს“,¹ რადგან ეს ძალიან უცნაურად ეჩვენებოდა. ქალაქელი დამსვენებლები ან ტურისტებიო, ასე ამბობდა.

მე კი ვდუმდი. კრინტიც არ დამიძრავს. არც იმ დღეს მითქვამს არაფერი, როცა შინ მისვლა დამაგვიანდა და იძულებული გავხდი, ტელევიზიის მავნე გავლენის შესახებ ლექცია მომეს-მინა. მერეც არ დამცდენია სიტყვა. არც ჩემი დისტვის, არც ჩემი ძმისთვის, არც პოლიციისთვის, არც კორნელიუს მიხელესთვის გამინდვია არაფერი...

არ ვიცი, რამ მაიძულა, ასე ჯიუტად რომ ვდუმდი და ასე დიდხანს, მაგრამ, მგონია, ეს არ იყო შიში ან დანაშაულის შეგრძნება, ან სინდისის ქენჯნა. ეს იყო ტყეში მოსმენილი გმინვის გახსენება, წვიმაში აცახცახებული ყბისა და მუდარის მოგონება: „დამანებეთ თავი, ბოლოს და ბოლოს!“. მოგონება იმისა, რამაც მაშინ დამადუმა, როცა ვხედავდი, თანდათან როგორ იძირებოდა წყალში ბატონი ზომერი.

**გერმანულიდან თარგმნა
ხათუნა თოდუამ**

ოოსებ ჭუმბურიძე



„დაუმთავრებელი“ მთლიანობა შტრიხები ზურაბ ნიშარაძის პოლიტიკური მისივე მასტრკლასების ფონზე

ზურაბ ნიშარაძეზე წერა არც ძნელია და არც ადვილი.

უფრო სარისკოა.

არ უნდა შეგვაცდინოს მისმა არის-ტოკრატიულმა ბუნებამ და სამაგალითო მიმტევებლობამ.

იშვიათან შემხვედრია უფრო კაც-თმოყვარე პიროვნება, თუმც:

თუ რაიმე არ მოეწონება, პრიმიტიულად, ხელოვნურად, გაუგებრად ან პუნდოვნად მოეწვენება, შეიძლება, არაფერი თქვას, მაგრამ თავზე ისე შემოიდოს ხელი, როგორც აქ დართულ პირველ ფოტოზეა.

ეს კი ყოველგვარ კომენტარზე უფრო საშიშია.

ასე დღეს თითქმის აღარავინ აღარავის უსმენს.

ნოდარ ტაბიძემაც ზუსტად ასეთი მოსმენა იცოდა.



ზურაბ ნიშარაძესთან იმისთვის უნდა მიხვიდე, რომ იქით მოუსმინო.

რამდენჯერ მინანია, რომ მასთან ჩამნერით არ მივსულვარ.

რამდენჯერ ვერ გამოვიყენე სანატ-რელი შესაძლებლობა, ჩამნერა მისი უაღრესად საინტერესო მოსაზრებები.

ზედმეტად ვენდე მეხსიერებას, ჩემს მეგობრებს, ერთ დროს, ფენომენალურად რომ ეჩვენებოდათ.

აქ მარკესის სიყვარულმაც იმოქმედა. ნობელიანტი მწერალი, უურნალისტიკას სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნანილი რომ დაუთმო, ვერ იტანდა ჩამნერს, რომელსაც „ესმის, მაგრამ ვერ აზროვნებს, ერთგულია, მაგრამ გული არა აქვს.“



კიდევ ერთი დამახასიათებელი უესტი: ისევ თავზე შემოდებული ხელი, ოლონდ, სულ სხვა განზრახვით – როცა საინტერესო ადამიანს უსმენს.

არაჩვეულებრივი მოსმენა იცის.

ზურაბ ნიუარაძის აზრები კი გულით უნდა მოისმინო და გონებით აღიქვა.



გული და გონება მით უფრო სჭირდება ზურაბ ნიუარაძის ნახატების აღქმას.

არაერთი ხელოვანი თუ ხელოვნებათმცოდნე აუცილებლად იტყვის, რომ მათ აღქმა-გაანალიზებას სათანადო ცოდნაც სჭირდება, მაგრამ მთავარი მაინც ის მგონა, რაზეც აკაკი გაწერელია მიგვითითებს: „მხატვრული ნაწარმოები „ჩონჩხი“ არაა... ქმნილებათა



„მიკროანალიზი“ ვერაფერს გვეტყვის, თუ ჩვენი სული ვერ აივსება მათგან მომდინარე ემოციური შთაბეჭდილებებით“.

რა ზუსტად ეხმიანება ეს სიტყვები თვითონ ზურაბ ნიუარაძის შემოქმედებით კრედოს, რომელიც ერთ-ერთ საუბარში ასე ჩამოაყალიბა:

„უძველესი ადამიანების კლდეზე ამოკვეთილი ნახატები, იმ ადამიანებისა, რომელთაც არც ანატომია შეუსწავლიათ და არც არანაირ მეცნიერებას არ დაუფლებიან, მშვენიერია...“

გამომსახველობითი... შთაბეჭდავი... დღემდე ვერავინ შეძლო მათზე უკეთესის შექმნა. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ქმნიდნენ გაუცნობიერებლად, შთაბეჭდილების, დაკვირვების შედეგად და არა საგნის ნაწილ-ნაწილ შესწავლით, თითქოს, ამ საგანს აანალიზებდე“.

ბარემ პაბლო პიკასოც აქვე დავი-მოწმოთ.

როცა ალტამირას გამოქვაბულის მხატვრობა უნახავს, ალტაცებულს უთქვამს, ფერისა და კომპოზიციის თვალსაზრისით, თანამედროვე მხატვრებმა იმაზე მეტი არაფერი ვიცით, რაც მათ იცოდნენ...

და სხვა რა არის მხატვრობა, თუ არა ფერი და კომპოზიცია?! ●

„მოხუცი მამლით“...

წარმომიდგენია, როგორ აღწერენ ხელოვნებათმცოდნენი ამ მრავალპლანიან ფერწერულ ტილოს, რაგვარ „მიკროანალიზის“ ჩაუტარებენ, მაგრამ ლრმად მჯერა: „უცოდნელის“ სული უამისოდაც აიგვება ამ ნახატიდან

გადმოღვრილი სიხარულით. ეს ის „მოგიზგიზე სიხარულია“, თემურ ქორიძემ ანა კალანდაძის შემოქმედების ერთ-ერთ გამსაზღვრელ თვისებად რომ აღიარა. კოტე მარჯანიშვილსაც ხომ ხელოვნების დანიშნულება, საბოლოო ჯამში, ამ „უბრალო“ მიზნამდე დაჰყავდა: „მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“.

ზურაბ ნიუარაძე კი ხელოვნების დანიშნულებას ასე განმარტავს:

„ხელოვნებას იგივე მიზანი აქვს, რაც მორალს, ოღონდ, იქ ეთიკურ ნორმებს

გამოიმუშავებენ, აქ კი – ესთეტიკურს. იქ გვაქვს პასუხი კითხვაზე: რა არის ზნეობრივი? აქ კი კითხვა ასე დაისმის: რა არის მშვენიერი?“

●
და, მაინც... ზურაბ ნიუარაძის დი-
დი და მრავალმხრივი შემოქმედება, რა
თქმა უნდა, სერიოზულ პროფესიულ
განსჯას საჭიროებს.

რამდენიმე წარმატებული მცდელო-
ბის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ
ეს მაინც მომავლის საქმეა.

ზურაბ ნიუარაძეზე ვერავინ იტყვის,
რომ ეს საკითხი დიდად აღელვებს.

ის არაფრით ეხმარება საკუთარ შე-
მოქმედებას.

ის ხატავს, რადგან ეს მისი საქმეა,
ამისთვის არის გაჩენილი.

●
თურმე ტიციანს ხშირად გამოჰქონ-
და მზეზე ჯერ კიდევ დაუმთავრებელი
ტილოები. ვაზარი შენიშნავს: ერთხელ
ვნახე, თუ როგორ გამოეფინა ტიციანს
თავისი ქალიშვილის პორტრეტი, ყვე-
ლას რომ ენახა მისი სილამაზეო.

აქ თვით ვაზარიც კი ცდება, – მით-
ხრა მხატვარმა ფარნაოზ ლაპიაშვილმა.
– გენიალურ ფერმწერს უნდოდა, მზეს
დაეჩქარებინა პორცესი, რაც ტილოზე
მისთვის სასურველი ფერის მისაღებად
იყო საჭირო.

ზურაბ ნიუარაძეს თავისი უდავო შე-
დევრად აღიარებული „ანას პორტრე-
ტი“ ამ მიზნ(ებ)ით მზეზე არასოდეს
გამოუტანია და უკვე რამდენი ათეული
წელია, რამდენ თაობას აჯადობს იგი
ფერებითა და „მონა ლიზასეული“ იდუ-
მალებით.

მხატვარს არც სხვა ნახატების „და-
სამთავრებლად“ მიუმართავს ციური
მნათობისთვის. ამის მიუხედავად, მზე
ყველა მათგანზეა აღჭეჭდილი – ადა-
მიანში, ფრინველში, ყვავილში, ყოველ
მონასმში...

●

მაინც რა არის ფერწერა?

ზურაბ ნიუარაძის აზრით, ფერწერა
და საერთოდ ხელოვნება, ეს არის მა-
სალის გაცოცხლება. ხელოვანმა ისევე
უნდა გამოკვეთოს მასალის არსი, რო-
გორც ნახშირიდან გამოჰყავთ ბრილი-
ანტი.

რუსმა ხელოვნებათმცოდნე დიმიტ-
რი ბერკუტოვმა, რომელმაც მოახერხა
ზურაბ ნიუარაძის მასტერკლასის ჩაწე-
რა (ეჭვი მაქვს, მარკესისთვის საძულ-
ველი ჩამწერის საშუალებით), ერთგან
თითქოს გამოიჭირა მხატვარი.

მაგრამ ზურაბ ნიუარაძის „გამოჭე-
რა“ თითქმის შეუძლებელია.

მხატვარი უუბნება, რომ ფერწერა
ნაწილ-ნაწილ აღწერის დაძლევა და
მთლიანის ჩვენებაა.

ხელოვნებათმცოდნე ჰკითხავს: მა-
შინ თვალებს რა ვუყოთ?

წყალგაუვალი პასუხი:

„თვალები ყველაზე უფრო მეტყვე-
ლია და ამიტომაც ჩვენი ინტერესის
მთავარი საგანია. და რაც ჩვენი ინტე-
რესის მთავარი საგანია, არის მთელი,
მნიშვნელოვანი. ამ დროს ყოველივე
დანარჩენი მეორეხარისხოვნად იქცე-
ვა. თუ სახლი მაინტერესებს, მაშინ ეს
მთლიანი – ეს არის სახლი, თუ ფან-
ჯარა მაინტერესებს, ფანჯარა იქცევა
უმთავრესად. თუ ყველაფერს ერთმა-
ნეთის მიყოლებით აღწერენ, ეს უკვე
აღარ არის ხელოვნების ენა. სახე იქ-
მნება მხოლოდ მაშინ, როცა დეტალები
მთავარს ეკვემდებარება, როცა მთელი
უფრო გამომსახულობითია, ვიდრე მი-
სივე დეტალი.“

როცა ამას ვკითხულობ, თვალწინ
მიდგება სოფიკო ჭიაურელის პორტრე-
ტი.

როგორ არ ჰგავს და როგორ ჰგავს?!

რა მეტყველია მისი თვალები?!

რა მთლიანია თვითონ ნახატი?!

●

საკუთარ მეხსიერებასაც სულ ამაო-
დაც არ ვენდობოდი.

არასოდეს დამავიწყდება ერთი ნი-
ჟარაძისეული მასტერკლასი, როგორიც
ასევე მთელისა და დეტალის ურთიერ-
თმიმართებას შექებოდა:

„თუ ადამიანის ცხვირს ცალკე წარ-
მოვიდგენთ და არა როგორც მთლიანის
შემადგენელს, სიმახინჯეს მივიღებთ.
სამხატვრო აკადემიის სტუდენტს დაუ-
დებენ ფიგურას და ეტყვიან – გადახა-
ტეო. ისიც ყველა დეტალს ცალ-ცალკე
იხატავს. რექტორი რომ ვიყავი, სწო-
რედ ამას დავუპირისპირდი. ამიტომაც
ამიჯანყდა აკადემია“.

და მე ის კი არ მიკვირს, აკადემია
რომ აუჯანყდა, არამედ ის, თუ როგორ
გახდა იმ აკადემიის რექტორი, საიდა-
ნაც ურჩი სტუდენტის სტატუსით გა-
რიცხეს?!



ზურაბ ნიუარაძე არაერთხელ მინა-

ხავს მუშაობისას.

მინახავს, როგორ ფიქრობს, როგორ
არჩევს ფერებს, როგორ ეწევა და რო-
გორ სვამს.

სხვათა შორის, მგონია, რომ სმა კი
არ უყვარს, არამედ ლვინო.

მიხარია, რომ ამით მაინც ვგავარ
ჩემს უსაყვარლეს ხელოვანს.

ერთხელ „აფროდიტეს“ ხატვას შე-
ვესწარი.

ეს სულ სხვა აფროდიტეა.

კი, სიყვარულისა და მშვენიერების
ქალღმერთი, ზღვის ქაფიდან მობილი
და ბოტიჩელის ყალმით უკვდავყოფი-
ლი, მაგრამ ნიუარაძისთვის მაინც სულ
სხვა.

ის ხომ სულ კითხულობს (თუ არ
ხატავს) და ერთ-ერთ წიგნში („მიუი
ნაროდოვ მირა“) ამოუკითხავს: „აფ-
როდიტე იშვა იმ ქაფისგან, რომელიც
წარმოიქმნა მაშინ, როცა ქრონოსის მი-
ერ დასაჭურისებული ურანის სისხლი
ზღვას შეერია“.

სწორედ ამ დრამატიზმა
დააინტერესა.

კი, სიყვარულისა და მშვე-
ნიერების ქალღმერთია, მაგრამ
სისხლი გარეულა მის დაბადე-
ბაში!

ნახატზე ზღვა ისე პოპოქ-
რობს, თითქოს მართლა მშობი-
არობსო. ცაც შესაბამისად ამ-
ღვრეულია.

რაკი შევები, ქვეშიდან ვეღარ
გამოვალ. მთავარია, იყოს დამა-
ჯერებელი, – მეუპნება 90 წლის
მხატვარი.

ცოტა შევკრთი და დავეჭვდი,
მაგრამ მოულოდნელად ისე-
თი მძლავრი მონასმი დავინახე,
რომ ეჭვი და კრთომა უმალვე
გამიქრა...



ზურაბ ნიუარაძის კიდევ ერ-
თი მასტერკლასი, მეხსიერები-



დან (ჩამწერიდანაც) რომ არ უნდა წა-
იშალოს:

„პლასტიკაა ყველაფერი, რაშიც სი-
ცოცხლე არსებობს. პლასტიკურია ყო-
ველივე, რაშიც სიცოცხლის წვენი გა-
ედინება. სიცოცხლის წვენი მიჩქეფს
ყველაფერში – მილაკებში, არტერიებ-
ში, ღეროებში... ყველა ეს ღერო, მასში
სიცოცხლემ რომ გაიაროს, გარკვეული
მოცულობის მქონეა. ბრტყელ საგნებში
არაფერი მიედინება“.

აი, რატომ არია ნიუარაძის ტილო-
ებზე ამდენი წვენი, ამდენი სიცოცხლე!

შეხედეთ „რომის ქუჩას“ – რა პლას-
ტიკაა, რა მოძრაობა, ყველა არტერია-
სა და ყველა ღეროში!

●

ამას წინათ ახალი მეზობელი გვეს-
ტუმრა.

კარი შემოაღო თუ არა, ინსტინქტუ-

რად წამოიძახა: „ნიუარაძე გაქვთ?!“

როცა ეს ნახატი მაჩუქა, ვკითხე,
დამთავრებულია?

პასუხი: არა!

ვიდრე რაიმეს ვიტყოდი, ამის შემ-
სწრე ხელოვნებათმცოდნები ღიმილით
მითხრა:


„წაიღე, თორებ არასოდეს დაამთავ-
რებს!“

თვითონვე ამბობს, რომ მისი ნამუ-
შევრების უმეტესობა დაუმთავრებე-
ლია.

ყველაზე ხშირად სახარების ამ ფრა-
ზას იმეორებს: „მე ვარ გზა და ჭეშმა-
რიტება“.

ამიტომაც არის დაუსრულებლად
მთლიანი მისი პიროვნებაც და შემოქ-
მედებაც.

მინდა, მივბაძო და ჩემი ესეც დაუს-
რულებლად დავამთავრო.



ზურაბ ნიუარაძე – „რომის ქუჩა“